

ექვთიმე თაყაიშვილი

მელის წიგნი

ანუ

იგავ-არაკების კრებული

ვარდანისი

(ვუძღვნი ნიკო იაკობის ძეს მარსს)

ტფილისი

სტამბა წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა и тип. груз. изд. т-ва.
1899

საარაკო რამა¹ ვთქვი, „მელის წიგნი“, ქმნილობა,
სწავლა და გაღვიძება უმეცართათვის.

1

ერთმა მეფემ მესაკლავეს ტყავი გამოართო,
დამარილა და ბაზარში დადო. შუალამისას მოვიდ-
ნენ სიმრავლე ძაღლისა, იმ ტყავს სჭამდნენ. ერთი
იმათგანი, რომელიც უფროსი და მეცნიერი იყო, იმან
უთხრა: „პირველათ სისველე გაულოკოთ, მერე ტყა-
ვი შევჭამოთ“. დაუწყეს იმ ტყავს ლოკვა და სიმლა-
შით დასქდნენ. აღარ დასცალდათ ტყავის შეჭმა.
მსგავს ამის მოვიდეს სიკვდილი ჩვენზედ და
დრო აღარა გვცეს და ვეღარა ვეწივნეთ საუკუნოს
დიდებასა.

2

იყო ჯელმწიფე ერთი კეთილი. დღესა ერთსა
წყლის პირს ისადილა. მოვიდა ძაღლი ერთი, ერთი
წმიდა პური ისადილა. მოვიდა ის ძაღლი². წყლის პირს
მოვიდოდა. იმ წყალში თავის ჩრდილი ნახა, სხვა ძაღ-
ლი ეგონა. პირში პური ეჭირა. სიხარბით თავისი პუ-
რი პირიდან გააგდო, მითამ იმ ძაღლს გამოუდგა, ის

პურიც წაერთმევიანა. თითონ რომ პირში პური ეჭირა, ისიც წყალმა მოსტაცა. დარჩა თავის პურისაგანაც ცარიელი და მშიერი.

თარგმანი: ჯელმწიფე ქრისტეა. მშიერი ძალი ადამიანია. წმიდა პური შნო და მცნება არის და თავის წმიდა გვამი არის. ეშმა კი მარად თავის მადღურობით გვნადირობს; თქვენის სიყვარულით, სიხარბით, ვერცხლის მოყვარებით გვახურებს. სიკვდილი აღარ გვახსომს. დავრჩებით საუკუნოს ცხოვრებიდამ ცარიელნი, როგორც ის ძალი დარჩა იმ წმიდა პურისაგან ცარიელი.

3

ჯელმწიფე დასავლეთისა დაბმანდა თავის სამეფოს ტახტსა, და შემოკრბნენ დიდებულნი თვისნი, ნახეს ჯელმწიფის წვერში მცირე ჩალა. მსახურთ მოახსენეს: „ვხედავთ, ოქროს მიმინო ოქროს ხის რტოზედა ზის“. ჯელმწიფე ამ სიტყვას ვერ მიუხვდა. წადა ერთი და წვერიდამ ის ჩალა აართო. ჯელმწიფემ მოსაკლავათ მოინდომა. მოსამსახურეთ³ დააყენეს. მოახსენეს: „ჩვენ ასე გვგონია, ღვთის მაგიერი ჯელმწიფე ბმანდები, შენ დათვსავით გინდა დაგვხოცოვო“.

მეფეს ჰმართებს მშვიდობით დაამწყსოს თავისი მსახურნი, ართუ დაუნაშავებელს გაუწყრეს.

4

ერთი წარმართი ჯელმწიფის შვილი გაღარიბდა. თავის მამის სალოცავს კერპს ჰმსახურებდა: სანთელს ანთებდა, საკმელს უკმევდა, მაგრამ უფრო გაღარიბდა. ერთს დღეს გაჯავრდა, აიღო ცული, კერპს თავში დაჰკრა. გასქდა ის კერპი, გარდმოსცვივდა მრავალი თვალი, მარგალიტი და ოქრო. იმის მამას თავის საცხოვრებელი იმ კერპში შეენახა, ზი შვილო, ვაიმე, ცოდვილსა!

თარგმანი: რაზომც ჰმსახურო შენს ხორცსა ადვილობით და განსვენებით, ცოდვამ უფრო გაგაგლახაკოს სულითა და შესაბრალისი შეიქმნა. აჰა თუ ხორცი გასარჯო და ხორცი მოიკლა ყოვლის კეთილის მოქმედებით, მაშინ გაფუფუნდე სულითა და მორჩე ჯოჯოხეთსა.

5

ერთი ჯელმწიფე გრწყილმა მეტათ შეაწუხა. ის გრწყილი დაიჭირა. შეეხვეწა გრწყილი: „გევედრე-ბი, ნუ მამკლავ, პატარა ვარ, მცირე დანაშაული მაქვსო“. მიუგო: „რაც შენ შეგეძლო, შემაწუხე, ახლა ჩემის ხელით უნდა მოჰკვდეო“.

თარგმანი: ჰმართებსთ მეფეთა და დიდებულთ მცირეს დამნაშავეთ გარდაახდევინონ, რომ სხვათ დიდ დამნაშავეთ შეეშინდესთ და აღარავინ რა და-აშაოს.

6

ერთს მეცნიერს ჯელმწიფეს ერთი ღორი ჰყვანდა, დიალ⁴ ლამაზი, და უყვარდა, და ამას ყურებსა და ცხვირში ძვირფასის საყურები გაუყარა და ძვირფასის ოქრო-ქსოვილი წამოასხა და თავისთან იმყოფებდა. ნახა, ერთს დილაზედ გაჰპარვია, ლაფსა და წვიმ-პეში ეთრევა.

თარგმანი: ყოველნი ცოდვილნი სცოდვენ და ცოდვაში ფუფუნებენ, როგორც ღორმან შემოი-ძარცვა ის თავისი სამკაული და ლაფში აღერია, მის მსგავს შემოუძარცვავთ სამღთოს მადლი და მიდიან საუკუნეს გენიასა.

7

კოსტანდიპოლის ჯელმწიფემ დიალ სასოებით მოინდომა, ერთი მეუდაბნოე იყო მართალი, იმისი ნახვა. დღესა ერთსა წარვიდა თავის დიდებულთ. ერთი მსახური უპირველს წავიდა, მეუდაბნოეს ამცნო ჯელ-მწიფის მისვლა. რა მეუდაბნოემ შეიტყო მეფის მისვლა, სენაკი დაგავა; ერთათ შეაგროვა [ნაგავი]. თითონ გა-ტიტვლდა; პატარა ბალახის ქსოვილი ბეჭებზედ დაი-ფარა; დაჯდა სენაკის კარზედ; ერთი ფეხი გარეთ და-დვა, ერთი ფეხი შიგნითა; ცალი ხელი პირზედ დაიდო და ცალი ხელი სასირცხოზედა. რა მივიდა ჯელმწიფემ, ნახა, სწრაფათ გამობრუნდა. ჰკითხეს თავის დიდე-ბულთ: „რატომ ხმა არ გაეცით ან სწრაფათ რათ და-ბრუნდითო“. უბმანა: „ათი წელიწადი რომ იმასთან ვყოფილვყავ, ამდონს მცნებას ვერ მივიღებდი, რაც ამ ერთის ჟამის შეხედვით მე მივიღე იმის მცნებაო. ის რომ გატიტვლებულიყო, იმას მოასწავებდა: ტიტ-

ველანი მოვსულვართ, ტიტველანი წავალთო. სახლი რომ დაეგავა, იმას მოასწავებს: ქვეყნის საქონელი ეს ნეხვი არისო. ის რომ ცალი ხელი პირზედ დაედო და ცალი ხელი სასირცხოზედ, იმას მოასწავებს: კაცმა ეს ორი კარი რომ დაიცვას, პირნათლათ წავა ღმერთ-თანავო".

8

კაცი ერთი სიცხეში აღმართს ადიოდა, ბევრს გაისარჯა, ადამ და ევა გაჰკიცხა, თქვენის მოუთმენობით სამოთხიდან გამოსცვივდითო. ეჩვენა ანგელოზი და უთხრა: „თუ მოითმენ და ხმას არ ამოიღებ, წაგიყვან სამოთხეშიაო". აღუთქვა, ხმას არ ამოვიღებო. უეცრათ დაეძინა, ნახა თავისი თავი სამოთხეში; ფრიად გაიხარა. ნახა, კაცნი ახალ ნერგს ხეებსა სჭრიდნენ. ამ კაცმა ვერ მოითმინა და უთხრა: „რა უწყალო კაცნი ხართო, რომ ხმელსა და დამპალს უშვებთ და ახალ ნერგ ხეებსა სჭრითო" (რომ ყმარწვილთ სიკვდილსა ნიშნავს). თვალი⁵ გააღო, ნახა, ისევ აღმართში აკიდებული კვნესით ადის. დაიწყო ტირილი. კიდევ ეჩვენა ანგელოზი, და შეეხვეწა: „იქავ წამიყვანე და ხმას აღარ ამოვიღებო". მიიყვანა სამოთხეში. ნახა, ეკალს და ხის შტოებს იკიდებდნენ და სიმძიმით ვერ აეწიათ. კიდევ და კიდევ უმატებდნენ (რომ ცოდვასა ნიშნავს: რამდონსაც კაცი სცოდევდეს, უფრო და უფრო უმატებდეს). ვერ მოითმინა და უთხრა: „თქვენ უგონოებო, შეიმსუბუქეთ, რომ შეიძლოთ წაღება!" კიდევ ნახა სამოთხეში ერთი ლოდი დიდი, გარშემო თორმეტი უღელი ხარი აბია და ოთხ კუთხივ ეწევიან და ვერ დაუძრავსთ. ვერ მოითმინა და უთხრა: „თქვენ უგონოებო, ერთს მხარეს მოაბით და სწრაფათ წაიღებთო!" ის ლოდი იყო თვით ქრისტე, ის თორმეტი უღელი მართალმადიდებელთ სარწმუნოება არის, თორმეტის გვარის⁶ ქრისტიანისა, რომ თვითეულათ ეწევიან. თვალი გააღო ამ კაცმა, ნახა, ისევ საპალნე აკიდებული აღმართს ადიოდა კვნესით.

9

დედაკაცი ერთი მიდიოდა იერუსალიმს მრავლის დიდებით. გზაზედ ნახა ერთი საყდარი. იმ საყდრის კარზედ ორი ხე იდგა მარჯვნივ და მარცხნივ. უეცრათ ამ ხეთ ერთმანერთს ამბური სცეს. იმ საყ-

დარში მღვდელი სწირევდა და ყრმანიც ერთმანერთს ეამბურნენ. დედაკაცმა უთხრა მღვდელსა: „ერთს ჯორის საპალნეს ოქროს მოგართმევ, ხვალ ჩემთვის სწირეო“. მეორეს დღეს სწირა, და იმ ხეთ ერთმანერთს აღარ ეამბურნენ. შეწუხდა დედაკაცი და მღვდელს უთხრა: „რატომ ხეები ერთმან[ერთს] აღარ ეამბურნენო?“ მღვდელმა უთხრა: „ჩემს გულში ვიფიქრეო, ნეტარ ჯორსაც მამცემს თუ არაო?“ დედაკაცმა ჯორის მიცემაც აღუთქვა. მღვდელმა მეორეს დღესაც სწირა, და იმ ხეთ ერთმანერთს ამბური სცეს. ჭემმარიტათ ქმნილა და არ არის ტყუილი.

10

მეუდაბნუე ერთი იჯდა ერთს ლოდზედ. იმის წინ ერთი წყარო იყო. იმ წყაროზედ ერთი ცხენოსანი დიდებული მოვიდა, ჩამოხდა, პური ჭამა, წყალი დალია, წავიდა და ხუთასი ვერცხლი დარჩა. ერთი სხვა კაცი მოვიდა, და წყარო დალია, ის ვერცხლი აიღო და წავიდა. ვერცხლის პატრონი, დიდებული, მობრუნდა, თავის ვერცხლს ეძებდა, ვერ იპოვნა. ერთი კაციც⁷ სხვა მოსულიყო წყალზედ. იმ კაცს უთხრა: „ჩემი ვერცხლი აქ დამრჩა, შენ აგიღია, მამეცო“. იმ კაცს არც აელო და კიდეც შეჰფიცა. არ დაუჯერა, დაჰკრა და მოკლა. ის მეუდაბნუე შეწუხდა: თეთრი სხვამ წაიღო და უბრალო კაცი რათ მოჰკლაო? დაფიქრებულს მიეძინა. ანგელოზი ღვთისა ეჩვენა და უთხრა: „იმ თეთრის პატრონის მამას, თეთრი რომ წაიღო, იმის მამისა ხუთასი ვერცხლი ემართაო, თავისი ვალი წაიღოო. იმ კაცმა რომ ის კაცი მოკლა, მკვდრის მამას იმისი მამა მოეკლაო, იმანაც თავისი მამის სისხლი აიღოო“. ქრისტეს სამართალი ჭემმარიტი არის სააქაოს თუ საიქიოს.

11

ერთს დიდებულს შვილი მოუკვდა. ახლო უდაბნო იყო. იქიდან მეუდაბნეს ჯვარი მოატანინეს. მეუდაბნოემ ჯვარი მკვდარს გულზედ დაადო, და აღდგა ის მკვდარი. ჟამ ვითარებით ერთ დიდებულსაც შვილი მოუკვდა. წავიდნენ, ის ჯვარი მოიტანეს, მკვდარს გულზედ დაადვეს, და არ აღდგა. იტირეს და თქვეს: „ღმერთი ისივ ღმერთი არისო და ჯვარი ისივ ჯვარი არის, რატომ ჩემი შვილი არ აღდგაო?“ მოვიდა ზე-

ცით ხმა: „მოიტა ის მარჯვენა, რომ დაიჭიროს ეგ ჯვარი“.

12

წმიდას სახარებაში სწერია: „საცა იყოს საუნჯე თქვენი, მუნ იყოს გული იქვენი“. ერთი დიდებული კაცი მოკვდა და ჰქონდა მრავალი საუნჯე, ოქრო და ვერცხლი და თვალი; არ უთხრა თავის მოძღვარსა. მკვდრის ბანებაში იპოეს ერთი გასაღები მკვდრის მხარ ქვეშ. მიუტანეს ბერსა, გააღეს იმისი ზანდუკი, ნახეს, გული სისხლიანი იყო იმის საუნჯეზედ. ეს მართალია.

13

კაცი ერთი წავიდა, მღვდელს აღსარება უთხრა. ნახა მოძღვარმა. აღსარების მთქმელის გვამი ცეცხლის ისრით სავსე იყო. რამდონსაც თავის ცოდვას ამბობდა, ანგელოზი მარწუხით თითო თითოს იღებდა. სულ ამოიღო. ერთილა დარჩა. მამამ უთხრა, ერთილა დაგრჩა, დაგრჩა, არა სთქვიო! მოახსარებელმა უთხრა: „დღეს ერთი ბრმა მოდიოდა, მშრალი გზა არ ვასწავლე, ტალახში ჩავარდაო“.

14

კაცი ერთი გაგლახავდა. ერთი დღის ყანა ჰქონდა და ერთს კაცს მიჰყიდა. მსყიდველი წავიდა, იმ ყანაში სამი ქვევრი ოქრო იპოვნა და კაცი გაუგზავნა ყანის მომსყიდველს და შეუთვალა: „მოდი, შენს მოსყიდულს ყანაში სამი ქვევრი ოქრო ვიპოვნე, შენი არისო“. იმან შემოუთვალა: „თუ ღმერთს ჩემთვის სდომებოდა, სამკვიდრო ჩემი მამული იყო, მუდამ ვხნევდი და ვთესდი, მე ვიპოვნიდიო, ღმერთს შენთვის მოუცილო“. ამან შეუთვალა: „მე მარტო ყანის ფასი მომიცილო, ეს შენი არისო“. იქაურმა მეპატრონემ შეიტყო. ის ოქროც მიატანა, ის კაცნიც მიახმევიანა, ეპიზოკოპოზნი და დიდებულნი შეჰყარა. სამართალი გაბრჭეს. ერთი ქვევრი სამეფოთ აიღეს, ერთი ქვევრი ეკლესიებს და გლახაკთ გაუყვეს და ერთი ქვევრი იმ ორს კაცს მისცეს, და ის ნაყანობიც იმ ორთავ კაცთ მისცეს. მოხნეს, პური დათესეს და თავთავის ნაცვალ მარგალიტი დაისხა. ერთი ტომარა

აავსეს, მეფეს მიაართვეს და სხვა თითონ აიღეს, და ორნივე ეწივნენ დიდს ღვთის წყალობასა, სულითა და ხორციით გამდიდრდნენ.

15

იყო კელმწიფე. ჰყვანდა სამი შვილი და ერთი ძვირფასის თვალი ჰქონდა. კელმწიფე ავით გახდა. ანდერძი თქვა: „ვისაც წილში ის თვალი ერგოს, მეფობა იმანა ქნასო“. მოკვდა კელმწიფე და ის თვალი უმცროსმა ძმამ მოიპარა. ამ თვალს დაუწყვეს ძებნა, ვეღარ იპოვნეს. თქვეს დიდებულთა: „ამა და ამ ქვეყანას ერთი მეცნიერი კელმწიფე არის, იმასთან მიდით, ის იპოვნისო“. წავიდნენ სამნი ძმანი. გზაზედ ერთი მეთაქლემე შეეყარათ. ჰკითხა: „აქლემი დავჰკარგე, ხომ არ გინახავსთ? ამათ უთხრეს: „წადი მაგ გზაზედ, იპოვნისო“. უფროსმა ძმამ უთხრა: „შენი აქლემი კოჭლი არისო“. მეორე ძმამ უთხრა: „ცალ-თვალი არისო“. მესამემ უთხრა: „შენს აქლემს ცალ მხარეს კბილი აკლიაო“. გაჰკვირდა მეთაქლემე, აქლემი არ გინახავსთ და აქლემის ნიშნები როგორ მითხარითო? ერთმა ძმამ თქო: „კოჭლი ფეხი აკავშირებული ჰქონია, სამის ფეხით ულიაო“. მეორეთ უთხრეს: „ცალ მხარეს უძოვნიაო ბალახი, სწორეთ ვერ უძოვნია, თანასწორეთ არ არის მოძოვნილიო“. მეთაქლემე გაჰკვირდა ამათ მეცნიერობასა. მეთაქლემემ აქლემი იპოვნა და წავიდა. კელმწიფეს ამათ მეცნიერობა მოახსენა. ის კელმწიფის შვილები შევიდნენ ქალაქს და კელმწიფემ ამათ ერთი შემწვარი თიკანი, პური და ღვინო გამოუგზავნა. ერთმა ძმამა თქვა: „ამ თიკანს ძაღლის ძუძუ უწოვნიაო“. ერთმა ძმამა თქვა: „აქაური კელმწიფე ხაბაზის შვილი არისო“. მესამე ძმამა თქვა: „ამ ღვინოში ადამიანის სისხლი ურევიაო“. მივიდნენ, კელმწიფეს მოახსენეს. დიდათ გაჰკვირდა. ჰკითხა ამათ: „რით შეიტყვეით?“ იმათ მოახსენეს: „ძაღლის ხორცი რომ შეიწოს, ზინზლის სული აედინებაო. ღვინოში რომ ადამიანის სისხლი ერიოს, პირზედ ქაფს მოიდებსო და პური ხაბაზისა არისო“. დაუძახა კელმწიფემ მემცხვარე და თიკნის ამბავი ჰკითხა. მოახსენა: „იმ თიკანს დედა მოუკვდა, ძაღლმა შეიჩვია და იმან გაზარდაო“. მეზვრეს ღვინის ამბავი ჰკითხა. მოახსენა: „საწნახელში დანა დაგვრჩაო, ყურძნის წურვაში იმ დანამ ფეხი შეაჭრაო, სისხლი ტკბილში გაერიაო“. მერე თავის დედასა ჰკითხა: „მე ვისი შვილი ვარო?“

უთხრა: „ხაზაზი ჩვენსა შემოჩვეულიყო, იმასთან ვცდი და შენ იმისგანა ხარო“. მეორეს დღეს ჯელმწიფემ სამნივ ძმები მიასხა, და ამათ თავიანთ თვალის დაკარგვის საჩივარი მოახსენეს. ზმანა ჯელმწიფემ: „ერთმა ქალმა ერთს ახალგაზდას ცოლქრობის პირობა დაუდო, შენს მეტი ქმარი მე არ მინდაო, ნიშანიც მისცეს ერთმანერთსა. ეს ვაჟი მოემზადა. ქორწილის დამეს ერთმა უძრეილესმა ჭაბუკმა ძალით მოიტაცა ის ქალი და ჯვარი დაიწერა. დაწოლის ჟამს ქალმა იმასთან დაწოლა არ ინება: მე იმ ჩემს პირველს დანიშნულთან ღვთის ფიცი მაქვს, იმისგან კიდე მე სხვა ქმარი არ მინდაო. ამ ჭაბუკმა ის ქალი მორთო თვალითა, მარგალიტითა და ოქროთი და პირველს დანიშნულს მიჰგვარა. იმ ყმარწვილმა, რა ნახა, ღმერთს მაღლობა შესწირა, იმის მიტანილი არც თვალი ინდომა, არც მარგალიტი და არც ოქრო“. ჰკითხა ჯელმწიფემ: „რომელი უფრო ნისაფით ყოფილაო?“ უფროსმა ძმამა თქვა: „პირველი დანიშნული უფრო ნისაფით ყოფილა, რომ თავისი დანიშნული დაანებაო“. მეორე ძმამა თქვა: „ეს მეორე ქმარი უფრო ნისაფით ყოფილა, რომ ქალს არ მიუდგაო, პირველს დანიშნულს მიჰგვარაო“. უმცროსმა ძმამა თქვა: „პირველი უფრო ნისაფით ყოფილა, რომ იმდონი თვალი, მარგალიტი და ოქრო არ ინდომაო“. ნახა ჯელმწიფემ, ეს უფრო სიხარბის მქონებელია. უზმანა: „თვალი შენა გაქვსო!“ იპოვნა და ის სამნი ძმანი მშვიდობით გააშველა და გაისტუმრა.

16

ალექსანდრე ყოველგან თითონ წავიდოდა ელჩათ. ერთს დღეს პოპლია ჯელმწიფესთან წავიდა. ჯელმწიფემ იაყუთის თასით სასმელი მისცა. სასმელი დალია და ის თასი უბეში ჩაიდო. უზმანა: „რატომა ჰქმენო?“ მოახსენა: ჩემის ჯელმწიფის ზმანება და განწესება ესე არისო“. პოპლია დაემორჩილა. პოპლიას დად მეცნიერი იყო. იცნა, რომ ეს ალექსანდრე არისო. უთხრა ქალმან: „გაიქეც, თორემ ამ ჟამში დაგიჭერენო!“ შეჯდა თავის მსწრაფლს ცხენსა და გაიქცა.

17

როდეს ალექსანდრე კვდებოდა, ანდერძი ქნა: მე ჩემს სახლში მიმიტანეთო; ჩემის საკაცის წინ ათა-

სი კაცი გამიმძღვარეთ; ოქროს სინები თავს დაად-
გით და თვალ-მარგალიტით აავსეთ; ათასს კაცს გა-
ტიტვლებულს ძაძა ჩააცვით; ათას ცხენს ფაფარი
დააჭერით, უკულმა შეკმაზეთ; ჭაბუკი მშვილდოსანი
ასი ათასი და ხლმოსანი წინ გამიმძღვარეთ!" სწორეთ
ისე აღუსრულეს და წინ გაუმძღვარეს. დედამ და ცოლ-
მა რომ ნახეს, არც იტირეს და არც იგლოვეს. დი-
დებულთ ჰკითხეს დედას: „რათ არ იგლოვთო?“ მიუ-
გო: „ჩემს შვილს უანდერძნია, ნუ იტირებთო, თუ
მშველებოდა და სიკვდილისაგან დავიხსნებოდი, ეს
ყოველი წინ გავიმძღოლე, არ მოვჰკვდებოდიო, ტი-
რილს უნდა შეეპუოსო?“

18

ალექსანდრე ნადირობდა ერთს ჭალაკში. ნახა,
მეუდაზნოე-მარტომყოფნი რძესა და ბრინჯსა სჭამ-
დნენ, უბძანა ალექსანდრემ: „მოდით, მოგცე მრავალი
რამ“. ამათ მოახსენეს: „ერთი რამ სათხოვარი გვაქვს,
თუ იმას მოგვცემ, თან გიახლებითო“. რაო?“ იმათ
უთხრეს: „უკვდავების მოცემა შეგიძლიაო?“ უბძანა მე-
ფემ: „როგორნი მეცნიერნი ხართო, მე კაცი ვარ მო-
საკვდომი, მე სად შემიძლია უკვდავების მოცემა, კაცს
რაცა აქვს, იმის მიცემა შეუძლიაო“. „თუ მართლა იცი
სასიკვდინე ხარ, რათ ახდენ ქვეყანასაო?“ უბძანა მე-
ფემ: „მე არ ვახდენ ქვეყანასა, ღმერთმან ნახა, რომ ყო-
ველი კაცი ჭეშმარიტებისაგან გავიდნენ, ავი და კარ-
გი აღარ იციან, ღმერთი სამართლათ სჯისთ, რომ
ჭეშმარიტებას ეგნენ“. მოუწონეს მეუდაზნოეთ და
დადუმდნენ.

19

ალექსანდრე ერთს ქვეყანას მივიდა ჯარით.
მობრთვეს ბროწეული. ერთი ბროწეული გამოწუ-
რეს, იმის წვენმა ერთი კოკა აავსო. ჰკითხა ალექსან-
დრემ: „ეს ადგილი ვისი არისო?“ მოახსენეს: „ალექ-
სანდრესი არისო“. ამათზედ ბოროტი განიზრახა. კე-
თილი ბოროტათ შეიცვალა. რამდონიც ხუთი ექვსი
ბროწეული გამოწურეს, მაშინ არ აავსო ერთი კო-
კა. ჰკითხეს: „ერთი ბროწეული ავსებდა კოკას, ახლა
ხუთმა ექვსმა რატომ აღარ აავსო?“ მოახსენეს: „ჩვენს
ჯელმწიფეს ჩვენზედ გული შესცვლია და იმიტო-
მაო“.

ალექსანდრე ერთს ზღვის კუნძულში ჩამოხდა. ჭალა იყო. ყოველთ ცეცხლი აანთეს. ეს ჭალა იძრა. ნახეს, კურია თურმე იყო, რომ გათბა, დაიძრა. შეიტყვეს რომ კურია იყო. თქვეს მეცნიერთ: „სამი ცხოველი არის, რამდონიც ბევრი იცოცხლოს, იმდონი გადიდდეს: ერთი კურია, მეორე გველი, მესამე თევზი, რომ ვეშაპი შეიქნება“.

20

ალექსანდრე მრავლის დიდებულთ ერთს ალაგს შეემთხვია. დიდი თოვლი მოუვიდათ, ყოველთ მოშივდათ, იხოცებოდნენ. ბძანა მეფემ: „ხვალ ერთი რამ უნდა ვიზრუნო“. დილაზედ უბძანა: „დახოცეთ ცხენები და ჭამეთო!“ ზოგთა თქვეს: „მაჰმადს უბძანებია, ამისთვის სჭამენ ცხენის ხორცს მაჰმადიანნი“.

21

კაცი ერთი დაიჭირეს ქურდობაზედ. ორი კვირა დიდათ გასარჯეს არ გატყდა. მერე ამისი შვილი მოიყვანეს. ერთი ჯოხი რომ დაჰკრეს, დაიყვირა ამ კაცმა და გატყდა. უთხრეს: „ორი კვირა შენ გტანჯეთ, არ გასტყდი და შენს შვილს ერთი ჯოხი დაგჰკარით და მაშინვე გასტყდიო“. იმან უთხრა: „ჩემი გვამი ჩემთ მშობლისა იყო, არა მტკიოდაო, და როდეს ჩემს შვილსა სცემეთო, იმისი გვამი ჩემი იყო, გული დამეწო და გავტყდიო. შვილი ღვიძლი არის, ტანში მცემდით, არა მტკიოდა, როდესაც ღვიძლში დამკარით, მეტკინა და ვთქვიო“.

22

ერთი კაცი საფლავის მთხრელი იყო. დღესა ერთსა დიდებულის ქალი დამარხეს დიდის სამკაულით. შუალამისას მივიდა ის მესაფლავე, მოთხარა ის მკვდარი, გაატიტვლა. იმ მკვდარმა მჯიღვი შემოჰკრა პირში და უთხრა: „შვიდის ვაჟის დედა ვარ, მზე და მთვარე სახლის ბანიდამ მინახავს, კარზედ გასული არავის უნახვივარ, და შენ არ გეშინიან ღვთისა, რომ ასე მაუნამუსოებ და მცრცვიო?“ ამან უთხრა: „გლახა ვარ, საქონელი არა მაქვსო“. ქალმა უთხრა: „ამ ჩემს საფლავში სამი ადამიანის ხმელი თავი არის, წაიღე, ის

გაყიდე და თეთრი აიღეო!“ აიღო, წაიღო გასასყიდ-
ლათ. იყიდა ზარაფმა. გააკეთა ოქროს შამფური, ჩა-
ურჭო ერთს ყურში, მეორეს ყურში გავიდა. მეო-
რეს ჩაურჭო, ნახევრამდინ მივიდა და დადგა. მე-
სამეს ჩაურჭო, სრულობით არ ჩავიდა, და გააგდო.
ჰკითხეს: „რა იყო, რომ ეგენი იყიდეო?“ უთხრა:
„შამფური იქით ყურში რომ გავიდაო, სამდლო სიტყვა
ყურში არ შეუნახავსო, აქეთ ყურიდამ გაუგონია,
იქით ყურში გაუვლიაო. მეორეს ფასი არ დაედე-
ბაო, ყოვლისფრის წამალი არისო, ამისთვის [რომ] რაც
კეთილი რამა სმენია ყურში, შეუნახავსო. მესამე სულ
არათ ვარგა: რაც კეთილი რამ გაუგონია, სრულო-
ბით ყურში არ შეუმვ[ი]ა“.

23

ქვეყანაზედ ხუთი საქმე არის, რომ არავინ
იცის. ერთი ეს, რომ კაცმა კაცის განზრახვა არ იცის,
არც ანგელოზთ, არც ეშმაკთ. მეორე არ ვიცით, თუ
ხვალ რა არის ჩვენს თავს მოსასვლელი. მესამე რაც
საქმე დავიჭიროთ, არ ვიცით, კეთილი მოგვიხდება
თუ ბოროტი. მეოთხე სიკვდილის ჟამი არ ვიცით,
როდის მოვკვდებით. მეხუთე ქვეყნის დასრულების
ჟამი არ ვიცით. სამი რამ არის რომ კაცს ბოროტი-
საგან დაიცვავეს: მშვიდობით იყოს, პირის წყალი ჰქონ-
დეს და სრული ჭკუა.

24

ერთს ჯელმწიფეს თავის ხაზინაში ასი თვალი
ჰქონდა, მაგრამ ერთი თვალი უფრო დიდ ფასისა
იყო. მოლარეთ-უხუცესმა ეს ძვირფასის თვალი გა-
მოცვალა. მოვიდა ჯელმწიფე სალაროში, ნახა, რომ
ის თვალი გამოცვლილია. მოლარეთ-ხუცესი მრავა-
ლი გასარჯა და არ გატყდა, მოსაკლავათაც არ ემე-
ტებოდა და ვერც იმ თვალსა სთმობდა. იყო მწუხა-
რებაში.¹⁰ ერთმა მეცნიერმა კაცმა მოახსენა: „ნუ სწუ-
ხარ, თვალს მე გამოვაჩენინებო“. მოლარეთ-ხუცესი
წაიყვანა ერთს უმეცარს კაცთან, ბორკილში დააბა.
უთხრა იმ უმეცარმა კაცმა: „ერთის თვალისათვის რა-
თა ჰკვდებიო?“ იმას გაუტყდა: „ერთს ბეზირგანს მივე-
ციო“. წავიდა იმ ბეზირგანთან და უთხრა: „ათასი ვერ-
ცხლი მასესხეო“. არ მისცა. წავიდა, ყადთან. უჩივლა:
„იმ ხოჯას ათი ათასი ვერცხლი მართებს, არც წიგნი

მაქვს და არც მოწამე მყავსო, სამართალი მამეციო“.
დაუმახა ის ხოჯა. ხოჯამ მოახსენა: „პირის წყლის ფასი
რა არისო?“ ყადმა ბძანა: „ათი ათასი ვერცხლიო“.
მოახსენა: „სამი რიგი ჩემი პირის წყალი წასულაო“.
უბძანა ყალიმ: „მიეცი ათი ათასი ვერცხლიო!“

25

ერთს ბეზირგანს საპალნეები დაეკარგა, გაღა-
რიბდა და გლახაკობდა, შინ აღარ წავიდა. ერთს ღა-
მეს ერთს ალავს დადგა, ნათხოვნი პურიც გვერდს
დაიდო. მოვიდა ერთი კამბეჩი და პური შეუჭამა. წა-
მოდგა და ის კამბეჩი დაკაფა. მეორეს დღეს მოვიდა
იმისი პატრონი და თქვა: „ეს კამბეჩი ვინ დაკაფაო?“
ამან უთხრა: „მეო, და თავისი გლახაკობის მიზეზიც
უთხრა: „როდესაც გლახაკობით ჩემი ნათხოვნი პური
ამან მუცელში ჩაიდო, ის იქ არ უნდა დამდგარ-
იყოო, ალალი მოგება უნდა ჩაედო მუცელშიაო, რო-
გორც მე ვეღარ წაველ ჩემს სახლშიაო“.

26

კაცი ერთი იერუსალიმს მიდიოდა. ასი ოქ-
რო ერთს კაცს ამანათათ მიაბარა და წავიდა. როიცა
მოვიდა, უთხრა: „მაიტა ჩემი ამანათიო!“ იმან იუარა:
„მომიციაო“. წაიყვანა საფიცრათ. ის ოქრო ყავარჯენ-
ში შეენახა. მივიდნენ ეკლესიაში. ორი ჯვარი ესვე-
ნა: ერთი დიდი, ერთი პატარა. ყავარჯენი ოქროს
პატრონს მისცა ხელში და დიდს ჯვარში ხელი
დაადო: „ამისმა მადლმა შენთვის მომიციაო“. ამ ოქ-
როს პატრონმა ჩვენება ნახა. პატარა ჯვარი დიდს
ჯვარს ეუბნებოდა: „ტყუილათ რომ შენზედ დაიფიცა,
რატომ არ გახეთქეო?“ დიდმა ჯვარმა უთხრა: „იმათ
სამართალი ღმერთზედ მივაგდეო“. პატარა ჯვარმა
უთხრა: „ოქროს პატრონს სასო წარეკვეთებაო, მართა-
ლია, სამართალი არ მიეცაო“. ამ ოქროს პატრონს გა-
მოელვიდა, უთხრა იმ კაცსა: „გუშინდელს ფიცს არა
ვჯერვარო, მოდი, პატარა ჯვარზედ შემომფიცეო“.
მოვიდა, პატარა ჯვარზედ შეჰფიცა. ხელი დაებლუნ-
და და ცეცხლი მოეკიდა. დაიწყო კივილი: „შენი
ოქრო ამ ყავარჯენშია, ამოიღეო!“ ამოიღო ოქრო
და გაეხარდა, და ადიდებდა ღვთის ჭეშმარიტს სამარ-
თალსა.

ერთი ჯელმწიფე თავის ქვეყანას დაიარებოდა. ნახა, ერთს ქალაქის ნაპირს ათს კაცსა და დედაკაცს ჰქონდათ პური, ღვინო და რძე. ეს საჭმელები გაეშოთ, ფინთსა სჭამდნენ და ... სვემდნენ. რა ნახა ჯელმწიფემ, გაწყრა და დაახოცინა.

თარგმანი: ჯელმწიფე ღმერთია. იმათ რომ პური, ღვინო და რძე გაეშოთ, ფინთსა სჭამდნენ და ... სვემდნენ, ისინი არიან, რომელნიც თავიანთ გვირგვინის ცოლს უშვებენ და უცხოს დედაკაცთან ისიძვენ და ბოზობენ, რომელნიც თავიანთ შეუგინებელს საწოლს და ცოლს უშვებენ, ისინი იმ ათს კაცსა და დედაკაცს ემგზავსებიან, ფინთსა სჭამდნენ და ... სვემდნენ. ჯელმწიფე ღმერთია, განკითხვის დღეს მეზოზარს, კაცის მკვლელს და სისხლის დამქცევსთ ერთათ სტანჯავს, თუ არ მოიქცეს და არ დასთმოს და შეინანოს, როგორც იტყვის პავლე: „ძალსა და მეზოზარს ერთათ დასჯის ღმერთი“.

ერთმა ჯელმწიფემ ერთს მაღალს სვეტზედ ერთი უფასო მარგალიტი დადვა და ბძანა: „ვინც აქ ავიდეს და ჩამოილოს, იმისთვის მიმიცია მარგალიტიო“. შეიყარნენ მრავალნი კაცნი და ვერავინ ავიდა იმ სვეტზედ, რომ ის მარგალიტი ჩამოეღო. მოვიდა კაცი ერთი მაღალი, ხორცი დაიგლიჯა, სისხლი იდინა, იმის სისხლი იქმნა კიბეთ, დაიღლიავა ის სვეტი და ჩამოიღო ის მარგალიტი. ჯელმწიფემ აქო ის კაცი და მისცა მარგალიტი.

თარგმანი: ჯელმწიფე არის ღმერთი. ის სვეტი არის თავისი მცნება. კაცნი ცოტანი ინახვენ ღვთის მცნებას, როგორც კაცნი ისინი, რომ ვერ ავიდნენ იმ სვეტზედ. მარგალიტი ის არის, ღმერთმან მიანიჭა კაცთა, რომ მრავალნი ეტრფიალებიან იპოვნონ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. აბა, იმათ მიიღონ ის მარგალიტი, რომელთ თავიანთ გვამი მოკლან სასუფეველისათვის,¹¹ მოციქულთ და წამებულთ, რომ სისხლი დანთხიეს, როგორც იმ კაცმა სისხლი დააქცია და ავიდა სვეტზედ, და აიღო ის მარგალიტი, და მიეცა საუკუნოს შვებასა.

იყო ჯელმწიფე ერთი. კარგი ვენახი ჰქონდა. გარშემო ღრმა თხრილი ჰქონდა. იმაზედ ერთი ხისა და ფიცრის ხიდი გადო, და ღამით იმ ხიდს იღებდნენ. ვინც ღამით მიდიოდნენ, თხრილში ცვივდებოდნენ. ვინც დღისით მიდიოდნენ, მშვიდობით ხიდს გაივლიდნენ და ვენახში შედიოდნენ.

ვენახი სამოთხე არის. თხრილი ჯოჯოხეთია. ხიდი კეთილმოქმედება არის. დღე ეს სოფელია. ღამე სიკვდილია. ვისაც აქვს კეთილმოქმედება, ის გაივლის ხიდს და შევა სასუფეველში". ვისაც არა აქვს კეთილმოქმედება, ის ჩავარდება ჯოჯოხეთში.

30

ჯელმწიფემ ნახა ჩვენება: ზეციდამ წვიმასავით ძველა ჩამოდიოდა. ბძანა ჯელმწიფემ: „ვინც ამას შეიტყობს, რა არისო, ათას დრაჰკანს მივცემო“. ერთმა გლახამ შეიტყო. მივიდა, მოახსენა: „თუ სამს დღეს დამაცლით, მე გამოგიცხადებო“. წავიდა მონასტერში, დაიარებოდა მოწყენით. ნახა ერთი ვეშაპი. იმან უთხრა: „რას მამცემ, რაც ჯელმწიფეს უნახავს, გამოგიცხადლო?“ ამან უთხრა: „რა[სა]ც ჯელმწიფე მიბოძებს, ნახევარს შენ მოგცემო“. უთხრა: „მიდი, ჯელმწიფეს მოახსენე ასე: დრო და კაცნი მოვლენო, შურნი და მატყუარნი იქნებიან, მგზავსი მელისა“. მივიდა, მოახსენა. მოუწონა და უბოძა ათასი დრაჰკანი. ის კაცი გაუმტყუნდა ვეშაპს და იმასთან აღარ მივიდა. კიდევ მეორედ ჯელმწიფემ ნახა ჩვენება: როგორც წვიმა ზეციდამ ცხვარსა სწვიმდა. ისივ კაცი დაუძახა და ჰკითხა: „ეს სიზმარიც ამიცხადეო“. კიდევ ორიოდ¹² დღის მულათი სთხოვა. სცხვენოდა, რომ იმავე ვეშაპთან მისულიყო. თავის ბრალეებით მივიდა და მოახსენა: „გცოდე და მაქვს დანაშაულიო. გამომიცხადე ეს ჯელმწიფის მეორე სანახავიო!“ ვეშაპმა იმისი დანაშაული აღარ მოიხსენა და გამოუცხადა: „მიდი, ჯელმწიფეს მოახსენე: კაცნი მოვლენ¹³ კეთილნი და მშვიდობიანნი, ვითარცა, ცხვარნი“. მოვიდა, ჯელმწიფეს მოახსენა. მოიწონა და კიდევ უბოძა ათასი დრაჰკანი. აიღო, წაიღო, ვეშაპს წინ დაუდო ხუთასი დრაჰკანი. მესამეთ ნახა ჯელმწიფემ ჩვენება: როგორც წვიმა ისე მოდიოდა ზეცით კაცნი, ხელთ მახვილი ეჭირათ. უბძანა იმ კაცს: „ეს ჩვენებაც გამომიცხადეო!“ მოვიდა ვეშაპ-

თან. იმან უთხრა: „წადი, მოახსენე: კაცნი მოვლენ ბოროტნი, ჯელთ მახვილი ეჭიროსთ“. ეს რომ შეიტყო ამ კაცმა, თქვა: „ეს ვეშაპი აქამდის რათ გაუშვი და არ მოვკვალაო და ის ხუთასი დრაჰკანი ამას მოუტანეო?“ დააჭირა მახვილი, უნდა მოეკლა¹⁴, მაგრამ ხელი არ მოემართა და ვერ მოკლა. ამ კაცმა შეინანა და შენდობას ითხოვდა, ვეშაპმა ამ კაცს მონის მგზავსათ უთხრა: „კაცო, შენ ნუ შესწუხდები, შენის თავით შენ არაფერი ჰქენო, ჟამი ასეთი მოვიდაო, მახვილის ხმარებისა და ტყუილის თქმის ჟამი არისო. ის რომ ხუთასი დრაჰკანი მოიტანე, ცხვარი რომ ენახა ზეცით ჩამოსული, მშვიდობას მოასწავებდა, იმ მშვიდობის წელიწადს მოიტანეო. ახლა რომ მახვილის ხმარებისა და უსამართლობის ჟამი არის, ჟამმა მოგანდომა ჩემი სიკვდილიო“. ჟამი მრავალს რიგს საქმეებს მოიტანს, მაგრამ კაცი მოთმინებით უნდა იყოს.

31

ერთს ჯელმწიფეს ძე არა ჰყვანდა: არც ვაჟი, არც ქალი. ერთი დისწული ჰყვანდა, ეს თავისთვის შვილათ უნდოდა, შედეგ თავისა იმას ემეფა. ჯელმწიფეს დიდათ უყვარდა. იყო მეცნიერი და ღვთის მლოცავი; და პირველი ვეზირი დაუბტერდა ამ ყმარწვილსა, უნდოდა რისამე მიზეზით ჯელმწიფე გაეწყრომებინა ამ ყმარწვილისათვის, მოეკვლევინებინა და შედეგ მეფისა თითონ გახე[ლ]მწიფებულიყო. ერთს დღეს მეფის დისწულს უთხრა: „შენი პირი ყარს, მიხვალ და ჯელმწიფესთან ჯდებო, შენი პირის სიმერალე ჯელმწიფეს მოსდისო, ვიცი, გაგიწყრებაო“. იმან უთხრა: „მაშ რა ვქნაო?“ ვეზირმა უთხრა: „ჯელმწიფესთან რომ დასჯდე, პირი მოაქციე, სული არ მიედიხოსო“. იმანა თქვა: „აგრე ვიქო“. მერე ვეზირი მივიდა, ჯელმწიფეს მოახსენა: „შენი დისწული შენთვის ძვირს იძრახავსო“. უბანა: „როგორ იციო?“ მოახსენა: „თქვენთან რომ ჯდება, პირს გაქცევსთო; მანამ ცოცხალი ხარ, შენს სიცოცხლეშივე ჯელმწიფობა წაგართოსო, იმის განძრახვა ეს არისო“. ჯელმწიფემ თავისი დისწული დაიბარა. არ წავიდა. ამის მიზეზით, პირი რომ მიყარს, არამც გამიწყრესო. მერე გარისხდა ჯელმწიფე, დაიბარა. წავიდა, დაჯდა და პირი მოაქცია. ჯელმწიფე ამაზედ გარისხდა და ვეზირის მოხსენებული მართლათ მიიღო. უნდა მოეკლა,

მაგრამ რადგან დისწული იყო, გამოცხადებით ვერ მოკლა. ერთი წიგნი დასწერა რკინის დამდნობელთანა: „ხვალ მანდ ვინც ადრე მოვიდეს, ცეცხლში ჩააგდევით, დაწვით, ნუ იტყვით თუ ჯელმწიფის დისწული არის, ან ვეზირიო. ვინც პირველ მოვიდეს, დაწვითო!“ თავის დისწულს უთხრა: „წადი რკინის დამდნობელთან და უთხარ: ჯელმწიფის ბძანება აღასრულო!“ წავიდა. საღამო ჟამი იყო, ზარების დარეკა ესმა. თქვა: „პირველათ ღვთის სამართალი აღვასრულო და მერე ბიძა ჩემისაო. წავიდეო“. და ლოცოზედ იმ ღამეს გათენებამდინ ილოცა. დილაზედ, მანამ ეს ყმარწვილი წავიდოდა¹⁵, პირველათ ამის ბოროტის მძრახველი ვეზირი წავიდა რკინის დამდნობელთან: თუ ის ყმარწვილი ჯერ არ ჩაუგდიათ ცეცხლში, ჩავაგდებინოო. რომ მივიდა, ვეზირი დაიჭირეს და ცეცხლში ჩააგდეს. მერე ჯელმწიფის დისწული მივიდა. უთხრეს: „ჯელმწიფის ბძანება წელანვე აღვასრულებთო“. მოვიდა ჯელმწიფესთან და ყოველი ყოფილი მოახსენა. ჯელმწიფემ მადლობა მისცა ღმერთსა.

თარგმანი: ლოცვით დაიხსნება ყოველი კაცი ბოროტსა, როგორც სამნი ყრმანი განერნენ ცეცხლსა. დანიელ მორჩა ლოცვით ლომსა, ერემია მორჩა ლოცვით ლაფსა, წმიდა გრიგოლ ღრმას ჯურღმულსა, გველითა და ხელიკით სავსესა. მლოცავი კაცი თანამზრახველია ღვთისა. მლოცავს კაცს ორსავე სოფელს მიეცემა კეთილი ღვთისაგან. ამინ.

32

იყო ჯელმწიფე ბოროტი. ჰყვანდა შვილი ერთი კეთილი და სათნო ღვთისა. მარადის მამას ეტყოდა: „დასცხერ ბოროტისაგან, ღვთისა შეიკდომე, უსამართლობას დაეხსენ, სახარებისაგან ხომ გსმენია: რასაც სამართალს მისცემთ, თქვენც იმ სამართლით განიკითხებითო. ყოველნი სამღთო წერილნი ამას ემოწმებიან“. დღესა ერთსა გაუწყრა შვილსა. ცოლშვილით ექსორია ქმნა. წავიდა შვილი უცხოს ქვეყანას. ნახა ერთმა მეცნიერმა კაცმა და თქვა თავის გულში: „ეს ან ჯელმწიფე არის და ან ჯელმწიფის შვილიო“. წადგა და დიდის პატივით თავის სახლში მიიწვია. მოახსენა: „საიღამ მობძანდები, ან სად მიბძანდები?“ იმან მართალი უთხრა. იმას მისცა სახლი დიდი: იდგას იქ, მანამდინ თავისმა მამამ მოიკითხო-

სო. სახლში არა ჰქონდა-რა სასმელ-საჭმელი. წავი-
და სამუშაოთ და მუშათ არავინ დაიჭირა. წავიდა
მიცვალებულთ ეკლესიაში და საღამომდინ ილოცა.
ცარიელი თავის სახლში წავიდა. ცოლმა ჰკითხა:
„საიღამ მოხვალო? ასე ეგონა, საჭმელები მოაქვსო.
ველმწიფის შვილმა უთხრა: „ერთის კაცისათვის ვმუ-
შაობდიო და მითხრა: „ხვალაც მოდი, იმუშავეო და
ორის დღისას ერთათ მოგცემო“. ცოლმა უთხრა:
„კარგი არისო“. მეორეს დღესაც წავიდა და მუშათ
არავინ დაიჭირა. კიდევ წავიდა ეკლესიაში, საღამომ-
დინ ილოცა და ცარიელი წავიდა შინ. ცოლს ეგო-
ნა, საჭმელი მოაქვსო. ორი დღე უზმო იყო. კიდევ
უთხრა ქმარმა: „იმ კაცმა ამაღამაც არ მომცა სამუ-
შაო, მითხრა: ხვალაც მოდი, იმუშავე და სამის დღის
სამუშაოს ერთათ მოგცემო“. ცოლმა უთხრა: „კე-
თილი არისო“. მესამეს დღეს წავიდა, კიდევ არ დაი-
ჭირეს მუშათ. წავიდა ეკლესიაში, ილოცა. სადილო-
ბის ჟამს მოვიდა ერთი ნათლით მოსვილი კაცი და
სამი თვალი მისცა¹⁶ ძვირფასი სამის დღის სამუშაოში¹⁷
იმას და თავის ცოლსა. უთხრა: „ერთი გაჰყიდე, შენს
სახლში მოიხმარეო და ორი შეინახეო, რომ თითო
თვალი ორას დრაჰკანათა ღირსო“. ისე ქმნა, რო-
გორც დაარიგა იმ ნათლით მოსილმა კაცმა. შინ
რომ მოვიდა მეფის შვილი, ორი თვალი მისცა ცოლ-
სა. ცოლმა უთხრა: „ეს რა არისო?“ იმან უთხრა:
„ნათლით მოსვილი კაცი, შენ რომ გამოგეგზავნა,
იმასა ჰქონდა სამი თვალი, სამის დღის სამუშაოში,
როგორც დამარიგე შენ, მე ისე ვქენ, ისრე იქმნა".
მაშინ შეიტყო მეფის შვილმა სასწაული და მადლო-
ბა მისცა ღმერთსა.

თარგმანი: თუ ღმერთი კაცის კერძო არის და
კაცი მოითმენს, ღმერთმან არ დააგდოს ის, როგორც
აბრაჰამ და ისაკ და იაკობ და სხვა წმიდანნი. რომ
მოითმენს სახელისა ღვთისათვის, გვირგვინი მიიღეს
იმათსავით სხვათაც.

33

ერთი ყვავი იჯდა მაღალს წვერზედ. იჯდა და
პირში ყველი ეჭირა. მივიდა მელა: ეგების პირიღამ
ყველი გავაგდებინო. ახლოს დაუჯდა და უთხრა:
„შავ საყდარზედ მჯდომელო და საღამოს ყმარწვი-
ლო, ერთი შენი ხმა ააყვავეო!“ შეიძრა ყვავი და იმ
ქებაზედ გაამპარტავანდა. დიდის ხმით პირი გააღო

და შესძახა. ყველი პირიდან გავარდა და მელამ აი-
ლო, შეჭამა. დარჩა ყვავე ცარიელი. უთხრა: „ყვა-
ვო, სულელი ხარო, ტყუილის ქებისათვის რათ დააღე
პირი და ყველი გააგდე, და მშიერი დარჩი? ტყუი-
ლის ენით კაცი როდი უნდა მოტყუედესო“.

34

არწივი კაკაბს გაუშტერდა, მუდამ აწუხებდა.
კაკაბმა, რაც ფრინველები იყვნენ, მოასხა, შუა შეუ-
ყენა: „ამდონს ნუ მაცოდვილებ, შემირიგდიო“. არ-
წივმა არა ქნა, არც შეურიგდა. ტიროდა კაკაბი და
სწუხდა. მოვიდა ნეხვის ჭია შავი. კაკაბმა თავის მწუ-
ხარება¹⁸ უთხრა. ეს ჭია მივიდა არწივთან, შუა შე-
მოვიდა. არწივმა არც იმას უსმინა ვედრება. დაღონ-
და ჭია, არწივზედ ავი გული ჩაიდო. რამდონიც არ-
წივი კვერცხს დასდებდა, წავიდოდა ეს ჭია, დააგო-
რებდა და დაუმტვრევდა. დიდს ხანს დარჩა არწივი
უშვილოთ. საქმე რომ გაუჭირდა არწივს, თვით ჯელ-
მწიფის კალთაში დადვა კვერცხი. შეიტყო ჭიამ.
ჯელმწიფეს ფეხის ბარკალში შეუძვრა¹⁹ და უკბინა.
წამოხტა ჯელმწიფე, კვერცხები კალთიდან გასცვივ-
და და დაიმტვრა.

თარგმანი: ეცადე, არავინ დაიმტერო, ნურც
დიდი და ნურც მცირე, ნურც გლახაკი!

35

ერთმა მონადირემ ერთი კაკაბი დაიჭირა უნ-
და დაეკლა. უთხრა კაკაბმა: „ნუ მომკლავ, მრავალს
კაკაბს მოვასხამ შენს აკანათში და დაგაჭერინებო“.
მონადირემ უთხრა: „არ იქნება, ჩემის ხელით უნდა
მოჰკვდეო! შენ შენი მოყვარენი, ნათესავნი და მე-
ზობლები უნდა მოატყუო და დახოცოო?“

თარგმანი: შენს მოყვარეს, ნათესავს და მეზობ-
ლებს ნუ შურ ექმნები, ღმერთი არ მოგიწონებს, ვი-
ზედაც შურს იძიებ, ღმერთი შენვე გაგებს.

36

მელას მოშივდა ერთი ნაჭერი ყინული იპოვ-
ნა. უნდა ეჭამა. თქვა: „ვაი ჩემს თავსა! ეს რომ
შევჭამო, არც თავში ამივა და არც მუცელში ჩამი-
ვაო“.

თარგმანი: დიდება და პატივი ქვეყნისა სიზმარ-სავით არისო, მარტო წამისა, როგორც სიზმარში ბაღში იყო, გამოგეღვიძება, აღარა იქნება-რა. წარ-მავალი და მაცდური არის წუთის სოფელი.

37

მელას ჰკითხეს: „რამდონი რიგი ოსტატობა გაქვსო?“ უთხრა: „ათასი რიგიო, ოც და ათი მარტო ძაღლისა ვიციო, მაგრამ ჩემი დიდი ოსტატობა ის არის, არც მე ძაღლი ვნახო და არც ჩემი თავი ძაღლს უჩვენო“.

თარგმანი: მრავალნი არიან, რომ შეინანონ ცოდვანი, ღვთის სათნო შეიქნას, მაგრამ ყველაზედ კარგი ის არის, რომ არა სცოდოს.

38

ერთს დედაკაცს ერთი შვილი ჰყვანდა. შვილს ბაზარში ხილსა და მხალს აპარვინებდა, და დედა სჭამ-და, და ღვთის მცნებას არ ასწავლიდა. შვილმა ქურ-დობა გაამრავლა, მრავალს საქონელს და პირუტყვს იპარევდა. შეიქნა ქურდების მთავარი. ქურდობაზედ დაიჭირეს და დაჰკიდეს. თქვა: „დედა მომგვარეთო, რომ გამოვესალმოვო“. რომ მოიყვანეს, წასწვდა და კბილით ცხვირი მოაგლიჯა. უბძანა კელმწიფემ: „დე-დაშენს ცხვირი რათ მოაგლიჯეო?“ „ამისთვის მო-ვაგლიჯეო, რომ მანამ ყმარწვილი ვიყავ, რატომ არ მასწავლა მცნება ღვთისა, რომ ამ სასჯელში არ ჩა-ვარდნილვიყავო, სამართლით მოვაგლიჯე ცხვირიო“. კელმწიფემ ბძანა: „შვილი ჩამოუშვით და დედა და-ჰკიდეთო!“ შვილი მორჩა, დედა დაჰკიდეს.

თარგმანი: რომელთაც მშობელთ შვილთ არ ასწავლონ მცნება ღვთისა, შვილთ შეცოდებას მშო-ბელთა ჰკითხავს ღმერთი დღესა განკითხვისასა.

39

მელა და მორიელი დამმობილდნენ, ყანა და-თესეს, მომკეს, გალუწეს და ხვათი დააყენეს. მელამ უთხრა: „მოდო ამ წვერზედ ავიდეთ, იქიდან ჩამო-ვირბინოთ, ვინც ხვავთან ადრე მოვიდეთ, ხორბალი სულ იმისი იყოსო“. მორიელმა უთხრა: „როიცა ჩარბენას აპირობდე, შენი შვილი გამომიგზავნე და

ერთათ გავირბინოთო". მელამ შვილი გაუგზავნა. მაშინვე მორიელი გაიქცა და ხვავთან მივიდა. ბოლოს მელა მივიდა. ნახა, მორიელი იქ დახვდა, დააწვა ხვავს: „პირობისა შენისაებრ ეს ხორბალი მთლათ ჩემი არისო". დარჩა მელა გაწბილებული.

თარგმანი: რომელნიც თავის თავის მოქადულნი არიან, ისინი დაჰკარგვენ თავიანთ თავსა, და უღონონი და ღვთის მიმდონი ეწევიან სამღთოს საუკუნოს პურსა.

40

ლომმა უთხრა თავის მოსამსახურეს მელას: „როდეს ნახო ჩემს თვალში სისხლი, მანიშნეთ, რომ ჩემი სანადიროს ჟამი მაშინ არისო". ლომი და მელა ხარობდნენ. მელა გაამპარტავანდა, ლომისაგან გამოვიდა, მგელთან მივიდა. მგელმა უთხრა: „როცა ჩემს თვალში სისხლი იყოს, თუნდა არ იყოს, როცა გკითხო, მითხარ, აგრე არისო". ერთს დღეს მგელმა უთხრა მელას: „შენს თვალში სისხლი არისო". გაიხარა, დაჯდა კუკუზე. მგელმა უთხრა: „აბა, მეც შემომხედე, მეც თვალში სისხლი მაქვსო". მელამ ყური აღარ უგდო, სანადიროთ გაიქცა. არწივმა ნახა, ფრჩხილები გაუყარა და დაარჩო მელა. მგელმა თქვა: „მართლა სისხლი მოგივიდა თვალეებში, რომ შეიმუსრე!"

თარგმანი: არა სჯობს წინ წავარდნა, თუ კაცს ძალი არა აქვს.

41

მაიმუნმა ენა ჯელმწიფობა სამოცი წელიწადი. რომ დაბერდა, ის გარდააყენეს და ყმარწვილი კაცი დასვეს ჯელმწიფეთა. მაიმუნი ტირილით წავიდა ზღვის პირზედ, ნახა იქ ერთი ლელვის ხე დიად მსხმოვია-რე; იმ ხეზედ ავიდა და იქ დამკვიდრდა, ლელვსა სჭამდა, იმითი იზრდებოდა და ღმერთს მადლობდა. მოვიდა ერთი დიდი კურია. იქ დაეჩვია, მოვიდოდა იმ ხის ძირში, აპუზა ლელვს უყრიდა, სჭამდა და აპუზას მადლობდა. მერე უთხრა კურიამ აპუზას: „მოდო, წაგიყვანო ჭალას, საცა ჩემი ნათესავნი და მოყვრები არიან, რომ ჩემზედ სიკეთის მაგიერი იმათ გარდიხადონ შენზედაო!" მაიმუნმა დაუჯერა: ჩემის სიკეთის მაგიერს მაგებნო. მაიმუნი ხიდამ ჩამოვიდა,

კურიას ზურგზედ შეაჯდა და წავიდნენ. კურია მ ზღვაში შეიყვანა. მშრალს რომ მოშორდნენ, უთხრა კურია: „ჩემო საყვარელო ძმაო მაიმუნი, ჩემი ცოლი ავათ არის, აქიმებმა მითხრეს: აპუზას გული და ნაწლევია იმისი წამალიო, ის უნდა მოხარშოთ და იმისი წყალი დაალევინოთო, შენ იმისთვის მიმყევხარო". რა მაიმუნმა შეიტყო, დიდათ დაიყვირა: „ვაი ჩემს თავსა, რომ ჩემი გული და წელი იმ ლეღვის ხეზედ გაუშვიო, თან ვერ მოვიტანეო! დაბრუნდი, ძმაო, რომ შენი მოსისხლე არ შევიქნაო, ჩემი გული და წელი ავიღო, ჩვენი ჩვეულება არის, ხეზედ დავკვიდებთ და ჩვენ გზას წავალთო, მრავალის კაცისათვის ურგიაო ღვთითაო!" კურია დაუჯერა, მაიმუნი გამოაბრუნა, მივიდა იმ ლეღვის ძირში, შეირბინა ხეზედ, ავიდა. კურია დაუძახა: „მალე ქენ, წავიღოთო, ავანტყოფი მორჩესო!" აპუზამ უთხრა: „შენ უნდა დაგიჯერო და ამ ხიდამ ჩამოვიდეო, ვირზედ უგუნური უნდა ვიყოო, რომ ლომს მორჩა, კიდეც მოტყუვდა, დაბრუნდა, ლომისავ ხელით მოჰკვდაო!" კურია უთხრა: „ღმერთი განგიკითხავს, რომ ტყუილი სთქვიო". უთხრა აპუზამ: „შენ განგიკითხავს ღმერთი, რომ შენ მე ტყუილი მასწავლეო". უთხრა: „მადლი არისო, რომ ტყუილით მოვრჩიო, როგორც კაკაბმა და ჩიტმა²⁰ რომ მოატყუეს და მორჩნენ".

თარგმანი: კეთილის დამვიწყებელს ღმერთიც დავიწყებია. კაცს რომ სიკეთე უყო და ის ცდილობდეს შენ ბოროტი მოგაგოს, შენ მოშორდი იმას.

42

ერთი მხეცი არის უადამიანოს ადგილსა. იმისი რქები ხერხსავით არის. მაცვალში შევა, იქ თამაშობას დაიწყებს⁹ და იმისი რქები მაცვლის შტო[ზედ] მოედება და რქები დაებმის, ველარ გამოიღებს, დაიწყებს ყვირილსა. მონადირეები იმის ხმას გაიგონებენ, მივლენ და მოჰკვლენ.

თარგმანი: თუ შევიყვაროთ სოფელი და გავიადვილოთ ცოდვა და ბილწი გულისთქმა, მალე გვიპოვნის პილწი მონადირე ეშმაკი და სულით მოგვკლავს.

43

ერთი მხეცი არის ზღვაში, რომ ცეცხლსა

სჭამს. მოვლენ იმისი მონადირეები, ცეცხლს დაან-
თებენ და თითონ დაიმალებიან. მხეცი გამოვა ზღვი-
დამ დიდის ნდომით და ცეცხლს შესჭამს. იმისგან
დაბუჟდება, დაითრობა და დაეცემა. მოვლენ მონა-
დირეები, მოჰკვლენ²¹, იტყვიან: „იმის ტყავი რომ
ცეცხლში ჩააგდო, არ დაიწვისო“.

თარგმანი: თუ კაცი დამკვიდრებულია და ან-
თებულია ცოდვის სიყვარულით, და ცოდვა გაუადვი-
ლებია, და ცოდვით მთვრალი არის, იმის მონადირე
ეშმაკი არის, მოვა და მოჰკლავს ჩვენს სულსა.

44

ერთი მფრინველი არის, რომ იმისი კვერცხი
წამალი არის, და მონადირეები კვერცხისათვის იმ ფრინ-
ველსა სდევნენ და აწუხებენ. ის ფრინველი, როცა
მონადირეს ნახავს, იმ თავის კვერცხებს დაამტკრებს
და გარდმოჰყრის და თითონ გაიქცევა.

თარგმანი: რაც ეშმაკს უყვარს, რომ იმითი
გდევს, შენ ის მოიკვეთე და შენგან გააგდე, და გაე-
ქეცი, და კეთილი იმოქმედე!

45

ერთი მხეცი არის ზღვაში, როცა მოშივდე-
ბა, პირს დააღებს და ერთი გემოვანი სული ჩაუვა
პირში. მოვლენ თევზნი იმ სულის შეტყობით, მხეცს
პირში ჩაუვლენ. ის მხეცი პირს მომუჭავს, თევზნი
პირში დარჩებიან და ის არის იმისი საზრდო და სა-
ჭმელი.

თარგმანი: იმის მგზავსად ეშმაკს პირი დაუღია,
როგორც ლომი და ვეშაპი. სული კარგი და ტ კბი-
ლი ცოდვისაგან მოვა, პირში სასიამოვნე, და ცხვირ-
ში კარგი სული მიედინება, ჩვენ მივალთ ჩვენის ნე-
ბით და ჩავცვივით ლომისა და ვეშაპის პირში და
მუცელში, ის პირს მომუჭავს ჩვენზედ, და ჩავცვივით
საუკუნოს გენიასა.

46

იყო მარტომყოფელი ერთს სოფელში. ჩავარ-
და სიძვის ცოდვაში. მამასახლისმა მოიყვანა ერთი
ძალი ანჩხლი და ძალიანი, რომ ღამე სულ გარს
უვლიდა, სოფელს ინახევდა ნადირისაგან. ერთს ღა-

მეს მოვიდა ის მარტომყოფელი სოფლიდამ, ესიძვა. ის ძალი დახვდა სოფლის ნაპირს იმ მარტომყოფს, დაჰყეფა, მივარდა და დაგლიჯა. გაიქცა, თავის სენაკში მივიდა და დიდათ შეაწუხა. სენაკის კარი დაკეტა, შეინანა და ტიროდა მწარეთ: „ვაი ჩემს თავსა, ღმერთო, ამ ფრიად ჟამს არ მოვიქეც და არც შევიშინე შენგან¹⁵ ჯოჯოხეთში დარჯისათვის, დღეს ერთის ქაფარის ძაღლისაგან ამ მწუხარებაში ვარ, გავექეც და ვერ მოურჩი, აწ შემიბრალე, ქრისტე, და წაართვი ჩემი თავი ეშმაკსა!“ მაშინ გაუშო ეშმაკმა ბოზობისაგან, დასცხრა და შეინანა.

თარგმანი: მრავალთ კაცთ დაადამეს ცოდვაში მეფეთ, დიდებულთ, წინამძღვართ, მოსამართლეთ, და როცა გონებას მოეგნენ, და ცოდვა მოიკვეთეს, და სინანულით გაწმდნენ, შეიქნენ სათნო ღვთისა, იპოეს სასუფეველი.

47

იყო ერთი მარტომყოფელი. ცოდვაში ჩავარდა, ისიძვა. მოიქცა, იტირა, მრავალი მუხლი იყარა და დავითნს კითხულობდა, წვერზ[ედ] იფურთხევედა, თავის თავს არცხვენდა. ეშმა კი შეწუხდა იმის ლოცვისაგან. ერთს ღამეს მოვიდა ეშმაკი და უთხრა: „მაგდენის ლოცვით რათ გვაწუხებო? ისი სჯობია, მოხვიდე, ჩვენი ნება ჰქნაო, მერე შეინანე და ღვთის სათნო შეიქენო!“ მარტომყოფელმა უთხრა: „შე დაწყევლილო ძაღლო, რომ ამ სენაკში ჩემს მოსატყუებლათ მოზდიხარო და ჯოხითა მცემ თავშიაო, უნდა გამაუშეციერო და ცოდვაში ჩამაგდოო? გავიღვიძე და გონებას მოველ, ახლა მე გცემ რკინის ჯოხით თავშიაო, ღმერთი ჩემი მოწყალე არისო, თქვენკენ არ გამომიშვებსო!“ იმ ჟამს განქარდა ის ბილწი ეშმაკი.

48

ერთი მეუდაბნოე სამი წელიწადი სიძვის ცოდვაში იყო. მამამ არ იცოდა. დღესა ერთსა მამამ შეუტყო, დაუძახა და უთხრა: „ამდონი ღამე არის, სადა ხარო და რათ იწყრომებ ღმერთსაო? დავარდა მიწაზედ და მამას ფეხთ მოეხვია და თქვა: „ვცოდე ღმერთსაო, ეს სამი წელიწადია, რომ სიძვის ცოდვაში ვარო“. უთხრა მამამ: „რას მოქმედობდი, რომ

ამდონს ხანს ღმერთმან დაგიფარაო?" მოახსენა: „ჩემი ჩვეულება ეს იყო: წავიდოდი, ცოდვას აღვასრულებდი, მოვიდოდი, მთლათ დავითნს ტირილით წავიკითხევი და სინანულის ლოცვებს წავიკითხებოდიო. ამდამ ეშმაკმა გამამცონარა, ვერც დავითნი და ვერც სინანულის ლოცვები წავიკითხე, და არც სრულობით ღმერთი ვახსენეო“. ზმანა მამამ: „კურთხეულ არს ღმერთიო, რომ არ დაჰკარგავს კაცსაო, რადგან ამდამ ღმერთმან მოგხედა და მოხველ სინანულად, ღვთის მადლით, მეც მომიტევებია შენი ცოდვაო“. ის შეიქნა ღვთის სათნო, შევიდა დიდს სინანულში და კეთილმოქმედებაში.

49

კატამ წამოისხა ფილონი. უთხრა თავგებს: „აღარ შევალ თქვენს ხოც[ვ]ასა და სისხლშიაო, შეველ სინანულშიაო“. თავგებმა უთხრეს „არ დაგიჯერებთ, შე ორგულო, თუნდა მამა ანტონის რიგიც დაიჭირო“. მერე წავიდა წისქვილში, ფქვილი წაიყარა და თქვა: „მეწისქვილე ვარო“. მივიდნენ თავგები და უთხრეს: „შე ორგულო, არ დაგიჯერებთ, შენ მეწისქვილე არა ხარო“. მერე კატა ტყუილათ მოკვდა და თავგების მხარეს დაწვა. მოვიდნენ თავგები და უთხრეს: „შე ბოროტო, თუნდა შენი ტყავი გუდათ გახდილი ვნახოთ, მაშინც შენს სიკვდილს არ დაგიჯერებთო, შენი ჩვეულება სიბოროტე არის, და არ გაუშვებო შენს ეშმაკობასაო“. თარგმანი: რომელიც კაცი თავის ჩვეულებრივს სიბოროტეს არ გაუშვებს, იმ ბოროტობით თითონ ივნებს და სხვათ ვერას ავნებს.

50

კატა ჯელმწიფის მესაწოლეთ დააყენეს და ოქროს სასთაულზედ დასვეს, და სახელმწიფო საჭმელე-ბი მიართვეს და უთხრეს: „შენს ჩვეულებას-ქცევას დაეხსენო!“ კატამ უთხრა: „თუნდა ოქროშიაც ჩამსოთ და მარგალიტშიაცა, ვერ დავთმოზ ჩემს ჩვეულებასა“. კატამ რომ თავი ნახოს, თავის ბუტბუტს არ მოიშლის.

თარგმანი: ბოროტის მქნელს რაზომც კეთილი აწიო, ის არ გისმენს, ნურც დაიჯერებ, დიად მეცნიერი და კეთილი კაცი უნდა იყოს, რომ ბორო-

ტისაგან მოიქცეს და კეთილი გისმინოს.

51

ერთი მონადირე დასავლეთის მხარეს ნადირობდა. ნახა ერთი კურია. მონადირე მძიმეთ მოიქცა. შაგირდებმა უთხრეს: „ავჩქარდეთ, კურია არსად წაგვივიდესო!“ მონადირემ უთხრა: „ნუ ჩქარობთ, ეგ კურია უგონო არის, არსად წაგვი[ვ]აო, ვერც გავვექცევაო, როცა გვინდა, ჩვენია, დავიჭერთო“.

თარგმანი: ის მონადირე ეშმაკი არისო, კურია ცოდვილნი არიანო. უთხრა ეშმაკმა დევთ: „ნუ ცდილობთ, თუ წავიდეთ კუდიანის სახლში, ან კაცის მკვლელთან, ან მეზოზართან, ან მცონართან, ან ამპარტავანთან, ან მამუზლართან და სხვა ცოდვის მქნელთან, ისინი ჩვენნი არიან, ნებით თავიანთ თავი ჩვენთვის მოუციათო. თქვენ წადით, სადაც წმიდა კაცები არიან, იმათ შეუდექით, პირით ერთი რამ გმოზა ათქმევინეთ, რომ ქალაქი იმათი პირი არისო, ქალაქში ხომ არ გაივლიან, პირიდან ამოსულის სიტყვით და გმოზით უნდა მოვინადიროთო“.

52

სამი აქლემი და სამი მელა დაძმობილდნენ და ერთს და ერთს გზას მიდიოდნენ. სამი წმიდა პური იპოვნეს. აქლემებმა აიღეს და შეჭამეს. მელეები ფეხთ ეხვეოდნენ ტირილით. აქლემებმა ფეხი დააჭირეს და ის მელეები დახოცეს.

თარგმანი: დიდ-გვარნი და დიდებულნი სწოვენ დაბლის კაცის ტვინსა. როცა დააკლდებათ რამ მეფეთა, თავადთა და დიდებულთა, უქონლობით დაიხოცებიან ისინი.

53

დედაკაცი ერთი მიდიოდა იერუსალიმს და შვილს უთხრა: „კრუხსა და წიწილებს ყური უგდე, ან არ დაიხოცნენ, ან არ დაიკარგნენ, მანამ მე მოვიდოდეო!“ შვილმა ის წიწილები და დედა იმათ ერთათ ბაწრით შეკრა და დააგდო. მოვიდა მალიდამ ძერა, ერთს წიწილას დასწვდა, აიყვანა. იმდონი წიწილა და დედა თან გაჰყვნენ.

თარგმანი: ქრისტე რომ ამაღლდა ზეცათ, გა[ამ]

პარტავანდნენ ერნი. მეფეთ, დიდებულთ და წინამ-
ძღვართ მიეცათ მწუხარება და ზრუნვა სოფლისა.
აღარ მოინდომეს თავიანთ მწყემსის ქრისტეს მფარ-
ველობა. ეშმაკმა აავსო ცოდვით, ერთობით ჩაყარა
ჯოჯოხეთში ჰელმწიფენი, დიდებულნი, წინამძღვარ-
ნი, და ერნი სცთნენ. ერნი მაყურებელნი არიან მე-
ფისა და წინამძღვრისა.

54

ერთი რძალი იყო მშვიდი და მდაბალი. დე-
დამთილმა და მამამთილმა თქვეს: „ჩვენი რძალი ვცა-
დოთო“. ერთმა უთხრა: „რძალო, კარი მიუგდეო!“
მეორემ უთხრა: „კარი გააღეო!“ რძალმა კიდეც
გააღო, კიდეც მიუგდო მრავალჯერ, არ გაჯავრდა.

თარგმანი: მოციქულთ, წინასწარმეტყველთ და
მამამთავართ მოთმინებით და მდაბლობით უქადაგეს
ქვეყანას.

55

ერთი გლახა მიდიოდა გზაზედ. ავათ გახდა
და დაეგდო. ღმერთს ეხვეწებოდა: „ერთი ადამიანი
გაჩნდეს, რომ ამიკიდოს და შენობაში მიმიყვანოსო“.
ერთი კაცი მივიდა, ერთი კვიციანი ვირი ჰყვანდა,
უთხრა იმ ავანტყოფს: „ადეჲ, ეს კვიცი აიკიდე, და-
ღალულიაო და ჩვენს სახლამდინ წაიყვანეო!“ სცემ-
და და ეუბნებ[ოდ]ა: „მალე ადეჲ, აიკიდეო!“ ავან-
ტყოფი ტიროდა, ფეხზედ დგომა არ შეეძლო. კაცი
არ ეშვებოდა, სცემდა. ის გლახა ტიროდა: „ვაი ჩემს
თავს! მე გეხვეწებოდი, ღმერთო, იყოს ვინმე, ამიკი-
დოს, შენობამდინ მიმიყვანოსო, და ჩემის შემსუბუ-
ქების მაგიერათ საპალნე დამიმძიმდაო, უმეტესი მწუ-
ხარება მომემატაო!“

თარგმანი მრავალნი არიან სათნო ღვთისა,
ღმერთს ევედრებიან. იმათ მიადგებათ ზრუნვა, რო-
მელნიც მოითმენენ, მიიღებენ გვირგვინსა, როგორ-
ცა სწერენ სამღთონი: „მრავალი არიან ჭირნი მარ-
თალთანო!“

56

კაცი ერთი წავიდა თავის მძახალთან ქალის
სათხოვნელათ. როგორც ჩვეულება არის კაცისა,

რომ მივიდა, ის თავისი სარძლო¹⁵ გვერდს დაუჯდა, მოახსენა: „მშვიდობით მოხველ, მამაო, თუ მობძანდები, ჯერ წავიდეთ საბერძნეთს, იქიდან წავიდეთ იერუსალიმს, მერე წავიდეთ დავეყუდნეთო“. უთხრა იმ კაცმა: „ვაიმე, შვილო, მე მინდოდა ჩემსა წამეყვანე და შენ მალებინებ ჯელს ჩემის სახლიდამაო!“

თარგმანი: ქრისტე მოვიდა მიებათ კაცისა, მაგრამ [მ]ცნება არ დაიმარხეს ქრისტესი. ბერი მიდის საქადაგებლათ, მაგრამ არავინ მიდის გამგონი.

57

მელამ ნახა, აქლემი გდია და კვდება. აქლემს გვერდ[თ] დაუჯდა. უთხრა აქლემმა: „რათ დამიჯექ გვერდ[დ]თ, მელაო?“ მელამ უთხრა: „როცა მოჰკვდები, შენს ხორცსა ვჭამო“. უთხრა აქლემმა: „მანამ ვერ მოითმენ, საბელი ჩემი გრძელი არის, გვიან მოეჰკვდებიო“. უთხრა მელამ: „დიალ მომთმინე ვარო, თუნდა ორმოც დღეს კიდევ გასძლო, აქ მოვიციდი“.

თარგმანი: ბერს და ეპიზკოპოზთ მართებსთ მშვიდობით და ლობიერათ დაამწყსონ ერი თვისი და ტკბილათ მოიხმონ ცოდვილნი. მოთმინებისაგან უდიდესი კაცს არაფერი ეჭირება-რა. მოციქულთ, წინასწარმეტყველთ და მოწამეთ მშვიდობით დაამწყსეს ერნი და გაანათლეს სახლი ღვთისა.

58

ერთმა მღვდელმა ერთს ქვრივს დედაკაცს ფური მოჰპარა და წაიყვანა, თავის ახურში დააბა. დედაკაცმა შეუტყო, უთხრა მღვდელსა: „შენს ახურში აღსარება მათქმევინეო“. მღვდელმა ის ფური გააპარა, საყდარში შეაგდო. დედაკაცმა ნახა და უთხრა: „სიკვდილის ჟამი მაქვს, საყდარში მათქმევინე აღსარებაო“. მღვდელმა ის ფური საკურთხეველში შეაგდო. დედაკაცმა ფარდა მოსწია, ნახა ფური და უთხრა: „შენ უკეთურო, ვინ გაგხადა შენ მწირველათ, რომ მანდა ხარ, მითხარო!“

თარგმანი: მოთმინებით და მეცნიერებით მართებსთ წინამძღვართ გამოძიება, ჭეშმარიტებით შეტყობა მღვდლისა, და შეიტყონ იმათ ქცევა, რომ არ იყვნენ ღირსი წირვისა, ფარულათ უნდა ამხილონ,

არ უნდა გაუშონ, რომ სწირონ, უღირსის წირვით არავინ აზიარონ.

59

ერთმა კაცმა კაცი მოკლა. კაცის მკვლელი გაიქცა, ერთს წყალს გავიდა. წყალს ერქო ნილოს²². წყლის პირს ნახა ერთი ლომი, იმისგან გაიქცა და ერთს დიდს ხეზედ ავიდა. იმ ხეზედაც იყო ვეშაპი, იმის შიშით ძირს ჩამოვარდა. იმ ვეშაპმა ის კაცი ჩაყლაპა.

თარგმანი: ცოდვილი ვერსად გაექცევა ღმერთსა. თუ არ მოიქცა, ცოდვაზედ ხელი არ აიღო და არ შეინანა, სააქაოს და საიქიოს დაისჯება, როგორც იობ მოთმინების ნაცვალ ღვთისაგან ბევრეულათ. კაცის მკვლელთ და კაცის შემაწუხებელთ ვერ ნახონ დიდება სასუფევლისა.

60

დეკეულები სასაცილოთ იგდებდნენ ხარებს და ეუბნებოდნენ: „თქვენ მუდამ მოუსვენლობაში ხართო, არ ისვენებთ მუშაკობისაგანაო“. ჯელმწიფემ მეჯლიში მოინდომა. მოასხეს დეკეულები, დახოცეს სადილისათვის. ხარებმა უთხრეს: „შვილებო, თქვენ ხომ მოსვენებით იყავით და ეგრე სწრაფათ დაიხოცენითო!“

თარგმანი: უთხრან ყოველთ წმინდანთ მარცხნივ მხარეს ცოდვილთ: „აჰა, შვილებო, ეგ იყო თქვენთვის განმზადებული, რომ ცეცხლში იწვით, წუთის სოფელში განსვენებაში ამყოფეთ თქვენი გვაში, ცოდვით განბრწყინებული სჯილით მართალთ და ახლა თქვენ ირჯებით!“

61

ღორი ილესდა კბილებსა ძალიან. უთხრა მელამ: „რათ ილეს აგრე ძალზედ კბილებსა, საომარი ხომ არავისთანა გაქვსო?“ უთხრა: „შე უკეთურო, მე მზათა ვარო საომრათაო, მოდი, მეომეო!“ მელას რა შეეძლო იმისი ომი.

თარგმანი: თუ ამ სოფელში კაცმა ცოდვა არ შეინანა სინანულით, დღესა განკითხვისასა აღარ არის შველა და არც არავინ შეიბრალეbs, როგორც ბძა-

ნებს წმიდა სახარება დიდებულთათვის, როგორც სულელ ქალწულთა.

62

ორბი როცა დაბერდება, ამაღლება ჰაერსა, მზის სიცხესთან მივა, ძალიან გაცხელდება, ზეიდან ჩამოვა დუმილით, ჩამოვა ცივს წყალზედ, იმ წყალში გაიბანება, გამოვა, გაიბერტყება, ბურტყელი გასცვივდება, გაახლება და გაპაბუკდება ყოვლისფრით.

თარგმანი: ვინც დაბერდეს და დაძველდეს, უნდა უსამართლობისაგან და ცოდვისაგან ხელი აიღოს, და ქრისტეს სიყვარულით ცეცხლისავით აღუწვოს, და თავისის ცრემლით მოინათლოს, მოღვაწებით და მოწყალებით გაწმენდეს და ცოდვის ბურტყელი გაიყრევინოს, და დაიხსნას ჯოჯობეთისაგან, ეწიოს ღვთის წყალობასა, როგორც იტყვის წინასწარმეტყველი დავით: „აღასრულე კეთილი გულისთქმა შენი, განახლდი, როგორც ორბი!“

63

ორბი მალა ჰაერში დადიოდა. იმას ისარი მოხვდა. გაუკვირდა: მე ისარი საიდან მომხვდაო? დახედა, ისარი თავისი ფრთა იყო. თქვა: „ვაი ჩემს თავს, ჩემგანვე იქმნა სიკვდილი ჩემიო!“

თარგმანი: კაცის ნივთი თავისგანვე არის, რომ ჰკლავს ეშმაკი, ის აგვაღელებს, ჩვენის ნებით მივალთ ეშმაკის ნებასა.

64

ერთს კაცს აცივებდა დიდი ხანი. ამას უთხრეს: „წადი შენ ქალაქის კარზედ, ვინც პირველათ შემოგეყაროს, უთხარ იმას: „ჩემი შენ და შენი მეო“. შემოეყარა ერთი ათეშაკიანი კაცი. ამას შეეშინდა და უთხრა: „ჩემი მე და შენი შენაო!“

თარგმანი: ეშმაკი ცდილობს, რომ გაგვაუსასოს და ღმერთს დაგვაშოროს, როგორც თითონ იქმნა. როცა ეშმაკი გერკინებოდეს, მაშინ უნდა უთხრა: „შენი შენ და ჩემი მე, მე ერთი ცოდვილი კაცი ვარ, მაგრამ მე ჩემს ღმერთს ვერა ვგმობო, მარადის მიხმობს სიყვარულით, ცოდვას გავაგდებ და

მივალ ღმერთთან სასოებითაო!“

65

მგელი და მელა დაძმობილდნენ. წავიდნენ თევზის სანადიროთ. უთხრა მელამ: „წყალში თევზი ბევრი არის, სამთხვეველი ესროლეო“. იყო ზამთარი. მგელმა სამთხვეველი ესროლა. სამთხვეველი შიგ გაიყინა. მელამ უთხრა: „ღვთის მადლით, სამთხვეველი იმისთვის დამძიმდა, თევზი ბევრი ჩავიდა, გამოსწივეო“. რომ გამოჰსწივა, ყინული იყო და გაწყდა სამთხვეველის თოკი, და სამთხვეველი წყალმა წაიღო. ტიროდა მგელი მწარეთ: „ვერც თევზი დავიჭირე და სამთხვეველიც წამივიდაო!“

თარგმანი: ამასავით შეჰკრავს ეშმა კი ცოდვით, მან დაიხოცნენ, აქაც დაიკარგებიან და საიქიოსაცა.

66

მელამ ერთი ქალაღდი იპოვნა დაწერილი. წაიღო მგელთან და უთხრა: „ამდონი ხანი ვიჭირნახულე და ბატონს კაცები შეუყენე. ბატონისაგან ეს ოქმი ავიღე, რომ საცა სოფელში მიხვიდეო, თითო ცხვარი უნდა მოგცენო და ყოველმა სახლმა თითო ქათამი მოგცენო. ვერც კაცმა და ვერც ძაღლმა შენ ვერ შეგაწუხონო!“ მგელი ასე მოატყუა, და გაჰყვა მგელი მელას. როიცა წავიდნენ, მელა ერთს სერზედ ავიდა და მგელი გაგზავნა სოფელში: „შენი ულუფა აიღეო, მე ამ ოქმს შევინახამო, ვინც არ მოგცემს, მე უჩვენებ ოქმსაო, რომ მოგცენო“. მგელი წავიდა სოფლის ნაპირს. მაშინვე კაცებმა და ძაღლებმა ეს მგელი შუა ჩაიგდეს, უნდა მოეკლათ. მგელმა დაიყვირა: „მოიტანე ეგ ბატონის ოქმიო, რომ ნახონ ამ კაცთაო, რომ დაიჯერონო ბატონის ბძანებით მოვსულვარო!“ მელამ დაუძახა: „ჰი, მგელო, მაგ სოფელში წამკითხავი არავინ არისო, რომ ოქმი მოვიტანო!“ ისე მოატყუა და შემუსრა მგელი.

67

მელამ მოატყუა მგელი. ერთი ქალაღდი მისცა: „წაიღე ეს წიგნი სოფელში, მამასახლისს უჩვენეო და საჭმელს მოგცემსო“. როიცა მგელმა ის წიგ-

ნი წაიღო სოფელში, სოფლის კაცნი და ძაღლები დაეხვივნენ, დაგლიჯეს. რის ყოფით ცოცხალ-მკვდარ მა გამოასწრო. უთხრა მელამ: „რატომ წიგნი არ უჩვენეო? მგელმა უთხრა: „ათასი ძაღლი იყო, მაგრამ არც ერთმა წიგნი არ იცოდაო“.

თარგმანი: მრავალს უმეცარში ნუ შეხვალ და მტრის სიტყვას ნუ დაიჯერებო, უმეცარს კაცს ნუ გაჰყვებიო, მეცნიერობით გაექეცო ეშმაკსა და იმათ მიმყოლსაო.

68

ნახა მელამ, მონადირეს მახეზედ ყველი აუგია. მოვიდა, მგელს უთხრა: „ერთს ალაგს ყველი მიპოვნია, ჩემი მარხო არის, ის ყველი ჭამეო“. მგელმა დაუჯერა. მიიყვანა მახეზედ, ის ყველი უჩვენა. მგელმა იმ ყველს პირი დაავლო. ყველი აქეთ გადმოვარდა, თითონ კისერი მახეში ჩაუვარდა. ის ყველი მელამ შეჭამა. მგელმა უთხრა: „დღეს ხომ პარასკევია, რათ²³ შესჭამე? ღმერთი გაგიწყრებაო!“ მელამ უთხრა: „მახე კისერზედ გარდაგეცო, ღმერთი შენ გაგიწყრაო!“ მგელმა წუწუნნი დაიწყო და აქეთ-იქით იწეოდა. მელამ უთხრა: „მე რომ მახეში ჩავარდი, მეც აქეთ-იქით ბევრი ვიწიეო“. მგელმა უთხრა: „ვაი მე, მეტათ შევწუხდიო!“ მელამ უთხრა: „ში, ძმაო, ჯერ არაფერი გიჭირსო, ვაი მაშინ დაგემართება, როცა ყველის პატრონი მოვაო“.

თარგმანი: უფთხილდი, რომ არ მოსტყუვდე ეშმაკისაგან. შეგკრავს შენ ცოდვაში ეშმაკი, ცოდვას გაგიადვილებს. მაშინ დაიყრი ვაისა, როდეს მოვიდეს ქრისტე მეორეთ მოსვლასა.

69

ერთს ჯელმწიფეს ერთი მეგობარი გველი ჰყვანდა. ყოველს დღეს ჯელმწიფისათვის ერთი ოქრო მოჰქონდა. ამ ჯელმწიფეს ვაჟი ეყოლა. გველმა მეტათ გაიხარა. მოვიდა გველი, ამ ყმარწვილს შეეჩვია. ყმარწვილი და გველი მუდამ ერთად თამაშობდნენ. ეს ყმარწვილი რომ გაიხარდა, აიღო ხმალი, დაჰკრა გველსა და კუდი მოსწყვიტა. გველიც გაჯავრდა, ეცა ყმარწვილსა და მოკლა. გაიქცა გველი, დაიძალა. ჯელმწიფემ გველის სიყვარული ვერ დასთმო, კაცი მიუგზავნა: „მოდი ისევ ჩემთანაო“. გველმა შემოუ-

თვალა: „არ იქნებალა ჩემგან შენთან მოსვლაო: რამდონსაც შენ შენის შვილის საფლავსა ნახავო, იმდენი ჩემზედ გულძვირათ შეიქნებო, და რამდონსაც მე ჩემს კულზედ დავიხედავ, შენზედ გულძვირათ შევიქნებო, ერთმანერთზედ შორს ვიყვნეთო!“

თარგმანი: კაცზედ რომ შური ჩაგედვას და გულძვირათ შეიქნა, მოშორდი, მანამ შენი გული დამშვიდდეს. აგრეთვე თუ სხვის გული შენზედ შურად შეიქნას, კიდევ მოშორდი, მანამ შენზედ გული მოუბრუნდეს. თუ კაცს დაუშაო რამ, გაეცალე, მანამ იმ კაცმა შენზედ გული მოიბრუნოს, რომ ახლოს ყოფნით უფრო დიდი შფოთი არ მოგიხდესთ.

70

ერთს კაცს ერთი აბაზი ჰქონდა. კაცი ესე უგონო და უმეცარი იყო. თქვა: „წავალ, აბაზით ერთს ვირს ვიყიდო“. აიღო აბაზი, ქალაქს მოვიდა. აქა-იქ იკითხა: „აბაზი მაქვს, ვირი უნდა ვიყიდოო“. აბაზათ ვირს ვინ მისცემდა? მოვიდა ბაზარში, ნახა, ერთს დიდს საზამთროსა ჰყიდიან. ამ კაცმა რომ ნახა, არ ენახა და გაიკვირვა. ჰკითხა: „რა არის ესაო?“ ნახეს, რომ ეს კაცი უმეცარი იყო, უთხრეს: „ეს ინდოური ვირის კვერცხი არისო, რომ ინდოურს ძვირფასის ვირს მოიგებსო“. ამ კაცმა გაიხარა, მისცა აბაზი და ის საზამთრო იყიდა, გამსყიდველმა უთხრა: „ფთხილათ და კარგათ წაიღე, რომ კელიდამ არ გაგვარდესო“. გამსყიდველი დაიმალა: არ შემიტყოს და არ მომიბრუნოსო. ამ კაცს სიხარულით მიაქვს. ერთს ალაგს ქვას ფეხი წამოჰკრა, წაიქცა დაღმართი იყო, დაუგორდა საზამთრო. ბუჭკში კურდღელი იწვა, წამოხტა. ამ კაცს ეგონა, ჩემმა კვერცხმა მუტრუკი მოიგოო. უყვირის კურდღელს: „ქური, ქური, სად მირბი, ინდოური ვირის კვიცი? ვაი ჩემს თავს, მოდი ჩემთანაო!“ გაიქცა, წავიდა კურდღელი.

თარგმანი: ამის მსგავს გაუმეცარდნენ მღვდელნი და ერნი ამ მაცდურის სოფლის სიყვარულით. როგორც ქარმან წამოჰქროლოს და კაცმან სიზმარი ნახოს, იმასა ჰგავს სოფელი. ვცდილობთ დავიჭიროთ ცოდვა ქვეყნისა და შევიქნათ საწყალობელნი.

71

გველი ერთს კაცს გაუმეგობრდა. მიდიოდნენ

გზასა. ერთი მდინარე წყალი ნახეს გასასვლელი. კაც-
მა ის გველი უბეში ჩაისო და წყალს გაიყვანა, და
ის გველი უბიდამ აღარ გამოვიდა, უნდოდა ის კა-
ცი თავის გესლით მოეკლა. კაცმა უთხრა: „რა ჩემი
სიკეთის მაგიერია, წავიდეთ სამართალშიაო“. მოვიდ-
ნენ სამართალში. წინ მელა შემოეყარათ. კაცმა
უთხრა: „უბეში გველი მიზის, მკლავს, სამართალი
მოგვეციო!“ მელამ მიზეზი შეიტყო. გველს უთხრა:
„შენც მაგის უბიდამ ამოდი, ორთავ ერთათ დაიჩო-
ქეთ, თქვენი საჩივარი გავიგონო და სამართალი მოგ-
ცეო!“ გამოვიდა გველი. უთხრა იმ კაცს: „რადას
უყურებ, ხელში რომ რკინა გიჭირავს, დაჰკარ, მო-
კალო!“ დაჰკრა, ის გველი მოკლა.

თარგმანი: გაფთხილდი მზაკვარის კაცისაგან, ნუ-
რას გზით ნუ გაეწყობი. კიდევ ამას გეტყვი: დიდი,
ძნელი და ღვთის წინამდევნი ეს არის, რომ ცილის-
მწამებელი კაცი მოსამართლემ გაამართლოს.

72

ერთს დედაკაცს ერთი ფური ჰყვანდა და ამ
დედაკაცის გერსაც ერთი ვირი ჰყვანდა. ფურის საჭ-
მელს იპარევიდა გერი და თავის ვირს უყრიდა. დედა-
კაცი ღმერთს ეხვეწებოდა: ეს იმის ვირი მოკვდესო.
ვირი კი არ მოკვდა, თავისი ფური მოკვდა. ტირო-
და დედაკაცი და ამბობდა: „ვაი მე, თუ ჩემი ლოც-
ვა შეიცვალა და ღმერთმან ვერ გაარჩია ვირი და ჩე-
მი ფური მოკვდა!“

თარგმანი: შენის ამხანაგის და მეზობლის ძვირს
ნუ იძრახავ, თორემ ბოროტი შენ მოგვევლინება. შენ
ილოცე: ღმერთო, ჩემს შურის მაძიებელს შენ მიაგე
კეთილი-თქო, და ღმერთი სწორი მოსამართლე არის,
საქმისაებრ თვისთა ყოველს მიანიჭებს.

73

ლომმა ნახა, მიდიოდნენ ყოველნი ცხოველ-
ნი დიად შემინებულნი. ჰკითხა: „აგრე ვისგან შეგ-
შინებიათო?“ იმათ უთხრეს: „კაცისაგან, რომ იმან
განგვედევნა“. მოვიდა ერთი კაცი. ჰკითხა ლომმა კაც-
სა ამას: „შენა ხარ ის კაცი, რომ ამდონი კაცნი და
მხეცნი შეგიშინებია და შენგან ივლტვიანო?“ კაცმა
უთხრა: „მე ვარო“ უთხრა ლომმა: „თუ ის კაცი
შენა ხარ, მოდი, მე და შენ ვიომოთო, შენ გელო-

დიო". უთხრა კაცმა: „საომარი იარაღი აქ არა მაქვს, თუ მომიცდი და არ გამექცევი, ლომი მკვები გამიგონიაო, იარაღს შემოვირტყამ და მოვალო". მოუწონა ლომმა. კაცმა თქვა: „არ გამექცეო!" ლომი ხეზედ მიაკრა, მუხის ჯოხები დასჭრა და დაუწყო ცემა. თქვა ლომმა: „ჩემისთანა უმეცარს ეს დღე შეშენისო!“

თარგმანი: შემძლებელთ და ძალიან კაცთ აცთუნონ მდაბალი და საწყალი კაცი, გატანჯონ და აწუხონ. მგზავს მისა დღესა განკითხვისასა დასთმოუქცეველთ, ცოდვილთა და კაცთ მაჭირვებელთ მიაგოს ღმერთმან და წარგზავნოს ცეცხლსა მას დაუშრეტელსა, და თქვან: „ეს შეგვშენის ჩვენ, რომ არ ვისმინეთ მცნება ღვთისა, და არა ვქენით ნება მისი“.

74

ლომი გახდა ავათ. მინდვრის ნადირნი მოდიოდნენ სანახავათ. მელამ დაიგვიანა. დათვმა დააბეზლა მელა. როდეს მელა მოვიდა, თავის მეგობართ უთხრეს: „დათვმა შენ დაგაბეზლაო“. ლომმა რომ ნახა, მელას გაუწყრა და უთხრა: „შე საძაგელო, რათ დაიგვიანეო?“ მელამ მოახსენა: „კეთილო ჯელმწიფე, ნუ მიწყრები, ვფიცავ თავსა შენსა, დიდათ გავისარჯე²⁴ და მრავალი ალაგი მოვიარე, თქვენთვის ვეძებდი²⁵ აქიმსაო!“ დაუმაძლა ლომმა და უბძანა: „მშვიდობით მოხველ, მელაო, რა უყავ ჩემი წამალიო?“ მოახსენა: „მრავალს პირველს აქიმებთან მიველ და მითხრეს: დათვს ტყავი გახადეთ და თბილთბილი იმის ტყავში ჩააწვინეთ, იმაში ოფლი ადინეთ და მორჩებაო!“ ბძანა ლომმა: „დათვს ტყავი გახადეთ[ო]!“ დაიჭირეს, დათვს ტყავსა ხდიდნენ. ის ყვიროდა. მელამ უთხრა: „ეგრე ტყავს გახდიან, ვინც ჯელმწიფესთან კაცს დააბეზლებსო!“ შეიმუსრა დათვი.

თარგმანი: არა ჯერ არს, რომ კაცმა ან მეფის ან დიდებულის კარზედ დააბეზლოს ვინმე, რომ მრავალნი დაემტერებიანო. ყოველმა კაცმა თავისი საქმე უნდა ნახოს, ასეთი ბოროტი არა ქნას-რა, რომ თითონვე მოეგოს თავისი ბოროტი, როგორც იმ დათვსა.

75

ერთი აქლემი, ერთი მგელი და ერთი მელა დაძმობილდნენ და გზას მიდიოდნენ. ერთს გზაზედ ერთი პურის კვერი იპოვნეს და უთხრეს ერთმანერთს: „რა უყოთ ამ კვერსა, ყველას ხომ არ გვეყოფაო?“ მელამა თქვა: „ვინც ხნით უფროსნი ვიყვნეთ, ეს კვერი იმან შეჭამოსო“. მგელსა ჰკითხეს: „გვითხარ შენი რიცხვი, რა ერთის ხნისა ხარო?“ მგელმა უთხრა: „ნოემ რომ კიდობანი გააკეთა, მე იმ კიდობანში ვიყავიო“. მელამა თქვა: „კურთხეულ არს ღმერთიო! მე ის მელა ვარო, ღმერთმან ადამ დაჰბადა, იმას ადამ დაარქო, მეც მაშინ იქ მელა დამარქო“. პირი მი[ი]ტანა აქლემმა, ის კვერი აიღო და ჰაერში შეამაღლა, დაუწყო ჭამა: „თქვენ რომ აგრე ამბობთ, ჯერ ცა²⁶ არ იყო, რომ მე ბიჭი ვიყავო!“ მგელმა აიწია, უნდოდა აქლემისათვის კვერი წაერთმევიანა. აქლემმა მგელს მუხლი დააჭირა, დააწყებინა წუწუნი, და მელა გარს ურბენდა, ეგების ნამცეცი გავარდესო.

თარგმანი: არ შეშვენის გლახაკს დიდს კაცთან გაიჭიმოს. თუ წაეკიდოს, თავს ვერ გაიტანს, როგორც უთქომს: ჯიანჭველა გველთან როგორ გაიჭიმებაო, შუა გაწყდებაო. თუ ცხენს ჰგონებოდა, საპალნეს ამკიდებენო, ყმარწვილ კაცს კელში არ ჩაუვარდებოდა. ბოლოს იქნება ჭემმარიტი სამართალი.

76

მაიმუნს ჩვეულება აქვს, რასაც კაცისაგან ნახავს, თითონაცა იქს. ერთმა თევზის მონადირემ წყალზედ ბადე ესროლა. მაიმუნმა ნახა, წავიდა, თითონაც თევზი უნდა დაეჭირა, და თითონ დაიჭირეს. თქვა ტირილით: „სამართლად დამიჭირესო, რომ არ ვიყავ ამის ჩვეული, რათ მოვინდომეო!“

თარგმანი: ნუ დახარბდები იმ საქმეს, რომელიც არ იცი, რომ არც სულიერად გარგებს, არც ხორციელად.

77

გვრიტი დიდის ყოფით მოიქცევა კვერცხის დასადებათ, რომ გამრავლდნენ. თუ ამ გვრიტს ცალი მოუკვდება, თავის დღეში მწვანე ხეზედ აღარ დაჯდება.

თარგმანი: ზი, კაცო, შეიყვარეთ სიწმინდე,
შვილის შემატებას ეცადენით ღვთისაგან მოცემულს
თქვენს ცოლთან.

78

ყვავმა [შეკრიბა] თავისი ბარტყები და უთხრა:
„შვილებო, ნუ ურცხოვთ, ფთხილათ იყავით კაცისა-
გან, როცა დაიდრიკონ რისამე ასაღებლათ“. შვილთ
უთხრეს: „კაცს რომ ადრევე ქვა აეღოს? როდესაც
ჩვენს სიახლოეს მომავალს კაცს ვნახამთ, ჩვენ გავ-
ფრინდებით“. დედამ უთხრა: „თუ მაგასა იქთ, ვი-
ცით, რომ იცოცხლებთო“.

თარგმანი: გაფთხილება უნდა ძველის მღვარძ-
ლის მთესველის ეშმაკისაგან, საცთურისაგან და ზვა-
კვარისაგან.

79

გვრიტისა, ყორნისა და ოპოპისა მამა დაბერ-
დნენ. იმათთვის შვილები წამლებს აკეთებდნენ: ან
მორჩნენ, ან დაიხოცნენო.

თარგმანი: ჰმართებსთ შვილთ მორჩილება და
მსახურება მშობელთა, როგორც ღმერთმან ბძანა:
„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“. რო-
მელთაც შეურაცხყოფენ, ღმერთს შეურაცხყოფენ,
რაც მშობელთა პატივისა სცემენ, ღვთის პატივის ცე-
მა არის.

80

მელას მოშივდა. ნახა, ერთს ორმოში ერთი
ბუთის ქვა ეგდო. ასე ეგონა, ყველი არისო. ჩავარ-
და ორმოში, დაუწყო, ჭამა, თქვა: „ვაი ჩემს თავსა,
არც სული აქვს და არც გემო!“

თარგმანი: ზი, კაცო, ნუ ჩავარდები ცოდვის
ორმოში! უსარგებლო რამ არის ცოდვა, მერე მრავალს
დაინანებთ.

81

მელა წყალში ჩავარდა, ირჩობოდა და ღმერთს
აღუთქვა: „ერთს ჩაფს საკმელს მოგართმევ, აქიდან
დამიხსენო“. გამოვიდა იმ წყალსა და საკმელი რომ

ღმერთს აღუთქვა, დაავიწყდა, და ზღვის ნაპირს თამაშობდა და თქვა: „ღმერთო, შენ საკმელი რათ გეჭირება, აქ რომ დავაკვირო, კომლი ხომ ჰაერში ავა და ტყუილათ საკმელი დამეხარჯებაო!“ ზღვა აღელდა, მელა ისევ წყალმა წაიღო, და დაიწყო ტირილი, და თქვა: „ღმერთო, ვერ შევიტყე და ახლა გამოვიცადე, ახლა, რომელიც აღვითქვი საკმელი, მოგართმევო“.

თარგმანი: არ არის რიგი, კაცმა რაც ღმერთს აღუთქვას და არ დაუთაოს, აღარც ღმერთმან მიაგოს კეთილი. ძნელია აღთქმა და აღარ ასრულება.

82

ერთმა მშვიერმა მელამ ყინული იპოვნა, დაუწყო ჭამა. თქვა: „თავიც გამიყინა, კბილებიც დამყრევინაო და მუცელში კი არა ჩამივიდა-რაო“.

თარგმანი: დიდობა და პატივი ქვეყნისა ამაო არის და სიზმარი და მატყუარი.

83

მელამ ერთი რკინის ჩასაცმელი ჯაჭვი იპოვნა. ზამთარი იყო, გაიხარა, აიღო და ჩაიცო. ის ჯაჭვი ზედ შეჰყინა. რომ შესცივდა, გაიხადა და შიგ წყალი ჩაასხა. წყალიც სულ გაედინა, გაჯავრდა და ზღვაში ჩააგდო: „წადი, დაიკარგეო, არასფერში გამოსაყენებელი იყავო! არც ზაფხულის გამოსაყენებელი იყავო, არც ზამთრისა და არც წყლის ჩასასხმელი იყავო. მგზავსი იყავ მუცლისა ნაყროვნისა და მემთვრალისა, რომ გაუძღომელნი არიანო!“

თარგმანი: ასეა წუთის სოფელი. არც აქ გამოადგება კაცსა და არც საიქიოსა. აქ სოფელი მოატყუებს კაცსა და საიქიოს ყველა ეკითხება და გარდახდება.

84

ერთი ვირი იყო კვიციანი. წავიდნენ დედა-შვილნი ერთს უადამიანოს ჭალაში, იქ დასადგურდნენ. ერთი სხვა ხვადი ვირი მოვიდა, ამ ჭაკს ვირს დასუნა. ამან წიხლი ჰკრა და უკბინა. ის ხვადი ვირი გაიქცა. ეს დედა-შვილნი დარჩნენ. კვიციმა უთხრა: „ვაიმე, დედავ, აქ მარტო შეწუხებაში

ვიქნებითო ნადირისაგანაო! რათ დაჰკარ და შემოიწყრომე ის ხვალი ვირიო?“ დედამ უთხრა: „ში, შვილო, ნუ გეშინიან, იმ ვირმა რომ მისუნა, იმისი სული არსად გაუშვებსო, თუნდა ინდოეთსაც წავიდეს იმან, ის სული რომ ცხვირში მიიღო, ის სული აქავ მოიყვანსო და ჩვენთანვე მოვაო“.

თარგმანი: კაცი რომ ცოდვას დაეჩვევაო, ქურობას, ბოზობას, კაცის კვლას, თუ სხვა ცოდვებს ვეღარ მოშორდებაო, ურვა და ცოდვის სული შეჰკრავს და გასწევს, როგორც ძალი საბელსა. გველია ცოდვა, ნახვრეტს მალე შევა და უკან ვეღარ გამობრუნდება ღრმა ორმოსგან.

85

ვირი წყალში ჩავარდა, რომ ირჩობოდა, წყალში მოჩონჩორიკა. წყლის პირს მოექცია, ვირს წინ გაუსწრო. თქვა ვირმა: „შე ბოროტო, მუცლიდამ ახლა გამოხველ და ცურვა როგორ ისწავლეო, რომ ჩემზედ წინ მირბიო?“

თარგმანი: უმეცრობით როდეს ყმარწვილთ ასწავლონ მოხუცებულთ და სულელთ მეცნიერთა.

86

ვირს პატივი დასდევს. ჯელმწიფის შვილის ქორწილში დაჰპატიჟეს. ვირმა თქვა: „არც მექანარე ვარო და არც მოთამაშეო, ვიციო, ან შეშას უნდა მაზიდვინონ, ან წყალიო, ჩემი საპალნე ის არისო“.

თარგმანი: როცა დაგიძახონ, საქმეზედ რომ დაგპატიჟონ უშვერად და უმგზავსად, რომ შენგან შეუძლებელი არის, შეიტყე, რომ საცინლათ აუგდიხარ.

87

ვირს უთხრეს: „გამხიარულდი, ითამაშეო და მოგვეც სამახარობლო, შვილის შვილი გეყოლაო!“ ვირმა უთხრა: „ვაი არის ჩემთვის, მეგობარო, თუნდა ასი შვილის შვილიცა მყვანდესო, ჩემს მძიმე საპალნეს არავინ დამიმსუბუქებსო!“

თარგმანი: ყოველმა კაცმა თავისი ვალი უნდა გარდაიხადოსო, თავის ცოდვის საპალნე თითონ უნ-

და აიკიდოსო. მეორე ეს: შვილი ნუ გიხარია, შენს ცოდვას ისინი ვერ ახოცენ, შენვე ეცადე, რაოდენიც შეგიძლიან, შეინანე ტირილით.

88

ერთმა მგზავრმა ერთ წყაროზედ მოისვენა, იქ ასი დრაჰკანი დარჩა, წავიდა. მოვიდა ერთი სხვა კაცი, იმ წყაროზედ წყალი დალია, ის ასი დრაჰკანი აიღო და წავიდა. იმ პირველს ის თავის ასი დრაჰკანი მოაგონდა და იმისთვის დაბრუნდა, იქავ წყაროზედ მოვიდა, ნახა, ერთი სხვა კაცი მოსულა და წყალსა სომს. ამ კაცს უთხრა: „აქ თეთრი დამრჩა, შენ აგიღია, მამეცო!“ ეს დიდის ფიცით ეფიცებოდა: „არც ამიღია და არც მინახამსო“. წაიყვანა მეფესთან სამართალში, ეს კაცი მრავალ რიგათ გატანჯეს. რომ არც ენახა და არ[ც] აელო, რა უნდა მიეცა? არც შეძლება ჰქონდა, რომ თავისი მიეცა, სატანჯველში მოკლეს.

89

კიდევ ერთმა ვაჭარმა ერთს ქალაქში მოისვენა. იქ ახლო წყალზედ ერთი სახლი იყო. ეს ვაჭარი და იმ ქალაქის ვაჭრებიც მივიდნენ და ივაჭრეს, და ერთი ქურდი ახლოდამ უყურებდა. ქალაქის ვაჭრები რომ გამოვიდნენ და ეს უცხო ვაჭარი მარტოკა დარჩა, შევიდა ის ქურდი, იმ ვაჭარს თავი მოსჭრა და იმის საქონელი წაიღო, არავინ შეიტყო და რამდონმამე დღემ გაიარა. ერთს ყასაბს სასყიდლათ მოუწა და საქონელი, მივიდა იმ ვაჭართან, ნახა, აღარც საქონელი იყო და ის ვაჭარიც თავმოჭრილი ეგდო. დაიყვირა და გამოვარდა: „მოდით, ნახეთ, ეს კაცი ვის მოუკლავსო!“ შეცვივდნენ კაცნი, ნახეს. ეს ყასაბი დაიჭირეს: „შენ მოგიკლავსო“. ნახეს დანა სისხლიანი ჰქონდა, ტანისამოსი სისხლში გასვრილი ჰქონდა. უთუოთ ამას დასწამეს.

ამ ორს არაკს ერთი ძალა აქვსთ. მრავალნი სცთნენ, სხვა და სხვა ეგონათ, მაგრამ ეს არის სწორე, მრავალი მართალი კაცი გასარჯონ და მოკლან. მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ სწორი სამართალი საჯოს, რომ ღმერთმან შეიყვაროს ისი. მოსამართლე არც არის ანგელოზი და არც წინასწარმეტყველი, რომ დაფარული შეიტყოს. აბა, დიდი გა-

მოძიება უნდა მოსამართლეს, რომ მოთმინობით მრავალი დღე უნდა გამოატაროს და გამოიძიოს, და ცოტ-ცოტათ გამოჩნდება სიმართლე. სწრაფათ სამართლის ქნაში ბევრი საცოდაობა მოხდება. ქრთამით არ უნდა სამართალი იქნას, რომ დიდი ცოდვა არის წინაშე ღვთისა.

90

მთვარე დაბნელდება და დააკლდება ნათელი, მოვა მზის პირდაპირ და მზისაგან აიღებს ნათელსა.

თარგმანი: სახედ შენდა, ზი, კაცო ცოდვილო, დაგიბნელდა ნათელი წმიდის ნათლის ღებასა, რომ არის შენი სული და შნო იმისი უფასო. შენ ნუ შეორგულდები²⁷ და ეჭვში ნუ შეხვალ. კიდეც ისასოე ქრისტე მტკიცის სასოებით და სარწმუნოებით, პირი იმისკენა ქენ სინანულით და ცრემლით, იმან გაანათლოს სული შენი თავის ნათლით და ახოცოს უსჯულოება შენი თავის მრავლის მოწყალებით.

91

ზამთარში გახმება ფოთოლი ხისა და გაზაფხულზედ მეორედ გაბრწყინდებიან და დაშნოვდებიან.

თარგმანი: კეთილი ესე მაგალითი. თუ ცოდვის ზამთარი მოვიდა შენზედ და გაგახმო შენ ბოროტმა ქარმა, ეშმაკმა ფერი შეგიცვალა და ფოთოლი გაგიხმო, ამაზედ შენ ნუ შეორგულდები. წადი გულმხურვალეთ და შეუვარდი ქრისტესა, რომ ნახოს მხურვალეება შენი და გიხმოს ტკბილად. ის გაჰბანს თავის დიდის მოწყალებით ცოდვასა შენსა, და გაგა[ა]ხლოს, და პირველსავით გაგაბრწყინოს.

92

ღორნი და ნეხვის ჭია და სხვანი ცხოველნი რომ ნეხვსა სჭამენ და იმითი იზრდებიან, და იმ სიმერალის საჭმლითა სცხოვრობენ, ვაი ჩემდა!

თარგმანი ამისი: ყოველი ცოდვილი უსინულო ნეხვსა და სიმერალეს ცოდვისასა სჭამს, განიპოხება, ის ეტკბილება თავის პირსა და ცხვირსა.

93

უადამიანოს ადგილს ერთი ჯიანჭველა იყო ერთი ცხვრის ოდენა. მოვა ლომი, იმას აღერევა. იმათ ეყოლება[თ] შვილი. ის შვილი ნახევარ მხარე ლომია და ნახევარ მხარე ჯიანჭველა. დედა საკენკს მოუტანს, ვერა სჭამს; ლომი რომ მამაა, ხორცს მოუტანს, ვერც იმასა სჭამს. დედა ხორბლის მჭამელია და მამა ხორცისა. შიმშილით მოუკვდებათ შვილი.

ვაი ჩემს საბრალოს თავსა, შვილო ჩემო! ასრე შეიტყე: დასნი მოუქცეველნი, ცოდვილნი, წმიდის ემბაზისაგან ამოყვანილნი ღვთის შვილნი, ცოდვის აჩემებით ეშმაკსა შობენ, და არ მიმართეს ღმერთსა. სარწმუნოება და სჯული ღმერთია. იციან, სამართალი არის, მაგრამ არა სჭამენ იმ საჭმელსა. სიწმინდე, სინანული და ქცევა კეთილი არ დაინახეს და შეისმინეს. ეშმაკისაგან შეკრულნი არიან, და ვერ უარს ჰყოფენ. დამტკიცებით იციან, რომ ღმერთი არის და აღდგომა, მაგრამ შეკრულნი არიან ღვთის სარწმუნოებისაგან, და ეშმაკისაგან შეკრულნი არიან ბოროტის ქცევით. ვერც ეშმაკისაგან მიიღებენ წილსა და ვერც ღვთისაგან. ასე წავიდნენ ღმერთთან ეშმაკობის საქმის მიდევნით, ცოდვით სავსენი. მოვა სწრაფათ სიკვდილი და აღხოცს ამ სოფლიდამ წილნი ჯოჯობხეთისანი. აღარ ეყოლებათ იქ შემწე.

94

ერთმა მიწის მთხრელმა კაცმა მრავალი აკანათი გააკეთა. თავის საცხოვრებელი ფრინველებზედ გარდაეგო. მოდიოდნენ ფრინველნი და წერო, სჭამდნენ იმის დათესილს ბაკლასა და სისირს²⁸. ერთს დღეს მივიდა, ნახა, მრავალი ფრინველნი და წერონი აკანათში ჩაცვივნულიყვნენ. დაიჭირა ეს ფრინველები, უნდა დაეხოცა. ერთი ლაკლაკი იყო, ერია ფრინველებში, ისიც ამოიყვანა. უთხრა ლაკლაკმან: „ღვთის გულისათვის ნუ მომკლავო, არა ვარ მე წერო და არც ფრინველი, არც სისირსა ვჭამ და არც ბაკლასა, შენი მეგობარი ვარ, რომ შენს აკანათებს ჯიანჭველი არ ასვე[ნე]ბს, იმათა ვჭამო“. არ დაუჯერა: „რადგან შენც ამაში გიპოვნეო, მტერი ხარ ჩემიო“. ისიც მოკლა.

თარგმანი: თუნდა შენი მოყვარეც და მეგობარიც იყოს და ბოროტ მოქმედს კაცთან გაერთებულის, ისიც იმათთან დასასჯელია, ცეცხლს ჩააგ-

დეო, როგორც დაუწერიათ: ქურდი, ქურდის შემწე, ბოზი, მარჯაკალი და კუდიანი ერთათ დასაჯოს ღმერთმან ჯოჯობეთში.

95

ერთმა კაცმა ფარულად თავის მეზობლის ხბოს ნახევარ ენა მოსჭრა. იმის პატრონმა ვერ შეიტყო. ის ხბო გაიზარდა, დახარდა, მერე იმის ენის მომჭრელმა კაცმა მეფესთან უჩივლა: „ჩემმა მეზობელმა ხბო მომპარაო, გაზარდაო, ახლა ჩემი ნიშანი ვნახე, რომ ჩემი არისო“. პატრონი იფიცავს: „ჩემის ფურის ხბო არის და მე გამიზდიო“. ჰკითხეს ენის მომჭრელს: „შენს ხბოს რა ნიშანი ჰქონდაო?“ უთხრა: „ენის ნახევარი მოჭრილი აქვსო“. გაამართლეს ეს კაცი და ხარი მოსცეს ამას. დილა გათენდა, ამ კაცმა სიხარულით გუთანში შეაბა ეს ხარი. წაიქცა, სახნისი მუცელში აეგო, ფაშვები გამოაყრევინა, მოკვდა და სხვა ხარებიც დაფთხნენ, გარდიკარგნენ. მრავალნი ეუბნებოდნენ: „როგორც თესლი დასთესე, ისე მოიმკეო. ერთი ხარი ტყუილათ წაართვი, ისიც ხომ მოგიკვდა სხვანიც დაგეკარგნენო!“

თარგმანი: ღმერთი დიდი მოსამართლე არისო. დიდს სამართლამდისინ თუ კაცი შეიტყობდეს, აქავე მიეცემა უსამართლობის მაგიერი და საიქიოს ხომ სულით წაწყმდება.

96

ერთი გლახა კაცი ცოტას ხორცსა სწვევდა. ჰაერიდამ არწივი მოვიდა, მოიტაცა ეს ხორცი და წაიღო. როცა კაცმან ნახა, ხორცი აღარ იყო, წაიქცა და დაიწყო ტირილი: „ხორცი ვინ მომპარაო!“ კაცთ უთხრეს: „არწივმა მოიტაცა და წაიღო“. თურმე იმ ხორცს ცეცხლი მიჰყვა თანა, არწივის ბუდეც ცეცხლი მოეკიდა, ბუდეც დაუწო და ბარტყებიც დაეწყნენ.

თარგმანი: ღმერთი დიდი მოსამართლე არის, კაცმა რომ კაცი დაჩაგროს, დაიბრიყოს, თითონვე მიეგება თავის ნაქნარი უსამართლობა, როგორც იტყვის სოლომონ: „კაცმა რომ უსამართლობით კაცი დაწოს, თითონ ჩავარდება ცეცხლში, ღმერთი მიაგებს კაცის დამჩაგვრელსა“.

ფრინველნი შემოკრბნენ და ინდოური ქათამი დასვეს თავიანთ ჯელმწიფეთ, რადგან ლამაზი იყო. მოვიდა ტრედი და თქვა: „ში კეთილო ჯელმწიფევ, ჩვენ რომ არწივებმა შეგვაწუხონ, რას გვიშველიო?“

თარგმანი: ჯელმწიფეს მარტო შვენიერება არ ეყოფაო, სიმართლე და მხნეობა ჰმართებსო.

დიდებული კაცი იყო, შვილი არა ჰყვანდა. ერთი ძმისწული ჰყვანდა თავისთვის შვილათ. ავათ გახდა ის თავის ძმისწული. დაიბარა, გვერდ[თ] დაიბარა, თავი აიღო, კალთაში ჩაუდო. უთხრა დიდებულმა: „ში, შვილო, ეცადე, რომ კეთილი საქმე ჰქნაო, ეს სოფელი წარმავალი არის, ფულის მოყვარობას ნუ მიხედავ, ცოდვას ნურასა იქ, დღე სიკვდილისა მუდამ გახსომდეს!“ ამ სწავლებას შეუწუხდა ბიძამ-შვილი. უთხრა: „შვილო, რაც გამცენ, დაისწავლე თუ არაო?“ უთხრა ძმისწულმა: „რაც ბძანე, აბა, შენ შეიტყე, როგორ გითარგმნოო საკვირველიო: ჩემს მუცელში არის ძარღვი თორმეტიო, ყველა ჭიპთან მოდისო, ერთათ შეიყრებიანო, მივლენ ჩემს სასირცხოსთანაო“. უთხრა ბიძამ: „ვაი შენ, შვილო, გამოუყენებელო, მამულის დამკარგველო! მე შენ ღვთის მცნებას გასწავლი და შენ ძარღვების და ჭიპის სათვალავს ამბობო! დღეის იქით გამიგდიხარ ჩემის შვილობისაგან[აო]!“

თარგმანი: ასე გაუგუნურდით ყოველი კაცი, გაუშვით სწავლა ღვთისა და შევირისხენით ჯოჯოხეთში. ჩვენს გულში დავინერგეთ ცოდვანი, უბე ცოდვილისას ჩავდევით თავი და ჭიპში მოვიკრიფეთ ფულის მოყვარობა, ბოზობა, მემთვრალობა და სხვა ცოდვები. მუდამ ამას ვიძრახავთ, თუ როგორ დავჩაგროთ მდაბალნი და დავითროთო, და სხვა ცოდვები ავასრულოთ. ეს არის ძარღვები ჭიპთან, ამან გამოგვიყვანოს ღვთის შვილობიდან, საწყალობლათ დავრჩეთ.

ქალწული ერთი სჯულიერი იყო ქალაქში. გა-

ამპარტავანდა თავის გულში ეშმა კის ძალით, დადგა ბაზარში, ყვიროდა და ამბობდა: „შეიტყეთ, გვარის შვილნო, მხოლოდ ღმერთია ზეცად უბიწო და წმიდა და მე ქვეყანაზედა ვარო, და სხვანი შეიმუსრენით ღვთისაგანაო!“ ეს ქალი ჩავარდა სიძვის ცოდვაში და დაორსულდა. ავიდა ერთს მაღალს ადგილს, დაიყვირა დიდის ჳმით: „ყველამ გაიგონეთ, თვით ღმერთი არის უცოდველი და უმანკოო!“ კედელი წამოეჭვა და გახეთქა ისი ქვეიდამ ძუმძმდინ.

თარგმანი: რომელიც გაამპარტავანდეს, ეშმაკმა ამისთანა საქმე უყოსო. თუ ნახო, რომ კაცი გაამპარტავანდეს და ამპარტავნობა ილაპარაკოს, და თავის თავი წმიდათ გამოაჩინოს, შენ ეს არაკი უთხარ.

100

ორი კაცნი წავიდნენ გზასა. ერთი კაცი იმ მეორეს ღალატობის თვალთ უყურებდა. ერთს ალაგს მივიდნენ, რომ იქ არ იყო ადამიანი, და ამ მართალს კაცს ეშინოდა იმისგან. რომ დაიძინეს, ამ მართალმა იმის მალვით თავის ლოგინში ხე ჩადო და ერთი გოგრაც ჩაიდო ლოგინში, თავით დაიდო, თითონ ადგა და ფარდაგი დახურა, და თითონ შორს დაიმალა. შუადამისას ადგა ის ავი კაცი, აიღო ერთი დიდი ქვა, გოგრა იმ კაცის თავი ეგონა, დაარტყა. გასქდა გოგრა და მრავალ ნაჭრათ იქცა. დაუმახა ამან: „შენი რჯული ეგ იყო, გცადეო, გოგრა გასქდა და მე მოვრჩიო!“ ეს უთხრა და გაექცა.

თარგმანი: თუ ყოველს ჟამს ღმერთი შემწე არის, მაგრამ სიფრთხილით ყოფნა კარგი არის. ღმერთმან ყოველს კაცს მეცნიერობა მისცა. ზი, კაცო, ცოტა რამ ხომ თქვენც გიცდიათ მზაკვარის კაცისაგან ვნება, თქვენ ნუ მიენდობით იმისთანა კაცსა.

101

ერთი კაცი შევიდა ჳელმწიფესთაწ, და ასი დრაჳკანი უბოძა: „გაიტა, მანდ გლახები არიაწ, იმათ სახარჯოთ მიეცო“. ეს კაცი გამოვიდა, ნახა ერთი კაცი თავშიშველა, ცალ-თვალი, უცხვირო, ყრუ, ხელნაკი და ცალი ფეხი მოჭრილი. შევიდა, მოახსენა ჳელმწიფესა: „ყოვლის ქვეყნის საკიცხელი აქ ვიპოვნეო“. ბმანა ჳელმწიფემ: „აქ მომგვარეთო“. რომ ნახა, გაიკვირვა და ბმანა: „მადლობა ღმერთ-

საო!“

თარგმანი: თუ აქვს მწუხარება სულსა, რომ ცოდვა იმას უყიდნია ეშმაკისაგან, თავის ხარჯის მიმცემათ გაუხდია მოტყუებით, რომ მრავალი ცოდვა აქვს, თავისი გვამს გაინადებია, კაცის ძრახვით, ბოზობით, კაცის დაჩაგვრით, სიმთვრალით და სხვა ცოდვებით ავსილა და პირს ქრისტესაკენ აღარა იქს, არც სინანულშია, დამტკიცებით მონა შექნილა ეშმაკისა, რომ მეტი საყვარელია ეშმაკისაო.

102

ლომი, მგელი და მელა დამძობილდნენ, წავიდნენ სანადიროთ, სამი ცხვარი იპოვნეს. ლომმა უთხრა მგელსა საცდელათ: „ცხვარი გაყავო“. თქვა მგელმა: „ერკემალაი შენაო, დედალი ცხვარი მე და ბატკანი მელასაო“. ლომმა დაჰკრა ტოტი მგელსა, რომ ორივ თვალეზი გამოსცვივდა, ზედ დააჯდა. მელას უთხრა: „შენ გაყავ ეს ცხვრებიო“. მელამ მოახსენა: „კეთილო მეფეო, ერკემალი საუზმეთ მიირთვი, დედალი ცხვარი სადილათ და ბატკანი ვახშმათაო“. მელას უთხრა ლომმა: „ეგ მართალი სამართალი ვინ გასწავლაო?“ მოახსენა: „მგელს რომ დაჰკარ და თვალეზი წააყრევინე, იმან მასწავლაო“.

თარგმანი: მრავალნი უქადაგებენ ბოროტსა, და გაუშონ ბოროტი, როდეს მეფენი და დიდებულნი დაჰკიდებენ ქურდსა და კაცის მკვლელთა, და ასწავლიან, იმის მსგავსად მრავალნი ცოდვილნი შეინანებენ და საკანუნოში შევლენ. როიცა შეიტყონ დიდებულთ, ჩაადებენ ცეცხლში. სულულ ქალწულთ იტირეს უსარგებლოთ. ცეცხლს დაუყოვნელად შევიდნენ.

103

მგელმა იპოვნა ერთი მსუქანი ვირი, უნდა შეეჭამა. ვირმა უთხრა: „გევედრები, ღვთის სიყვარულისათვის, ერთი მუწუკი მაქვს, ის ჩემის გულიდამ ამოიღეო და მერე შემჭამეო, ღმერთმან ჩემი თავი შენ მოგვაო. ლურსმანი გამერჭო ფეხში, და დიალ მტანჯავს, გამომართვი და მერე შემჭამეო!“ მგელმა მოჰკიდა, რაც შეეძლო ვირს, ორის ფეხით წიხლი ჰკრა მგელსა, ყბა მოსტეხა და გაიქცა. დაჯდა მგელი და ტიროდა მწარეთ²⁹: „ღირსი ვარ ამისი, რომ

ჩემს თავს მოვიდა, მე ხომ არც მჭედელი ვიყავ და არც ბეითალი, მე ლურსმნის ამოღება რა ვიცოდი და ან რა ჩემი საქმე იყო!"

თარგმანი: მრავალნი არიან ტირიან, რომ თავიანთ საქმე არ იყო და ნდომით და სიხარბით გაუმეც[ა]რდნენ, და ბოლოს სინანული აღარას ეწევათ.

104

მელამ დაიჭირა კაკაბი, უნდა შეეჭამა. უთხრა კაკაბმა: „კურთხეულ არს ღმერთი, რომ მიგვიწოდა სასუფეველსა და გამოგვიყვანა ამ ბოროტს დროსა! აბა, შენ, მელავე, მადლობა მოახსენე ღმერთსა და მერე შემჭამე!“ მელამ პირი გააღო, აიხედა ზეცას და თქვა: „გმადლობ შენ, ღმერთო, რომ შეგვიშადა ჩვენ ტაბლა კეთილი!“ კაკაბი პირიდან გამოუფრინდა და წავიდა. დაუძახა კაკაბმა მელს: „შე უგონოვ, ჯერ ჭამა უნდა, მერე მადლობის მიცემა ღვთისათვის!“

თარგმანი: თუ გითხრას რამ დაუჯერებელი, ნუ დაუჯერებ. მრავალს აღვითქმენ და არ აღვისრულეზენ. ნუ დაუჯერებ, მანამ არ გითაონ. თუ ვინმე[მ] წყალი მოგცეს, შენ კალთა მიუშვირე.

105

მელამ ჩიტი დაიჭირა, პირში ჩაიღო, უნდა შეეჭამა. ჩიტმა უთხრა: „მე ხომ შემჭამო, მაგრამ დამაცალე, ასეთს კვერცხს დავდებო, ქათმის კვერცხის ოდენი მარგალიტი იქნებაო, გამიშვი, დავდო და, გეფიცები, რომ შენსავ ნებაზედ მოვიდეო“. გაუშო ჩიტი, და გაფრინდა და დაჯდა მაღალს ხის რტოზედ. დაუძახა მელამ: „რაც აღმითქვი, მოთავეო და მოდი ჩემთანაო!“ ჩიტმა უთხრა მელას: „შენსავით უგონო ვიქნები, თუ შენს ნებაზედვე მოვიდეო. შენ რატომ დაიჯერე, მე ეს პატარა ჩიტი იმისთანას დიდს მარგალიტს დავდებდიო? თუ დამიჯერებ შენ, მცნებას გამცნებ, რომ ბევრს გარგებს: ამისთანას სიტყვას ნუ დაიჯერებ, ხახუტს კედელს ქვეშ ნუ დაიბინებ, მებოზარს ბერკაცთან, ამპარტავანს გლახასთან, ტყუილის მთქმელს ჯელმწიფესთან³⁰ და წინამძღვართან ნუ გაივლი, იმათგან გაიქეცი!“ უთხრა მელამ: „ღმერთი გაგიკითხავსო, რომ შემომფიცე და გამიმტყუნდიო!“ უთხრა ჩიტმა³¹: „ტყუილი არის,

რომ ტყუილით მადლს მოიგებსო. კაცმა რომ ტყუილის თქმით კაცი ცოდვისაგან მოაქციოსო, ან კაცსა ჰკლევდნენ, ან აურჯულოებდნენო, ისინი რომ ტყუილით მოარჩინოსო, მადლი არისო. თუმცა ტ[ყ]უილით დაჭირებულს კაცს დაიხსნის, მადლი არისო, მაგრამ ის ტყუილი თავის მოძღვარს უნდა აღუაროს და საკანონოთი გაწმენდესო“. მელამ უთხრა: „მაშ რათა სწერს დავით: „დაკარგოს უფალმან ისინი, რომელთ ილაპარაკონ ტყუილი?“ უთხრა ჩიტმა²⁹: „ჟამმან იცის და მიზეზმან. თუ ილაპარაკო ტყუილი ცოდვის მიზეზისათვის, რომ კაცი განიკიცხო, მაშინ გაიწყრომებ ღმერთსა. თუ ტყუილის თქმით კაცს ცოდვისაგან დააბრუნებ და სიკვდილისაგან დააბრუნებ, და კაცს დაიხსნი, ღმერთს უამებაო. მაშ დავით რომ ჳელები ძირს დააწყო, გაოთხფეხდა, ისე ითამაშა, ტანისამოსიც დაიხია და თქვეს, გაქაჯიანდაო, და იმ ტყუილით მორჩა სიკვდილსაო!“

106

ერთი აისორის მღვდელი იყო მეცნიერი და კარგი. ერთი სომეხი კაცი და ის ჩხუბობდნენ სათვალავზედ. კაცმა უთხრა: „ის ქვა და შენი პირი და შენი ოც და თორმეტი კბილიო!“ მღვდელი გაჰკვირდა, სწრაფათ თავის სახლში მივიდა და თავის ცოლს უთხრა: „ღვთის მადლსა, სანთელი აანთე და პირში ჩამხედე, ნახე, რამდონი კბილი მაქვსო?“ დედაკაცმა პირში ჩახედა და კბილები დაუთვალა: „მართლა ოც და თორმეტი კბილი გაქვსო“. მოვიდა მღვდელმა იმ კაცთან და უთხრა: „როგორ იცოდი, თუ ოც და თორმეტი კბილი მაქვსო, ან ვინ გითხრა შენ[აო]?“ უთხრა: „უფალო ჩემო, ჩემის კბილებისა ვიცი და შენც იმისთვის გითხარო, თუ კაცთან მეგობრათ შეიქნა, თუ ჩემის გვამისა ვიცი, ისე თქვენ[იო]“. შვილო, ერთობით არის ეშმაკის ბრძოლა ძვირი, ერთობით დაჰკარგოს ჩვენი თავი და წაიყვანოს შესვენებელს გენიას!

107

ლომი ავად გახდა. გაგზავნა აქიმებთან, ეგების ერთი რამ წამალი მიყონო. მოვიდნენ აქიმები და უთხრეს: „შენი წამალი ის არის, ვირი მოაყვანინო, იმის ყურები და გული სჰამო, და მორჩებიო“.

ლომმა უთხრა მელას: „შეგიძლია ერთი ვირი მიშოვნო?“ მელამ მოახსენა: „მალე აღვასრულებ შენს ბძანებასაო. ერთი ძმობილი ვირი მყავს, დიად მსუქანი, აგერ ახლო ველში სძოვსო“. მოვიდა მელა ვირთან და უთხრა: „საყვარელო და მორჩილო ძმაო, მინდა ერთს დიდობასა და პატივში მიგაწევინო. ლომი რომ მხეცთ მეფე არის, ის ავათ არის, კვდება, შენ დაგიბარა, რომ თავის შედეგ მეფეთ შენ დაგსოსო! ეს მაცთური სიტყვა დაუჯერა მელას და გაჰყვა. მივიდნენ ლომთან. ლომს რომ ემთხვია, ლომმან პირი გააღო, უნდა ვირი დაერჩო. ვირი გაექცა. მოეწია მელა და უთხრა ვირსა: „შე უგონოვ, რათ გამოიქეცო?“ ვირმა უთხრა: „რომ ვემთხვიე, დამწოო!“ მელამ უთხრა: „შენ ის მეტის სიყვარულით გიყო, დაბრუნდი, შენს ბედნიერებას ნუ ჰკარგაო!“ დაბრუნდა ვირი, მოვიდა ლომთან. მელამ ვირს მუცელი გაუპო და გული ამოართო, ყურიც მოსჭრა და ლომს მიაართო. და ლომმა შეჭამა. მივიდა მელა აქიმებთან: „მოდით, ერთი საკვირველი რამ გიჩვენო[თ]ო“. მოასხა აქიმები და უთხრა: „არ გიკვირსთ, ამ ვირს არც გული აქვს და არც ყურიო!“ იმათ უთხრეს: „ეგ რა საკვირველი არის, თუ მაგას გული და ყური ჰქონოდა, ვირი ლომს როგორ მიენდო და მოვიდაო? თუ მოვიდა, ერთხელ ხომ მოურჩა, მეორეთ რაღათ მოვიდაო?“ გაამართლეს საქმე მელისა. ვაი ჩვენ, ყური გვაქვს და არ გვესმის დაუსრულება ჯოჯოხეთისა, გული გვაქვს და ვერ შეგვირტვია მაცდურობა ეშმაკისა! რომელმაც ცოდვა გაუშვას და ჰელახლა მივიდეს იმავ ცოდვაში, ის ეშმაკის კელით მოკვდება, როგორც მოკვდა ის ვირი ლომისაგან. ლომი და მელა ეშმაკნი არიან, ვირი მოუქცეველი, ეშმაკის მიმყოლი, ცოდვილი არის, რომ ცოდვისაგან არ მოიქცეს.

108

აქიმები შეკრბნენ, ქალაქს მოვიდნენ: „ჩვენ დიდი აქიმები ვართ, ყოველს ავანტყოფს მოვარჩენთო“. ერთმა კაცმა საცინლათ აიგდო, ერთი გამხმარი ვირის თავი აიღო და ტანისამოსში დაიმალა, და აქიმს უთხრა: „ჩემი ვირი მგელმა დაგლიჯა, ვერ მოარჩენო?“ აქიმმა უთხრა: „კარგათაო, ერთი დრაჰკანი მომიტანე, რომ შავსა და თეთრს მალამოში მივცეო“. მერე იმ კაცმა ის გამხმარი ვირის თავი უჩვე-

ნა: „ამას ვერ მოარჩენო?“ აქიმ[მ]ა უთხრა: „მაგას ღვთის მეტი ვერავინ უწამლებსო“.

ვაი ჩვენდა! ნიშნათ დარჩომილა ჩვენზედ ქრისტიანობა, როგორც ის ხმელი ვირის თავი. მარტო სახელითა ვართ ქრისტიანნი და საქმით კი არა ვართ. როგორც სარწმუნოება უსაქმოდ მკვდარია და საქმე უსარწმუნოებით მკვდარია, გვამი უსულოდ მკვდარია, ეგრეთვე სარწმუნოება და სჯული უსაქმოდ მკვდარია.

109

ერთი კაცი წავიდა სასაფლაოზედ, სამი გამხმარი ადამიანის თავი წამოიღო და შინ ლაგანში დააწყო. წავიდა ბაზარში: „ვინ იყიდის გამხმარს ადამიანის თავსაო?“ ყველანი სასაცილოთ იგდებდნენ. ერთმა ვაჭარმა უთხრა: „მოიტა ვნახო“. ვაჭარმა აიღო მახათი, ერთს თავს ყურში გაუყარა და ყურში არ ჩავიდა. გარდააგდო. მეორეს თავს გაუყარა³² და მეორეს ყურში გაირბინა. მესამეს თავს გაუყარა, მახათი შუაში დადგა. ის ორი თავი გარდააგდო და ის მესამე თავი შეიყვარა, და მისცა მრავალი ოქრო, და ის ერთი თავი იყიდა, და ის თავი მრავალს სწეულს არჩენდა.

თარგმნა ვაჭარმა და თქვა: „ის რომ მახათი არ ჩავიდა, ის არის, რომ არასფრით ღვთის მცნება ყურში არ ჩაუშვიაო და არც კეთილი უღვაწნიაო. ქრისტემ რომ ბძანა წმიდას სახარებაში: „თესლი დავარდა გზაზედ და ფრინველთ აკრიფეს“. მახათი რომ მეორეს ყურში ჩაუყარე და მეორეს მხარეს გავარდა, ის ის კაცი ყოფილა, ღვთის მცნება ერთს ყურში გაუგონია და მეორეს ყურში ცუდათ გაუვლიაო. ის თესლია, რომ ჩავარდა ეკლოვანში, ამოვიდა, მაგრამ ნაყოფი არ მისცა. იმ მესამე თავში, მახათი რომ ჩავიდა და იქით აღარ გავიდა, ის ის კაცი არის, რომ ღვთის მცნება, რაც გაუგონია, დაუმარხამს. ის თესლია, რომ ჩავარდა ქვეყანასა კეთილსა და გამოიღო ნაყოფი კეთილი, და მოიგოს სასუფეველი. თუმცა მკვდარნი არიან, მაგრამ³³ ცოცხალნი არიან კეთილის მომქმედნი, შე[ე]ცვალად ბნელი ნათლად და წუთის სოფელი საუკუნოდ სიხარულით და შვებით.

110

ლომი ტყუილათ ავით გახდა და ერთს ქვის ქვაბში შევიდა და ბძანება გასცა: „ყოველნი მხეცნი მოვიდნენ ჩემს სანახავათაო!“ დათვი მეკარეთ დააყენა. რამდონიც მხეცი და ნადირი მოვიდნენ სანახავათ, ვინც შევიდა, მნახავი შეჭამა, კარში ველარავინ გამოვიდა. ბოლოს ღორი მივიდა და კარზედ დადგა. დათვმა უთხრა: „შედი, ნახეო!“ ღორმა უთხრა: „ვინც შედის, აღარავინ გამოდისო!“ მეკარემ ღორს დაჰკრა: „შედი, ნახეო!“ ღორს ჯავრი მოუვიდა, ფაფარი დაუწირა, აიყვანა და დასცა, და მოკლა.

თარგმანი: ის კლდის ქვაბი ჯოჯოხეთია, ლომი ეშმაკი არისო, დათვი თავის ძლიერება არის. ცოდვილნი, რომელნიც არ მოქცეულან, ისინი არიან, შედიან, ველარ გამოდიან. ღორი რომ დაბრუნდა და არ შევიდა, ის ცოდვილი არის, ცოდვა გაუშვა, დაბრუნდა, აღარ შევიდა ჯოჯოხეთში, როგორც ღორი. ის აღარ შევიდა, შეინანა ცოდვილმა, იტირა და აღარ სცოდა, შეარცხვინა ეშმაკი, როგორც ღორმა უყო დათვსა.

111

ერთმა მგელმა ორი დეკეული იპოვნა. უნდა შეეჭამა. დეკეულებმა უთხრეს: „მაინც ხომ შეგვჭამ, მოდი, ჩვენ შუაში დადეგი და გაგვშინჯე, თუ რომელი უფრო მსუქანი ვართ, წინაწინ ის შეჭამეო!“ მგელმა დაუჯერა, მივიდა და შუაში დადგა, და შინჯავდა, თუ რომელი უფრო მსუქანი არისო. დეკეულებმა ერთმა აქედამ და მეორემ იქიდან მოაწვინენ ამ მგელსა და ეს მგელი გაჭყლიტეს. მგელმა რის ყოფით ცოცხალ-მკვდარმა გამოასწრო და გაიქცა. მივიდა, ნახა, ერთი თხა სძოვდა. მგელმა იმის შეჭმა მოინდომა. თხამ უთხრა: „მაინც ხომ შემჭამ, ერთს გორაზედ ადი, შენ რომ ერთი კარგი მუხამბაზი იცი, ერთი ის მუხამბაზი ბძანე, რომ ამ ჯავრიან გულზე მიამოს, მერე ჩამობძანდი და შემჭამეო!“ მგელმა დაუჯერა, იქ ერთი მაღალი გორა იყო, იქ ავიდა და დიდის ხმით დაიყვირა. ეს თხა ადგა და გაიქცა. მგელმა რომ დაინახა, ჩამოვიდა იმ გორიდან. მანამ ეს მგელი ჩამოვიდოდა, ეს თხა გაიქცა და წავიდა. მგელიც უკან გამოუდგა თხას. ველარ მიეწია. ნახა, ერთი მსუქანი ვირი სძოვს. მივიდა და იმის შეჭმა მოინდომა. ვირმა უთხრა: „მაინც ხომ შემჭამ, ღმერთს ჩემი თავი შენთვის მოუციაო, ღვთის გულისათვის,

ერთი მუწუკი მაქვს ფეხში, ერთი მუწუკი შემერჭო, მოდი, ჯერ ის ლურსმანი ამოიღე და მერე შემჭამეო! მგელმა კბილით მოინდომა ლურსმნის ამოღება. რაც შეეძლო, წყვილი ფეხით წიხლი ჰკრა ვირმა მგელს, რომ ყბები და კბილები სულ ამოამტვრია. მგელმა ღმუილით და ყვირილით გაიქცა და შევიდა თავის სოროში, და ამბობდა ტირილით: „ახათ მიყვეს! მამა ჩემი როდი ყოფილა ყასაბი, რომ ყასაბსავით დეკულებსა ვშინჯამდი, რომ კინალამ მამკლეს! კიდეც მამა ჩემი როდი ყოფილა საზანდარი, რომ თხას დაუჯერე და მაღლა გორაზედ გავედი, და მუხამბაზს ვამბობდი, და იმ თხიდანაც დავრჩი ცარიელი და მშიერი! ან რა ნალბანდი ვიყავ, რომ ვირს ნალებს ვამბობდი და ესე კბილები ჩამამტვრია! ერთი კაცი იყოს, ერთი კაი კეტი აილოს და თავი გამიტეხოს[ო]!“ თურმე ერთს კაცს ერთი კეტი ხელში ეჭირა და ყურს უგდებდა, მივიდა და ამ მგელს თავი და პირი ზედ დაამტვრია. ამ მგელმა ტირილითა თქვა: „ჩემს სახლში ერთი სიტყვა როგორ არ უნდა ვთქვაო!“

თარგმანი: რაც რომ შენი საქმე არ იყოს, შენ წინ ნუ წავარდები და მაცდურს სიტყვას ნუ დაიჯერებ და ნურც უსმენ.

112

ერთი თეთრი ქათამი იყო კელმწიფის სასახლეში. როცა ავათ გახდებოდა ვინმე, იმ ქათამს ავანტყოფთან წაიყვანდნენ. თუ მოსარჩენი იყო, ის ქათამი სიყვარულით შეხედავდა და [ა]ვანტყოფს კალთაზე შეაჯდებოდა. იმით შეიტყოზდნენ, მორჩებაო. თუ სასიკვდილო იყო, ქათამი ავანტყოფს არც შეხედევდა, კიდეც გამოიქცეოდა. ამით შეიტყოზდნენ, ავანტყოფი მოკვდებო.

თარგმანი: ის ქათამი ღვთის მომასწავებელია, ავანტყოფი ცოდვილისა. თუ ღმერთი მიხედავს ცოდვილსა, როგორც ქათამი შეხედევდა, ის ცოდვილი მოიქცევა, შეინანებს და შეიქნება სათნო ღვთისა. ტკბილად მიხედამს, არა ნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევას ელის და სინანულსა.

113

ერთს დიდებულსა ჰქონდა მრავალი ზოდი ოქ-

როსი და ვერცხლისა. წაიღო და დაფლა მიწაში. მსახურთ შეუტყვეს, საცა დაფლა, ღამით ფარულათ მივიდნენ, ის ოქრო და ვერცხლი ამოიღეს და წაიღეს. დილაზედ მივიდა ის დიდებული კაცი, ნახა, ის თავისი ოქრო და ვერცხლი აღარ იყო. დაიწყო ტირილი, წვერს იგლეჯდა, უნდოდა საბლით დამრჩვალიყო. ერთმა მეცნიერმა კაცმა წახა, უთხრა: „რათ ირჩობიო?“ უთხრა: „ჩემმა მსახურებმა ოქრო მამტაცეს და წაიღესო“. უთხრა მეცნიერმა: „რა ერთი იყო შენი ოქრო და ვერცხლიო? იქ რიყის ქვები ეყარა, უჩვენა: „ამოდენა და ამოდენა იყოო“. მეცნიერმა კაცმა ის ქვები აკრიფა და მიწაში დაფლა: „აი შენი ოქრო და ვერცხლიო, მაშინც ხომ შენს სიცოცხლეში ვერ მოიხმარებდი, როგორც ამ ქვასა[ო]!“ ამ მეცნიერმა გაამხიარულა ის კაცი, დაიხსნა, თავი აღარ დაარჩობინა.

თარგმანი: რომელნიც კაცნი ოქროსა და ვერცხლსა ჰყვარობენ, ის იმ კაცსა ჰგავსო, რომ იმდონი ოქრო და ვერცხლი ვერც სულზედ გამოიყენა და ვერც ხორცზედა. ნაცვალ გამოყენებისა უნდა კიდევ დამრჩვალიყო, თავის გვამის მკვლელი ხდებოდა. ასე იტყვიან: „ვერცხლის მოყვარება მშობელია ყოვლისა ცოდვისაო“.

114

ინდოეთის ქვეყანას ერთი ხე იყო, ჰქონდა მრავალი ლამაზი და ტკბილი ფოთლით სავსე [ნაყოფი]. იმას მრავალი გველი და ხვლიკი ახვევია. თუ კაცი იმ ხის ძირში ნახეს, არას ერჩიან, და თუ იმ ხის იქით ნახეს, უკბენენ.

თარგმანი: ის ხე ღმერთია. ნაყოფი და სილამაზე ღვთის მცნება არის. გველნი ეშმაკნი არიან. თუ იმ მცნებას გარეთ იპოვნიან კაცს, იმას წასწყმენდენ, როგორც ის გველნი ჰკბენენ ხის ქვეშ არამყოფთ კაცთა.

115

ერთს ალაგს ათი ვაჭარნი შემოკრბნენ, წავიდნენ ერთს უცხო ქვეყანაში. იმ ქვეყანაში იყო შიმშილი და მრავალი გველი და ხვლიკი იყო. ეს ვაჭარნი დიდათ შეწუხდნენ. მერე ერთი ცეცხლის გალავანი შემოევლოთ, ვედარსად წავიდნენ, ვედარც

უკან დაბრუნდნენ. ერთს ვიწროს გზაზედ მიდიოდნენ: „ეგების ერთს ქალაქს მივიდეთ, ვივაჭროთო“. დიდის სასჯელით იარეს და შენობა ვერ იპოვნეს. ტირილით თავში იცემდნენ. ერთი არწივის ფრთა იპოვნეს. იმათ იმდონი იცოდვილეს, რომ ერთი ფრთაც გააკეთეს. ხუთი იმათგანნი დაიკარგნენ. ხუთნი გაფრინდნენ. ავიდნენ, ნახეს ერთი ქალაქი ნათლისა. იქ ჩამოხდნენ. იმ ქალაქის მეფემ თავის დიდებულნი მიუგზავნა და შეუთვალა: „მშვიდობით მოხვედითო, ეს ქალაქი თქვენი არის, საცა გინდათ, იქ მოისვენეთო“. ჯელმწიფემ აკოცა იმ ვაჭართ, აქო და უბძანა: „ნეტარ თქვენ, რომ იმ ვიწროს გზას გამოიარეთ და მოხვედით[ო]!“ იმ ქალაქში ნახეს მრავალნი ვაჭარნი, რომ დიდი ხანია სურდათ იმ ვაჭრების ნახვა და იპოეს იქ საუნჯენი, დიბა და ოქრო-ქსოვილები, რომელიც სავაჭროთ უნდოდათ. გაიხარეს დიდის სიხარულით.

თარგმანი: ის ათნი ვაჭარნი ადამ არის და თავის ძენი. ის უცხო ქვეყანა რომ იყო, შიმშილობა, უკვდავის სამოთხიდან რომ გამოვცვივდით ამ ქვეყანაში, რომ სავსეა გველითა და ხვლიკით, რომ არიან ეშმაკნი, რომ გვაცოდვილებენ სულითა და ხორციით. ის რომ ფრთა არწივისა იპოვნეს, ის რჯულია, რომ ღმერთი ზეცით ქვეყნად მოვიდა, რომ სჯული მოგვცა. ის რომ ამდონს ეცადნენ, ცალი ფრთაც იმათ გააკეთეს, ისინი არიან, რომ კეთილი იმოქმედეს: ერთი სჯული და მეორე ეს, რომ სჯულს კეთილმოქმედებაც შეუერთეს. ის ხუთნი რომ დაიკარგნენ, ისინი არიან, რომა სცოდეს, დაიკარგნენ, და ეშმაკთ მიეცნენ, რომ არიან მარცხნივ კერძო, რომ ითქმის სულელ ქალწულათ. ის ხუთნი ისინი არიან, რომ იტირეს და იგლოეს, თავიანთ გვამი გასარჯეს სასუფევლის ნდომით, რომ არიან მარჯვენა დასისანი, რომ არის ხუთნი იგ[ი] მეცნიერი ქალწულნი. ის ნათლით სავსე ქალაქი ზეციერი სასუფეველი რომ არის, ზეგარდამო იერუსალიმი. ჯელმწიფე ღმერთია და დიდებულნი არიან ანგელოზ[ნი], რომ ღმერთი მრავალს ანგელოზს მიუგზავნის. მაღლიანი რომ მოკვდება, [რათა] აქონ მაღლიანნი, რომ წუთის სოფელი არა რათ ჩაადეს. ღმერთი ემთხვევა³⁴ მაღლიანთა და უბრძანებს: „ნეტარ თქვენ, რომ იმ ვიწროს გზას გამოიარეთ“. ³⁵ როგორცა ჰბრძანებს: „მრავალნი არიან ჩინებულნი და მცირენი რჩეულნი“. ვიწრო გზის სასჯელი ის არის, რომ იწროობა მო-

ითმინოს. ის რომ იპოეს საუნჯე, თვალ-მარგალიტი, ოქრო, დიბა და ოქრო-ქსო[ვ]ილი, ის რომ კეთილათ იცხოვრეს, მარხვით, სინანულით, ცრემლით და მოწყალეებით განწმდნენ, ის არის. ის რომ სხვა ვაჭარნიც იპოეს, ისინი არიან მოციქულნი, წინასწარმეტყველნი მამანი და კეთილ-მოღვაწენი, რომ დიდი ხანი სურდათ იმათი ნახვა და ჰპოეს ისინი. ათნი ვაჭარნი ათნი ქალწულნი³⁶ არიან. რომ ხუთნი დაიკარგნენ, ისინი სულელნი იყვნენ. ის ხუთნი რომ გაჰფრინდნენ, ისინი მეცნიერი ქალწულნი არიან, რომ სიმართლით გაფრინდნენ.

116

იყო ქალაქი ერთი. მრავალი შესავალი გზა ჰქონდა იმ ქალაქსა. მრავალნი მიდიოდნენ. ერთმა კაცმა შეიკრა თოკები, ჩაეშვა, მაგრამ ვერ ჩასწვდა. ქალაქის კარი დაიკლიტა და ვერ შევიდა.

თარგმანი: მცირე მოღვაწეება და თუ დიდი მოღვაწეება კაცს სასუფეველში შეიყვანს,³⁷ როგორც იმ ქალაქს მრავალი გზა ჰქონდა, დიდი და მცირე მიდიოდა. რომელნიც ქვეყანაზედ აბანოში თუ ბაღში განცხრომდას და ცოდვაში არიან, ისინი ვერ ეწვიან მართალ მოღვაწეთა. როგორც ის კაცი თოკებით ჩაეკიდა ქალაქში და ვერ ჩასწვდა, და კარები დაიკლიტა, იმის მსგავსად დაიხშოს კარი უმოწყალოს კაცისათვის და მოუქცეველი კაცისათვის, როგორც დაეხშოთ კარი სულელ ქალწულთ.

117

თაგვები შეიყარნენ: „კატა რომ ასე ჩვენნი მტერია, ჩვენც ერთი რამ მოვიგონოთო. ჩვენ ხომ არც მშვილდ-ისარი გვაქვსო და არც რქაო“. გაღესეს ხეები და თავზედ დაიკრეს: „კატა რომ ვნახოთ, შეუტოთ და მუცელი გაუხიოთ“. როცა თაგვებმა კატა ნახეს, თავიანთ იარაღი ვეღარ მოიხმარეს, გაექცნენ თავიანთ სოროსაკენ. თავზედ რომ ხეები დაეკრათ, ის ხეები მოედოთ, სოროში ვეღარ შეეტივნენ. კატამ დაიჭირა და დაჭამა ისინი.

თარგმანი: თაგვებმა რომ თავზედ ჩხირები დაიკრეს, ის დედაკაცნი არიან, რომ ტანისამოსით რომ მოირთვებიან, თვალებს გამოისურმენ, პირს გაითეთრებენ და გალამაზდებიან, ის⁹ რომ ღმერთს გაუჩე-

ნია და არ მოსწონსთ, და თითონ ლამაზდებიან, ისინი მიეცემიან ეშმაკთა, როგორც თავგანი მიეცნენ კატასა.

118

გველი როცა თავის ნახვრეტიდამ გამოვა და საცა უნდა წავა, ხუთათ მოიკეცება და ისე წავა, და როდესაც თავის ნახვრეტის კარზედ მოვა, მერე გასწორდება და ისე შევა ნახვრეტში.

თარგმანი: კაცს ხუთი საგრძნობელი აქვს: თვალი, ყური, პირი, ხელი და ფეხი, როცა კაცი წავა ცოდვაზედ, ამ ხუთს საგრძნობელს გაიმრუდებს. თვალთ ბოროტს შეხედავს, ყურით ბოროტი გაიგონოს, პირით ბოროტი ილაპარაკოს, ხელით მრუდობა იხმაროს და ფეხით ბოროტს გზაზედ წავიდეს. როდეს კაცი წავიდეს ეკლესიის კარზედ სალოცავათ, იმას მართებს ხუთივ საგრძნობელი მართლათ შეინახოს, ბოროტისაგან დასცხრეს, მერე შევიდეს ეკლესიაში და ილოცოს, რომ არის დედა ჩვენი და განსასვენებელი, რომ ღვთის შესაწყნარებელი იყოს ლოცვა. როგორც გველი თავის ხუთ კეცს თუ არ გაისწორებს, თავის ნახვრეტში ვერ შევა და ვერ განისვენებს, ისრევე კაცი, თუ თავის ხუთს საგრძნობელს სიმართლით არ დაიცვავს, ვერ შევა სასუფეველში. იმისთანა კაცს არ მართებს ეკლესიაში შესვლა.

119

გველი წავა მინდორში, მწვანეს და ყვავილიანს ადგილს დადგება და ნახავს, ქარი რომლის მხრიდამ მოდის, იმ ქარის მხარეს მიიღებს პირსა. ერთი ყვავილი არის, როცა იმის სული ეცემა იმ გველს, ერთი სინათლის მიმცემი მარგალიტი აუვა თავში, ღამე, საცა ის გველი წავა, იმ მარგალიტის სინათლით ივლის და დღე კი ბნელია.

თარგმანი: მინდორი მწვანე საყდარია ღვთისა, მოციქულთა და წინასწარმეტყველთა. ის დიდი ყვავილი რომ სინათლის მიმცემია, რომ მარგალიტს მისცემს, ის სახარება არის ქრისტესი. ის ქარი სული წმიდა არის. რომელიც მეცნიერობით წავა ეკლესიაში და სარწმუნოებით უყუროს ღვთის ბძანებას, სულმა წმიდამ [მიანიჭოს ნათელი] ტკბილი გემოვანი ასოს გამგონსა,

თუ სახარების სიტყვა გულმოდგინეთ მიიღოს, ის ნათლის მიმცემი მარგალიტი იქნება უფასო, და სულის სიბნელე, რომელიც არის ცოდვა, დაადნობს, და სა[ა]ქაოს ცხოვრება რომ არის, ტყუილი ნათელი, ჭი, მეცნიერნო, ნათელი კი არ არის, ბნელია.

120

ერთმა ქურდმა ერთი საზამთრო მოიპარა. უნდოდა გაეჭრა. საზამთრომ უთხრა: „ნუ გამჭრი მე, ჩემს მუცელში ხორასნის ვირი არისო, სანამ დამაცა, მოვიგო დამერე გამჭერო“. დაიჯერა იმ კაცმა, წაიღო შინ და საქათმეში შეინახა, მანამ დალპა და გასქდა, თესლი გამოსცვივდა, დაიხსნა ის ტყვეობიდან.

თარგმანი: როდესაც ჩავარდეს იმისთანა ალაგს, უნდა თქოს: „თუ ჯელმწიფის შვილი ვარ, აწ დიდებულისა, რომ არ მოკლან კიდევ შეინახონ, იქნება დიდი ფასი მისცენ და გაყიდონ“. მონა ან სიკვდილით მორჩება, ან გაპარვით.

121

ერთი ხე იყო, დიად მაღალი. იმის ფოთლებიდან თაფლი სწვეთდა. ერთი კაცი იმ თაფლსა ლოკდა ფოთლიდან. ორი თაგვი სჭრიდნენ იმ ხესა. იმ ხის წინ გუბე იყო, ერთი დიდი და საშინელი და საზარელი ვეშაპი შიგ იყო. კაცს იმისაგან არ ეშინოდა და არც თაფლის ლოკ[ვ]ისაგან ისვენებდა.

თარგმანი: ხე ჟამი და დრო არის. თაფლი ცოდვა არის, ადვილათა ვშვრებით. ის ორი თაგვი დღე და ღამე არის, აკლებენ ჟამსა კაცისასა. გუბე საფლავია. ვეშაპი სიკვდილია. ვაი ჩვენ, არ მოველით სიკვდილს!

122

ერთი კაცი იყო, ანჩხლი ცოლი ჰყვანდა. მუდამ ქმარს ავით ეპყრობოდა. რომ ის კაცი მეტათ შეწუხდა ამ დედა კაცისაგან, ერთს დღეს მოიგონა, რომ სოლომონ იტყვის: „სჯობს დედაკაცს ასპიტსა და ენოვანსაგან გაცლა და უდაბნოში დამკვიდრებაო“. უთხრა ცოლსა: „მამეც საბელი, წავიდე ტყეში, საშინაოთ შემა მოვიტანო“. გამოართო საბელი და წავიდა ერთს მინდორში. ნახა ერთი ორმო.

შეშა მოიტანა შინ და უთხრა დედაკაცსა: „მინდორში ერთი ორმო ვნახე საუნჯით სავსე, თვალი, მარგალიტი, ქალის სამკაული მრავალი არის იმაშიაო“. დედაკაცმა აღარ მოასვენა: „წავიდეთ, მოვიტანოთო“. წავიდნენ ორმოსთან. კაცმა თქვა: „ჩამიშვი, ამოვიტანოო“. დედაკაცმა უთხრა: „შენ რა იცი, მე ჩამიშვი, რიგიანათ ამოვიტან, არას წავახდენო“. ჩაუშო დედაკაცი, საბელი მოსჭრა და ჩააგდო, თავს დიდი ქვა დაადო ორმოსა და წამოვიდა. ერთს კვირას უკან ეს კაცი წავიდა: „ვნახო, ის დედაკაცი, ორმოში მოკვდა თუ ისევ ცოცხალიაო“. ორმოს პირზედ რომ მივიდა, ორმოს პირიდან ერთმა დაუძახა: „ვინა ხარ მადლიანი, მიშველეო!“ ამ კაცმა უთხრა: „ვინა ხარო?“ იმან უთხრა: „მე ეშმაკი ვარო, ჩემი სამკვიდრებელი ეს იყო, მაგრამ ერთი ანჩხლი დედაკაცი ჩამოვარდაო, აღარ დამაყენა, აქ ორმოს პირზედა ვდგევარ, თუ ქვას აიღებ და ამომიშვებ, დოვლათს შეგყრიო. ჯელმწიფის ქალი ავათ არის, ეშმაკეული არის, მოგცემ ნიშანსა, რომ წაიღებ, იმ ქალს უჩვენებ, იმას ეშმაკი გაეცლება და მორჩებაო. იმ ქალსაც შენ მოგცემენო და დიდობასაც იშოვნო. მაგრამ საცა მე მივალ და დავიჭერ ვისმე, თუ კიდევ მოხველ იქაო, მერე იმას გაუშვებ და შენ დაგიჭერო!“ გამოართო ნიშანი და ამოუშო ეშმაკი. მოვიდა ეს კაცი ჯელმწიფესთან და მოახსენა: „ვინც შენი ქალი მოარჩინოს, რას მისცემო?“ უბძანა: „ჩემს ქალს მივცემო“. შევიდა ეს კაცი ჯელმწიფის ქალთან, ნიშანი უჩვენა, ეშმაკი მოშორდა და მორჩა. ის ქალი მისცეს ამას და დიდს ხარისხში შეიყვანეს. ის ეშმაკი ერთს სხვას ჯელმწიფის ქალში შევიდა და ის ქალი დიდათ იტნჯებოდა. აქიმებით ვერ მორჩა. უთხრეს: „იმ ჯელმწიფის სიძემ რომ ჯელმწიფის ქალი მოარჩინა, ის მოიყვანეთ, ის მოარჩენსო“. იმ ჯელმწიფემ დიდის ვედრებით ამ ჯელმწიფეს წიგნი მოსწერა და დიდებულნი მოუგზავნა: „შენი სიძე გამომიგზავნე, ჩემი ქალი მოარჩინოსო“. ჯელმწიფემ წასვლა უბძანა. შეწუხდა ეს კაცი. არა რა იცოდა, მაგრამ ჯელმწიფის ბძანება ვერ გატეხა. წავიდა, კართან რომ მივიდა, ეშმაკი გამოვიდა და უთხრა: „მე შენ არ გითხარ, საცა მე ვიყო, იქ ნულარ მოხვალო, თორემ შენ დაგიჭერო?“ ამ კაცმა უთხრა: „შენის ერთგულობისათვის მოველო, ის დედაკაცი ორმოდან ამოსულა, გემებსო, აქ კართანა დგასო“. ეშმაკმა დაუმაძღა და უთხრა: „ღვთის გულისათვის,

კარი მაგრა დაკლიტე, ბანიდამ გავეპაროო, იმ დედა-
კაცმა აღარ მნახოსო!" გაიპარა ბანიდამ და წავიდა.
მორჩა ის ქალი. მისცა კელმწიფემ მრავალი და ეს
კაცი გაისტუმრა.

თარგმანი: თუ კაცს ასპიტი და ენოვანი ცო-
ლი ჰყავს, როგორც იტყვის სოლომონ: „სჯობს მო-
შორვება, გაცლა და უდაბნოში დამკვიდრებაო“.

123

ერთი კეთილი მოღვაწე კაცი იყო. ქარავანს
გაჰყვა, სავაჭროთ წავიდა. ქარავანი დიდი იყო. მი-
ვიდნენ ერთს უწყლოს მინდორში. მეტათ შეწუხ-
დნენ. იქ ახლო ერთი ჯურღმული იყო წყლიანი,
შიგ ეშმაკი ბუდობს, ვინც იქიდან წყალს ამოიტანს,
ველარ ამოვაო. თქვეს ქარავანის კაცთა: „ვინა ხართ
აგეთი კაცნი, თქვენი სისხლი მოგცეთ, ჩახვიდეთ,
წყალი მოგვცეთო?“ იმ კეთილ-მოღვაწე კაცმა თქვა:
„მამეცით ჩემი სისხლის ფასი, მე ჩავალო“. აღუთქვეს
მიცემა. ჩავიდა, რაერთიც უნდოდათ, სამის დღის
სამყოფი წყალი მოსცა. ის კაცი დაიჭირა ეშმაკმა და
ის ეშმაკი დიად საძაგლათ ეჩვენა და უთხრა: „მოგ-
წონვარო?“ უთხრა ამ კაცმა: „მადლობა³⁸ ღმერთსა,
რომა გნახე მაგისტანა მშვენიერის სახისაო, რომ არ
მინახავს შენი მგზავსი შვენიერიო, რომ ვაქო ყო-
ველგან შენი სიშვენიერეო!“ იქ კიდევ იყო ერთი
მყრალი და უშვერი ბაყაყი. მერე ისი ჰკითხა: „ბა-
ყაყი რაგვარი არისო?“ ამ კაცმა დაუწყო ქება, რომ
იმის ამხანაგი ქვეყანაზედ სიშვენიერე აღარა დაადა-
რა-რა. მერე ის ეშმაკი და ის ბაყაყი ერთს სხვა გა-
მოთხრილში [შევიდნენ] და სხვა სახეთ შეიცვალნენ.
ნათლოვნათ მოვიდნენ იმ კაცთან და უთხრეს: „ახ-
ლა როგორნი ვართო?“ ერთი კაცის სახეთ იყო და
ერთი ქალის სახეთ. ამ კაცმა უთხრა: „ადრევე ვი-
ცოდი ეგ თქვენი მშვენიერება, იმისთვის გაქეთო“. ეს
კაცი შეიყვანეს სხვა გამოთხრილში, უჩვენეს მრავა-
ლი დახოცილი კაცნი და უთხრეს: ვინც აქ ჩამო-
ვიდნენ, ჩვენი თავი უჩვენეთ, არავინ მოგვიწონა და
იმისთვის დავხოცეთო. ახლა რადგან შენ მოგვიწო-
ნე, [არ მოგკლავთო]“. ერთი სხვა გამოთხრილი უჩვე-
ნეს თვალით, მარგალიტით, ოქროთი და ვერცხლით
და სხვა საუნჯით სავსე და უთხრა: „რაერთიც გინ-
და, წაიღე და წადი მშვიდობითაო“. უთხრა კაცმა:
„როგორ წავილოო, ჯურღმული ესე ღრმა არის,

ვერ ავიტანო, ჩემი ამხანაგებიც წავიდნენო". მაშინ აიღო იმ ეშმაკმან ერთი ტომარა, აავსო თვალითა, მარგალიტითა, ოქროთი და ვერცხლით და სხვა საუნჯით და ჯურღმუ[ლი]დამ მაღლა აუტანა, მისცა და უთხრა: „წადი მშვიდობითაო“. აიღო, წაიღო და თავის ამხანაგებს მოეწია. იმათ ნახეს და გაიკვირვეს: „თუ როგორ მორჩა იმ ეშმაკსაო!“

თარგმანი: კეთილსა და კეთილის მოქმედის კაცის შემწე ღმერთი არისო, ეშმაკი იმას ვერას ავნებსო. როგორც იტყვის სოლომონ: „მადლიან[ი] ბოროტს მონადირეს მოურჩებაო და იმის ნაცვალ უღ[ვ]თონი ჩავარდებიან[ო]“.

124

მეცნიერი დეკანოზი იყო ქალაქსა ერთსა. ამ დეკანოზმა მოინდომა თავის შვილის მღვდლათ კურთხევა. შეიყარნენ ეპიზოპოზი და მღვდელნი საკურთხავათ. ამ დიაკვანმა სწრაფათ დაიძინა და სიზმარში ეს დიაკვანი მიიყვანეს ერთს ადგილს. ერთი მაღალი კიბე იდგა. კიბის თავში ერთი ნათლით მოსილი დიდი სახლი იყო, იქ ერთი კელმწიფე იჯდა და მღვდლებს ანგარიშს ართმევდა. მოიყვანეს ამ დიაკვნის მამა რომ იყო მოხუცებული, ხელები შეუკრეს და მძიმე საპალნე აჰკიდეს და უთხრეს: „მაგ კიბეზედ ადი და იქ კელმწიფეს ანგარიში მიეცო!“ იმას ის საპალნე ვერ აეტანა და ანგელოზნი ცეცხლის მახათით ჩხვლეთდნენ: „ჩქარა ადი, ანგარი[ში]ც მიეცო და საპალნეც აიტანეო!“ იმას ვერც საპალნე დაემძრა და ვერც ადიოდა. ერთმა ნათლით მოსილმა ანგელოზმა თქვა: „მაგას არ შეუძლიან, მაგისი საპალნე მაგის შვილს აატანინეთო!“ ვერც შვილმა დასძრა ის საპალნე და ვერც იქ აიტანა, და ანგელოზნი სცემდნენ უწყალოდ. რომ ძალიან ეტკინა, გამოეღვიძა დიაკვნსა და გაიქცა, აღარ ეკურთხა. უბძანა ეპიზოპოზმა: „რა დაგემართა, რომ აღარ ეკურთხეო?“ დიაკვანმა უთხრა: „ის რომ მე ვნახე და დამემართა, თუ შენ დაგმართებოდა, უწინ შენ გაიქცეოდი³⁹ ეპიზოპოზობიდანაო“. ⁴⁰ ყოველი ნახული უთხრა.

თარგმანი: ვინცა სჭამს, ისივე ზღავსო. ვინცა სჭამს და არა ზღავს, თითონ უნდა მისცეს ანგარიში წინაშე ზეციერის კელმწიფისა, რომ მომავალია განსჯათ.

იყო ერთი მეცნიერი და რაც მეცნიერობა ჰქონდა ასწავლიდა თავის შაგირდებსა, და სამს რასმეს⁴¹ არ ასწავლიდა, ამისათვის, ვისაც სრულებით ასწავლიდა, აღარ დგებოდნენ იმასთან. და ერთს შეგირდს უთხრა: „მანამ მოვკვდე, ჩემთან იყავ და სიკვდილის ჟამს იმ სამს მცნებასაც გასწავლიო“. როცა ამ ოსტატის სიკვდილის ჟამი რომ მოვიდა, უთხრა შეგირდს: „მოდი, ის სამი მცნებაც გასწავლოო. ერთი ეს, რომ შენს კარგს დღეს ავით ნუ გაატარებო, მეორე ეს, გზაზედ უკან და წინ ნუ წახვალო, შუაში იარეო, მესამე ეს, რაც თვალით ნახო, იმას ნურავის ეტყვიო!“ მოკვდა ის ოსტატი, დამარხა და თითონ წავიდა ქალაქს. იქ ნახა ერთი კარი ლამაზი და მაღალი. დილაზედ იმ კარის წინ დაგავა და მორწყო. ორს დღეს ისე ქნა, მესამეს დღეს რომ კიდეც უნდა დაუგავა, მოვიდნენ, დაიჭირეს და იმ სახლის პატრონთან მიიყვანეს. ბატონმა ჰკითხა: „სადაური ხარ[ო]?“ იმან თავისი უთხრა ბატონმა რომ ის ყმარწვილი ნახა, დიალ ლამაზიც იყო და მეცნიერიც კარგი იყო, უთხრა: „შვილო, ჩვენს კელმწიფეს შვილი არა ჰყავს, გინდა იმასთან წაგიყვანო, იმის შვილი შეიქნაო?“ ამან უთხრა: „შენ იცი, უფალო ჩემოო“. აიყვანა და კელმწიფესთან მიიყვანა, და კელმწიფემ შვილათ აიყვანა. შეიქნა შვილი კელმწიფისა. ერთს დღეს კელმწიფე სანადიროთ წავიდა. კელმწიფეს ჰქონდა ბეჭედი ერთი, რომ გამარჯვების თილისმა ეწერა იმაზედ და ის ბეჭედი დავიწყებოდა და ქვემო სასთაულზედ დარჩომოდა. უთხრა შვილად აყვანილსა: „წადი შინ, ქვემო სასთაულზედ ბეჭედი დამრჩა, მომიტანეო!“ წავიდა ის ყმარწვილი, ნახა, დიდი ვეზირი კელმწიფის ლოგინში წევს დედოფალთან. ის ბეჭედი აიღო, წამოვიდა და თავისი ნახული არავის უთხრა. დედოფალმა და ვეზირმა პირობა შეკრეს: „კელმწიფე რომ მოვიდეს, ის თავის შვილათ აყვანილი მოვაკვლევინოთ“. კელმწიფე რომ მობმანდა, დედოფალი მივიდა და ის უბრალო ყმარწვილი დააბეზა: „შენ რომ ბეჭდისათვის გამოგეზავნა, მოვიდა, ავით მომეპყრა, სააკაცოთ მომინდომაო! თუ ის არ მოჰკალ, სირცხვილით თავს კარში ვერ გავჰყოფთო!“ ამ კელმწიფემ ის ყმარწვილი სხვას კელმწიფესთან გაგზავნა, რომ იმის ხელქვეშ იყო, წიგნი მისწერა: „რას წამს ეს კაცი მოვიდეს, თავი მო-

სჭერით და აქ გამომიგზავნეთ[ო]“. ეს წიგნი მისცა იმ ყმარწვილს და გაისტუმრა. იმ წიგნში კიდევ ასე ეწერა: „ვინც ეს წიგნი მოიტანოს, თუნდა ჩემი შვილი იყოს, თუნდა პირველი ვეზირი იყოს, თავი მოსჭერითო!“ წავიდა. შუა გზას რომ მივიდა, მოაგონდა თავის ოსტატის მცნება: ბოლოს გზას ნუ მიხვალ. სადამო შეიქნა და დჰოლი დაჰკრეს. ადგა ის ვეზირი, რომელიც იწვა დედოფალთან, დაიჭირა ეს ყმარწვილი, თავის სახლში მიიყვანა. ვეზირს ასე ეგონა, ეს ყმარწვილი კარგს საქმეზედ გაგზავნაო, უთხრა ყმარწვილს: „შენ აქ მოისვენე, ეგ წიგნი მამეც, მე წავიღებო და შენ ამბავს მოგიტანოთ“. მისცა ის წიგნი და წავიდა. ის წიგნი რომ მიიტანა, რომ წაიკითხეს, მაშინვე თავი მოსჭრეს. ვეზირს რომ თავისი მსახური გაჰყვა, იმას რომ თავი მოსჭრეს, ეს მსახური მობრუნდა. ყმარწვილმა რომ ეს ამბავი შეიტყო, კელმწიფესთან მივიდა. რა კელმწიფემ ნახა, დიდათ გაიკვირვა და მაშინვე შეიტყო, რომ ამ ყმარწვილის საქმე ღმერთს წარემართა. კელმწიფემ უბძანა: „შვილო, რა მიზეზი იყო, რომ შენი თავი დამაბეზღესო, მაგრამ შენ[ის] სიმართლით ღმერთმა დაგიფარაო?“ ყმარწვილი პირქვე დაეცა და მოახსენა: „იტყვის დავით: „დამძალეს მე მტერთა ამოხოცათ და თვითვე გარდახდათ“.

თარგმანი: კაცმა რომ კაცს უმტეროს, თითონვე უნდა გარდახდეს. ავი კაცი უნდა შეეყაროს ავსა, როგორც იტყვის დავით: „მოთხარეს ჩემს წინ ორმო და თვითვე ჩაეფლნენ“. კეთილი ჰქმენით და ბოროტი მოგშორდესთ, როგორც იტყვის სოლომონ: „მართალი ბოროტს მონადირეს მორჩება და იმის ნაცვლათ ჩავარდეს უღ[ვ]ითო“. ვინც კაცი სირცხვილს დაჰვარავს, ღმერთიც იმას დაჰვარავს, როგორც კელმწიფის შვილმა ისე, ღმერთმა მრავალი კეთილი მიანიჭა. ბძანებს წმიდა სახარება: „უსამართლობას ნურავის უზამთ, რომ არც თქვენ მოგივიდესთ უსამართლობა. ნურავის დასჯით, რომ არც თქვენ დაისარჯნეთ“.

ერთი ყმარწვილი იყო მლოცავი, ეკლესიაში ილოცევდა და სხვას ლოცვას იდუმალ ილოცევდა და ჰმადლობდა ღმერთსა. ეშმაკმა მოინდომა ის ყმარწვილი განსაცდელში ჩაეგდო. ერთს დღეს ერთმა

კუდიანმა უთხრა ამ ყმარწვილს: „ჩვენსა მოდი, რასაცა მთხოვ, მოგცემო“. ყმარწვილი გულის სიმართლით გაჰყვა იმას. კუდიანმა შინ მიიყვანა, კარი დაკეტა და შიგნით სახლში შეიყვანა. ყმარწვილს უთხრა: „შენ აქ იყავ, მინამ მე მოვიდეთ“. იქ მოიცადა. კუდიანი წავიდა, დაიგვიანა იმ დღეს და ყმარწვილი სულ ილოცევდა, ლოცვისაგან არ დამცხრალა. როდეს ის კუდიანი მოვიდა, ღამე იყო, ფეხი მისწყნარებოდა, ორი ცხენი მოიყვანა, უთხრა: „ერთზედ შენ შეჯექო და ერთზედ მეო“. შესხდნენ. წავიდნენ. ყმარწვილმა არ იცოდა, სად მივჰყევარო. მივიდნენ ერთს დიდს მინდორსა. მინდორი იყო სიმყრალით სავსე. იმ მინდორში იდგა ერთი ციხე შავი და ჩარდახი იყო შავი, იმ ციხეზედ ერთი შავი ტახტი იდგა, ზედ შავი კელმწიფე იჯდა. წავიდა კუდიანი, იმ შავს კელმწიფეს უთხრა: „გიახელო“. იმან უთხრა: „ჩემო ბეჯითო მუშავ, დღეს რა გიმუშავნიაო, ან რა მოგიგიაო?“ კუდიანმა უთხრა: „ეს ყმარწვილი მომიყვანია, რომ შენ თაყვანი გცესო“. კელმწიფემ უთხრა ყმარწვილს: „თუ თაყვანსა მცემო, ჩემს მსახურებზედ მეტს დიდობას მოგცემო“. მაშინ ყმარწვილს ლოცვა მოაგონდა. უთხრა ყმარწვილმა: „ჟამი არის ჩემის ლოცვისაო, თაყვანი ვცე ქრისტესაო, რომ დაგვიხსნა ჯოჯოხეთიდან და ეშმაკის ხელიდანაო“. დაეცა აღმოსავლეთისაკენ და თაყვანი სცა ქრისტესა. მაშინ იქნა ჭეხა და ქუხილი საშინელი, და ყმარწვილი მისუსტდა. როცა მოსურიელდა, ვედარა ნახა-რა იმის მეტი, რომ იყო დიდს მინდორში. მოვიდნენ ანგელოზნი, გზა უჩვენეს და წავიდა ქალაქსა, და ის ამბავი უთხრა ყველასა. შეიტყო კელმწიფემ და იმ ყმარწვილს დაუძახა და უბძანა: „ში, კეთილო ყრმაო, მე მივალ იერუსალიმს, მომყევ თანაო, რომ თაყვანი სცე ქრისტესა საფლავსაო და ყოველს წმიდას ალაგებსაო ქრისტეს ღვთისა ჩვენისასაო!“ წავიდნენ. როდეს თაყვანი სცეს ქრისტეს საფლავსა და ყოველს წმიდას ადგილსა, ქრისტე გამოეცხადა და უბძანა ყმარწვილს: „ში, ყმარწვილო, მეორედ მოსვლას შენის გარჯილობის ნაცვალი ათასეულად და ბევრეულად მოგაგო, რომ იბდონს ეშმაკებში და ქაჯებში მე თაყვანის მეცო უშიშრად და მე ქრისტე ღმერთად აღმიარეო!“

თარგმანი: მლოცავს კაცს ღმერთი ყოვლის ბოროტისაგან იხსნის და განსაცდელს ეშმაკისაგან, როგორცა ჰბრძანებს წმიდა სახარება: „ერთისათვის ასეუ-

ლად, ათასეულად და ბევრეულად მიაგებს, რომელსა ჰქონდეს ყური და ისმინოს“.

127

მელა და არწივი დაძმობილდნენ, უმეცრობით ფიცი და პირობა დადვეს, რომ რაც ნადირი დაიჭირონ, ერთათ ჭამონ. როდეს მელა ინადირებდა, ისი და არწივი ერთათ სჭამდნენ, და როდეს არწივი ინადირებდა, წაიღებდა ნადირს, აიტანდა ერთს მაღალს ადგილსა. მელა იქ ვერ ავიდოდა. ნახა მელამ, რომ უმდლოობს. დაუძახა მელამ: „შე უმდლო და ხარბო და ავაზაკო[ო]!“

თარგმანი: თუ კაცი თავის ამხანაგთან მრუდია, ის ემგზავსება ქურდსა და ავაზაკსა, იუდას და კაცის მკვლელსა.

128

ერთს კაცს ნიგვზის ქვეშ ბოსტანი გაეკეთებინა, საზამთრო დაეთესა. მოვიდა დამთესი, ნახა, დიდრონი საზამთრო მოესხა, და აიხედა მაღლა, ნახა, ნიგვზის წვრილი კაკალი ესხა. თქვა: „უფალო ღმერთო, ყოველი რიგზედ გააჩინე, მაგრამ ეს ორი მარცვალი რათ არის უმგზავსო?“ ამ სიტყვაში ძილი მოუვიდა. ნიგვზიდან ერთი კაკალი ჩამოვარდა, შუბლზედ დაეცა, დიად ეტკინა, შუბლიც გაუტეხა, სისხლი გარდმოედინა. წამოდგა და ევედრებოდა ღმერთსა და თქვა: „უფალო ღმერთო, შენი ყოველი გარიგება კარგია, ვინც ნაკლებათა თქვას, ჩემს უარესად იმას გაუტყდეს თავიო. თუ ეს საზამთრო ყოფილიყო და ნიგვზსა ჰბმოდანო, მომკლავდაო!“

თარგმანი: ყოველმა კაცმა უნდა თქოს: „რაც ღმერთმან გააჩინა, ყველა რიგით და სამართლითა[ა]ო!“ კაცმა ღვთის გაჩენილი და განწესება⁴² არ უნდა დაიწუნოს.

129

ერთი კაცი იყო, თავის დღეში კეთილი არ ექნა, სულ ცოდვაში დაელამებინა და თავის დღეში ავით არ გამხდარიყო. ერთს დღეს წავიდა სასაფლაოში, იქ ეკლესი[ი]ს კარზედ ძილი მოუვიდა. ადგა და სინანულად მოეგო, ეკლესი[ი]ს აშენებას ჳელი მი-

ჰყო. როიცა დაასრულა ეკლესია, ავით გახდა სასიკვდილოთ. თქვა: „უფალო ღმერთო, რამდონი ჟამი იყო, ცოდვაში ვიყავო და ბოროტშიაო და ავით არ გავხდიო, და როიცა ეკლესია ავაშენე, ახლა ავით გავხდი და ვკვდებიო. ნუ თუ ჩემი ეკლესი[ი]ს აშენება ღმერთმან არ შეიწყნარაო!“ მაშინ ეჩვენა თავისი კეთილი ანგელოზი და უთხრა: „ნუ წინ აღუდგები, ღმერთმან შეგიბრალა, შენი ეკლესი[ი]ს აშენება ყოველს საქმეზედ უფრო მოგიწონა[ო]“.

თარგმანი: რომელ[ნი]ც შეინანებენ და ცოდვისაგან ჰელს აიღებენ, ღმერთი იმათ ცოდვას აღარ მოიხსენებს. ღმერთს უნდა კაცმა კეთილი იმოქმედოს და მერე მოკვდესო, რომ ეღირსოს სასუფეველი. ღმერთი მოწყალეა.

130

ეკლესიამ დაიკვება: „მე წმიდა ვარ და ტამარი ჩემი ღვთისა არისო, მოვლენ ჩემსა ეპიზოკოპოზნი, მღვდელნი, ილოცვენ, სწირვენ, ღმერთი მოწყალეებას მოიღებს ქვეყანაზედ და ცოდვილნი მოიქცევიანო!“ მაშინ მოვა წისქვილი და ეტყვის საყდარსა: „რაცა თქვი, ჭეშმარიტი არისო და მართალიო, მაგრამ შენ ჩემს სიკეთეს ნუ დაივიწყებო, რომ დღე და ღამ ვირჯები, ვიგებ, რომ ჭამონ მღვდელთა და ერთა, მერე მოვლენ შენთან და ილოცვენ, და თავყვანი სცენ ღმერთსა[ო]“.

თარგანი: არის ქვეყანაზედ კაცნი, რომ მუდამ ირჯებოდნენ და იგებდნენ, როგორც განბრჭვალული მეფენი, დიდებულნი, მღვდელნი და ერნი აბა სჭამენ მოგებულსა, მერე წავლენ ეკლესიას და ადიდებენ ღმერთსა.

131

ხარმა და ცხენმა იბაასეს. ცხენმა უთხრა ხარსა: „შენ ვინა ხარ, ან რის მარგებელი ხარო ჩემზედ? ოქროთი და ვერცხლით გაკეთებულს უნაგირს დამადებენ, მეფენი, თავადნი და ჩინებულნი შემსხდებიან[ო]!“ ხარმა უთხრა: „ყოვლის ქვეყნის სიქადული მე ვარ, რომ გავირჯები, მოვიგებ, მდაბალი ვარ, მაგრამ მეფენი და ერნი და თქვენა სჭამთ ჩემს ოფლით ნამუშავარსა. თუ ჩემი მოგება არ იყოს, თქვენცა და თქვენი მეფენიც დაიხოცებით, შენ რათა ხარ

სიკეთის დაუნახავიო!“

თარგმანი: კაცი არის, იმუშავებს ხარს უკეთ.
კაციც არის, რომ მუდამ ცხენზედ ჯდებოა ქვეყნის
დასაქცევლად. თუ კაცმა არ იმუშაოს, როგორც ხა-
რი, ცხენიც მოკვდება და ზედა მჯდომიც.

132

ერთი მხეცი არის საპალნის ამკიდებელი. სა-
პალნე ეკიდა: ერთი ცალი სასიკვდინე წამალი იყო
და ცალი კაცის მკვლელი მახვილი იყო. წავიდა,
ერთს ვიწროს გზას მიადგა. იქ გავლა ვერ შეიძლო.
როიცა საპალნემ შეაწუხა, ერთს მხარეს სასიკვდინე
წამალი ჩაეყარა, ერთს მხარეს მახვილი დაერჭვნენ
და მოკვდა.

თარგმანი: საპალნის ამკიდებელმა კაცმა უნდა
კეთილი აიკიდოს მარადის ზურგზე, და კაც[ნ]ი გა-
სულელეებულან ეშმაკისაგან, კეთილის მაგიერ ცოდ-
ვას იკიდებენ, როგორც მახვილსა და სასიკვდინე წა-
მალსა.

133

ჯოჯოს ერთი ბუნება აქვს, რომ მუდამ თა-
ვის ბუდეს ვერ იპოვნის. დედამიწას მოსთხრის, ერთს
ალაგს ვერ მოისვენებს. იმას ავი სული უდის თითონ,
თავისის ავის სულით სხვა და სხვა ადგილს იცვლის,
ასე ჰგონია, ავი სული ადგილს უდისო. აქა-იქ ად-
გილს იცვლის, მაგრამ ავი სული თითონ არის.

თარგმანი არიან კაცნი ქვეყანაზედ, რომ მუ-
დამ ადგილიდამ ადგილი იცვალონ, მოუსვენებელნი
არიან. ავი სული მოუსვენლობიდან არის. თუ ბუნე-
ბით კეთილი არის, ყოველს კეთილს შეიძინებს.

134

ერთი ცხოველი არის ზღვაში, დიახ კარგი
და ადამიანისა და მხეცის უვნები, ბალახსა სძოვს, ერ-
თი რქა აქვს შუბლზედა და წვერი ქვეითა აქვს. წა-
ვა, ზღვაში ჯვარის სახეთ რქას გამოავლებს, წყალი
გატკბება, თითონ დალევს, რაც ცხოველნი არიან,
იმას უყურებენ, ის რომ რქას გამოავლებს, მივლენ
და ყველანი დალევენ.

თარგმანი: თუ ყოველს კაცს ავკაცობა არა აქვს,

როგორც ის ცხოველი, კეთილი კაცნი ბერნი და მეუღაბნოენი არიან, და რჩეულნი კაცნი, რომ არა აქვსთ ბოროტი, იმათ შეუძლიანთ მწარე გაატკბი-
ლონ და ბოროტი კეთილათ შესცვალონ.

135

ვირს ერთი ზნე აქვს: სადაც საქმე გაუჭირ-
დება, ან ლაფში დაეფლობა,⁴³ იმ გზაზედ აღარ გაივ-
ლის. ყოველთ ცხოველთ და პირუტყვზედ ვირზედ
უმეცარი არავინ არის. არაბი ვირს სულელს ეძახის.
კაცი კაცსაც ხომ ეტყვის, ვირზედ უფრო უმეცარი
ხარო!

თარგმანი: კაცი რომ გიცდია ერთხელ, ისივ
არის, რომ გინახავს. კაცი თავის საქმეზედ ნამუსია-
ნათ უნდა იყოს. ის საქმე რომ უცდია ერთხელ, იმან
აღარ უნდა ქნას, ვირზედ უფრო უმეცარი იქნება.

136

ერთი კაცი იყო, ცოლი ჰყვანდა ერთი უგუ-
ნური. ერთხელ მეცნიერთაგან⁴⁴ გაიგონა: თუ სიკეთე
ჰქენიო, ზღვაში ჩააგდე, უხმარი ნუ ჩააგდეო. კაც-
მა განიწესა და დაეჩვია, ყოველს დღეს ერთს პურს
ზღვაში აგდებდა. ზღვიდამ ერთი [კაცი] გამოდიოდა,
ის პური ჯელმწიფესთან მიჰქონდა. დღესა ერთსა
ზღვის ჯელმწიფემ ბრძანა: „ის კაცი მოიყვანეთ, რო-
მელიც ზღვაში პურს აგდებსო, რომ მეც იმისი სი-
კეთე გარდ[ა]ვიხადოო!“ რომელსაც პური მიჰქონ-
და ჯელმწიფისათვის, მოვიდა ის და პურის ჩამგდებს
უთხრა: „ჯელმწიფემ ბრძანა: ის პურის ჩამგდები კაცი
მამგვარეთო, რომ იმისი სიკეთე გარდავიხადო[ო]!“
იმ ზღვის კაცმა დაარიგა: „რაც მოგცეს, შენ წუ გა-
მართმევ, შენ უთხარ, ჩემი ენა ერთი შენს პირში
გამომავლებინეო.“ პირზედ ბადე შემოავლო და ზღვა-
ში შეიყვანა, ჯელმწიფესთან მიიყვანა. უბრძანა: „ში,
კაცო, რაც გინდა, მთხოვე, მოგცე[ო]!“ მოახსენა:
„ჩემი ენა შენს პირში გამომავლებინეო“. მიიტანა
ენა და ჯელმწიფეს პირში გამოავლო. მაშინვე ისწავ-
ლა ყოვ[ე]ლის მხეცის და ფრინველის ენა. როცა გა-
მოვიდა ზღვიდამ, წავიდა, ერთის კლდის ქვეშ დაჯ-
და. მოვიდა ერთი ფრინველი, დაჯდა კლდის თავ-
ზედ და თქვა: „ამ კაცმა არ იცის, თუ რა მარხია
ამ კლდის ქვეშა[ო]“. ზღვის ჯელმწიფემ დაარიგა:

„შენს საქმეს კაცს ნუ ეტყვიო, თუ უთხარ ვისმე, მოკვდებიო“. ფრინვლისაგან რომ შეიტყო, რაც ეფლა კლდის ძირში, ამოიღო და თავის სახლში მიიტანა. ცოლმა უთხრა: „ვინ მოგცაო?“ იმას სიკვდილისა ეშინოდა და ვერ ეუბნებოდა. როდის იმ სულელმა ცოლმა აგინა ქმარსა: მითხარ, ვინ მოგცაო, მაშინ მოინდომა ქმრის სიკვდილი. წავიდა კაცი, აღსარება თქვა, ეზიარა, უნდა ეთქო და კიდეც მომკვდარიყო. იმ ღამეს მამალმა სამჯერ ფრთა შემოკურა და დაიძახა. ძალმა დაიყეფა და უთხრა: „რას გიხარიათ, რომ ფრთა შემოკურო, ხვალ ჩვენი პატრონი უნდა მოკვდესო და ჩვენ უპატრონოთ დავრჩეთო!“ მამალმა თქვა: „მე რა ვქნა, თუ მოკვდებო! მე ორმოცი ცოლი მყავს და ჩემის ბრძანების მორჩილნი არიანო!“ ძალმა თქვა: „თუ დიად სულელი და ანჩხლიაო?“ მამალმა უთხრა: „ეგ საქმე ადვილი არისო, როცა გათენდეს, წავიდეს ტყეში, ორმოცი მუხის ჯოხი მოსჭრას, მოიტანოს. ცოლმა რომ ჰკითხოს: ვინ მოგცა, მითხარო, კაცმა უთხრას: ამ ორმოცს სახრეს ზედ დაგამტვრევ, უთხრას, ამ სახრებზე მომცაო. ამ კაცმა სწორეთ ისე ქნა: ცოლს ამდონი სცემა, რომ იხვეწებოდა დედაკაცი და დიდათ ეფიცებოდა: „ოღონდ ნუ მომკლავ, აღარ გკითხავ, თუ ვინ მოგცაო“.

თარგმანი: ბევრი კაცი არის, რომ თავის საიდუმლო ცოლს უთხრას. ცოლი უთქმელობას ვერ მოითმენს. კაცი წახდება, იქნება კიდეც მოკვდეს. მართებს კაცსა, მრავალი კეთილი უყოს ცოლსა, რომ ერთი გვამნი არიან, მაგრამ თავის საიდუმლო განზრახვა არ უნდა უთხრას.

137

ერთი კაცი იყო, ჰყვანდა ერთი კარგი და ლამაზი მოყვარე. წავიდა ეს კაცი ღვინის სასმელათ, მეჯლისი ქნა და თავისი მოყვარე იქ არ იყო. როცა შუა ღამ[ე] შეიქნა, მოიკითხა თავისი მოყვარე და წავიდა იმ თავის მოყვარესთან. მეჯლიში გამართა, დიდათ მიიღო. ორმოცი კაცი მიჰყვა, ისინიც შეასხა, დასხა, მაგრამ ის თავისი მოყვარე მთვრალი იყო, ვერა გაიგო-რა. როცა ღვინო ცოტათ გამონელდა, აიკიდა ამ მოყვარემ და თავის სახლში მიიყვანა. გზაზე დაჰკითხო „ვინა ხარო?“ უთხრა: „ვერ მიცნობ, შენი ძმა ვარო“. მაშინ იცნა და უთხრა: „არც ერთ-

მა ყური არ მიგდო, ყველანი თავიანთ სახლებში წავიდნენ და შენ კი მიჰატრონეო!" ეს მთვრალი თავში იცემს და სცხვენინან. შინ მიიყვანა, ლოგინი დაუგო, დააწვინა, დახურა და მოასვენა. როცა გათენდა, შეიტყო ყოველი ყოფილი. სცხვენოდა. უთხრა ცოლსა: „მოიყვანე ის ზვარაკი, დავკლათ და ჩვენი მოყვარე დავკატიჟოთო“.

თარგმანი: მემთვრალე კაცი წაუხდენელი არ დარჩება, რა გინდ რომ კარგი მეგობარი და ძმა კაცი ჰყვანდეს, ორჯელ და სამჯერ იმისი სირცხვილი დაჰფარონ, ბოლოს, თუ არ მოიშალა მემთვრალობა, სულითაც დაიკარგება და ხორცითაცა, და მრავალნიც დაკარგულან.

138

ბროწეულის ხემ უთხრა ზეთის ხილის ხესა: „მე წითელი ბროწეული მაქვსო, ლამაზი ვარ შენზედაო“. ზეთის ხილის ხე ეტყვის: „მე მარცვალი ზეთისა მაქვს, რომ კაცს გაანათლებს[ო]“.

თარგმანი: ბროწეულის ხე ჯელმწიფეები არიან და ზეთის [ხილის] ხე მღვდლები არიან. თუმცა ჯელმწიფეები მშვენიერნი არიან, მაგრამ მღვდლებთან ვერ არიან. მღვდელი სჯობია ჯელმწიფესა. მღვდელი ბნელის განმანათლებელია, ცოდვილის სულს გაანათლებს.

139

რას წამს თევზი წყლიდამ გამოვა, მაშინვე მოკვდება.

თარგმანი: კაცი რომ ღვთის მცნებას გარდავა, მოუკვდება სული. სიკვდილს უკან სულითა და ხორციით დაისჯება.

140

როდეს ჩანგლით თევზი დაიჭირება, ის მოკვდება.

თარგმანი: როდესაც კაცი ცოდვაში შევა, ის ეშმაკის ჯელით მოკვდება, როგორც მოკვდა თევზი ცანგალში.

141

ერთი მეცნიერი კაცი გაგლახავდა. ერთი ბედოვლათი შვილი ჰყვანდა. თავის სიკვდილის ჟამს დაუძახა შვილს⁴⁵ და უთხრა: „ჩვენს ვენახში ადრევე საუნჯე შემინახავს კაის ალაგს, არ გიჩვენებ, წადი, გაისარჯე, ღრმათ მოთხარე და იპოვნო“. მამას უკან შვილი გაისარჯა დიდის გარჯით და ღრმათ სთხრიდა, ეგების ვიპოვნო. იმ თხრით ვენახმა იმატა და მერე მრავალი ნაყოფი მოისხა. შეიქნა იმისთვის საუნჯე.

თარგმანი: დიდი კეთილია მუშაკობა. დიდათ მარგებელია სააქოსაცა და საიქიოსაცა, მაგრამ მცონარნი არც აქ კეთილათ იცხოვრებენ და არც საიქიოსა, როგორცა სწერენ: მცონარისა და დამზარებლისათვის დაკეტილია კარი სასუფეველისა და არაოდეს გაეღებათ.

142

ერთმა კაცმა მგელი დაიჭირა, ფეხები შეუკრა, ძალს აჰკიდა და შინ მიჰყვანდა. კაცებმა ნახეს და უთხრეს: „ეგ რა გიქნიაო?“ უთხრა: „შინ მიმყავს, ამას ჩემს შვილებს მოუწველ ხოლმეო და ვაჭმევო“. კაცთ უთხრეს: „მაგას ქვეყნის მწველელი ამოუგდია და შენ შენთვის მწველელად მიგყავსო!“

143

ერთი მგელი მალლა ავიდა. ნახა, ქვეით ერთი პირი ცხვარი სძოვს, მივიდა და უთხრა: „მშვიდობა, მშვიდობა თქვენთანა!“ ერთი ბერი ერკემალი ერია, იმან უთხრა ცხვართა: „მართალია, მართალია, მშვიდობა გვითხრა მგელმა, მაგრამ ყველამ თქვენს თავს უშველეთო“.

144

ერთს კაცს ვირი დაჰკარგოდა და დიად მწუხარეებით დაეძებდა. მგელი შემოეყარა და ჰკითხა: „რათა ხარ მწუხარეთაო?“ კაცმა უთხრა: „ვირი დავჰკარგე და ვეღარ მიპოვნიაო“. მგელმა უთხრა: „ჰი, კაცო, შენი ვირი მე ვიპოვნეო“. კაცმა უთხრა: „მო მეც, საპოვნელას მოგცემო“. მგელმა უთხრა: „შენი ვირი ტალახში ჩაფლულიყო, სამი დღე გავისარჯე,

ძლივ გამოვიყვანე და ჩემს გასამრჯელოში შევჭამეო, ვიცოდი, საბრალო კაცი იყავი და ჩემის გასამრჯელოს მოცემა არ შეგეძლოო".

145

ქვრივ დედაკაცს ათი თხა ჰყვანდა, და ჰყვანდა ერთი შვილი. ყოველ დღევ შვილს მიჰყვანდა და თხებს ამოებდა, და დედა სწველდა და ერთს ციცხვს წყალს ურევდა რძეში, და ისე ჰყიდდა. შვილი ეუბნებოდა: „დედავ, წყალს ნუ ურევ, ცოდვა არის, წყალს რძის ალაგს ნუ ჰყიდი, თორემ ერთხელ ინანებო!“ დედამ უთხრა: „შვილო, რძე ცოტა არის, წყალს იმიტომ ურევ, რომ მოემატოსო“. დღესა ერთსა ყმარწვილი ამოებდა. მოიღრუბლა, წვიმა დაიწყო, მოვარდა ღვარი, ის თხები მოიტაცა და წყალში ჩაყარა. შვილი ტირილით მოვიდა დედასთან. დედამ უთხრა: „ცარიელი რათ მოხმელო, სად არიან ჩვენი თხებიო?“ შვილმა უთხრა: „რძეში რომ თითოს ციცხვს წყალს ურევდი, ის წყალი ღვრად იქცა, ჩვენი თხები იმ ღვარმა მოიტაცა და წყალში ჩაყარაო!“

თარგმანი: ღვთის სამართალი ჭეშმარიტი არის, თუ რომელიც კაცი უსამართლობას იხმარებს, მეტობით მიეგება, აქაც ეკითხება და მეორედ მოსვლას სამართალშიაც.

[146]

ბაღდადის ქალაქში ერთი კარგი ჯელფუნჩი დურგალი ოსტატი იყო. სამი წელიწადი იმოქმედა, ამბრის⁴⁶ მარცვლის საკურთხეველი გააკეთა, მრავალი სახე ჩაყარა, რომ იმისთანა კაცის თვალს არა ენახა-რა. წაიღო, მეფეს მიაართო, ასე ეგონა, ან ერთს ქალაქს და ან კარგს სოფელს მიბოძებსო. ჯელმწიფემ რომ ნახა, დიდათ გაიკვირვა და აქო, ათასი ვერცხლი უბოძა. აიღო ის ვერცხლი და გარეთ კარზედ დაჯდა მწუხარეთ. უნდოდა ის ათასი ვერცხლი ისევ მეფისათვის შეებრუნებინა. მოვიდა ერთი კაცი, ერთის ლანგრით ვარდი ეჭირა. ის რომ ნახა ისრე მწუხარეთ, უთხრა: „კაცო, რათა ხარ ეგრე მწუხარეთაო, რა მიზეზი არისო? ამაღ უთხრა: „სამი წელიწადია, რომ ვმუშაობ, ამბრის კურკიდან რის წვალეებით ერთი საკურთხეველი გავაკეთე, რომ ათას ოსტატში ერთი ვერ გააკეთებს იმისთანასო, მოვი-

ტანე, მეფეს მივართვი, ან ქალაქს მაჩუქებს, ან კარგს სოფელსა მეთქი. იმან ეს ათასი დრამი მომცაო, უნდა უკუბრუნოო“. იმ კაცს რომ ვარდი ეჭირა, იმან უთხრა: „შენ მართალი ხარ, ამ კელმწიფემ კელოსნის ყადრი არ იცისო. მეც კელოსანი ვარ, ამდონი წელიწადია, მე ამ კარზედა ვარ და იმას ერთხელ ჩემთვის არაფერი მოუციაო“. ამ დურგალმა უთხრა იმ ვარდის მომტანს: „შენ რა კელობა იციო?“ იმან უთხრა: „ამ სარაიას მე ვწმენდო“. დურგალმა სარტყლიდამ კელეჩო⁴⁷ ამოიღო და იმ სარაის მწმენდ[ელ]ს ცალ მხარეს წვერზედ დაადო. ასე მოეპარსა, რომ სამართებელს უკეთესათ. ისე შევიდა მეფესთან, ისე მასხარათ შეიტანა ის ვარდი. უბძანა კელმწიფემ: „ში, კაცო, აგრე შერცხვენილი როგორ შემოხველ აქაო?“ მოახსენა: „ჩემო კელმწიფევ, კარზედ ერთი კაცი ზის ნაღვლიანათ, ვკითხე: „რათა ხარ აგრე შეწუხებული [მეთქი]?“ მითხრა: „სამი წელიწადი ვიმუშავე, ამბრის კურკიდამ ერთი საკუთრთხეველი გავაკეთე, კელმწიფეს მოვართვი, მეგონა, ან ქალაქს მაჩუქებს, ან სოფელსა მეთქი, და ათასი ვერცხლი მაჩუქაო, იმაზედა ვარ შეწუხებულიო. მინდა ეს თეთრიც ისევ შეუბრუნოო“. მე უთხარ: „ჩვენმა მეფემ კელოსნის პატივი არ იცის მეთქი. მეც ამდონი ხანია ვემსახურები და არც არაფერი ჩემთვის მოუციაო“. მკითხა: „რა კელობა იციო?“ მე უთხარ: „სარაიას უვლი და კარგს გოდორს დაწნავო“. ის ეჯავრა, სარტყლიდამ კელეჩო ამოიღო, წვერზედ დამადო და ასე მომეპარსაო“. დაუძახა ის დურგალი და უბძანა: „მართლა შენ უყავ ესაო?“ მოახსენა: „მე უყავო“. გაფიცებო, რომ მეორეს წვერსაც ისე უყავო, რომ ვნახოო“. ამოიღო დურგალმა კელეჩო, დაადო მეორეს წვერზედ, რომელიც მხარე მოუპარსავი იყო, ისიც სწრაფათ მოეპარსა. უბძანა კელმწიფემ მწერალს: „რომელიც სოფელი მაგ დურგალს უნდა, დაუწერეთო, შვილის შვილამდინ გვიბოძებიაო“. ეს წიგნი გამოართო, სოფელი იშოვნა და თავის სახლში წავიდა.

თარგმანი: როგორც ვარსკვლავზედ მზე ბრწყინვალეა, ისრე მცირე კელოსანი არა რათ ჩავარდება პირველს ოსტატთან. დიდრონის კელოსნისაგან მიიღებენ მცირენი სწავლასა.

კლდის ქვეშ მგელი იწვა. თხამა თქვა: „გული მი-
თქომს, ჩავიდე, ჩემის რქით მუცელი გაუხეთქო!“.
მგელმა თქვა: „ნეტავი იქნება ჩემთვის, რომ ჩამოხვი-
დე და შენის რქით მუცელი გამიხიო!“

თარგმანი: უმეცარი კაცი იტყვის, შემძლე-
ბელს კაცს მოვერევიო, და როცა შემძლებელის კა-
ცის კელში ჩავარდება, მაშინ გამოჩნდება იმის ულო-
ნობა.

148

დედაკაცს სამი პირის წყალი აქვს: ერთი ეს,
რომ მანამ ქმარს შეირთავს, მრუშებით თავის ქალ-
წულებას გახსნის, ერთი მაშინ აეხდება; მეორე ეს,
როდესაც შვილი ეყოლება და ის ყმარწვილს დაი-
ჭერს, და გამოვა გარეთ და ურცხვათ დაჯდება, და
ყმარწვილს ძუძუს აწოებს, მაშინ აეხდება პირის წყა-
ლი; მესამე, როდესაც თავის გვირგვინის ქმარს გაუ-
შვებს და სხვასთან მივა, მაშინ აეხდება პირის წყა-
ლი. ეს სამი პირის წყალი რომ აეხდება, იმას პირის
წყალი აღარა აქვს, რაც რომა ქნას, აღარას შეირ-
ცხვენს. ღმერთმან ნუ ქნას იმისთანა დედაკაცი!

თარგმანი: თუ კაცი თავის ბუნებითს ჩვეულე-
ბას არ დაიმაგრებს და ცოდვას მიჰყვება, ის აღარას
შეირცხვენს, და მეორეთ მოსვლას წინაშე ქრისტესა
სირცხვილულ შეიქნება.

149

ერთი კაცი იყო, წელიწადში ასი კოდი პუ-
რი მოუვიდოდა და წლამდინ ეყოფოდა. ერთს წე-
ლიწადს ოთხმოც[ი] კოდი მოუვიდა. იმისთვისა [ს]წუხ-
და: „ოცი კოდი რომ დამაკლდა, ჩემს ხიზანს ხომ
არ ეყოფა, რა ვქნაო!“ ამ კაცს ღმერთმან ანგელო-
ზი მოუვლინა და უთხრა: „ერთი ქვრივი დედაკაცი
არის, ერთი ქალი ჰყავს, ორი კოდი პური აჰკიდე
და იმას მიუტანეო“. აჰკიდა ამ კაცმა ორი ფუთი
პური, იმ ქვრივს დედაკაცს მიუტანა. დედაკაცმა თავის
ქალს დაუძახა: „ეს პური უფალს გამოუგზავნია,
მოდით, შეიტანეთ!“ ქალმა უთხრა დედას: „სადილათ
ხომ პური გვიჭამიაო, ორი კვერი კიდევა გვაქვს, იმა-
საც ხომ შევჭამთ, ხვალ ღმერთი სხვას გვიბოძებსო“.
დედა-შვილთ უთხრეს იმ პურის მომტანს კაცსა: „შვი-
ლო, ეგ პური წაიღე, ვისაც პური არა აქვსთ, იმათ

მიეცო, ჩვენ მომეტებული არ გვინდაო". გაიკვირვა ამ კაცმა ამათი ღვთის მინდობილი სასოება, შერცხვა ამ კაცსა, რომ ოთხმოცი კოდი პური ჰქონდა და კიდევა წუხდა, ცოტა არისო.

თარგმანი: რომელთაც მრავალი აქვსთ, მარადის იმის ფიქრში არიან, როგორ უნდა დავრჩეთო და ზოგი, ერთის დღის პური რომა აქვსთ, ხვალისათვის არა წუხან და ღვთის მინდობით არიან, და არ უსასოებენ.

150

ერთი ღარიბი მღვდელი იყო, მივიდა ყასაბთან და უთხრა: „პატარა ხორცი მამეცი, შვილები მშიერი მყავს, იმათ მოუხარშოო". ყასაბმა საცინლათ [ა]იგდო და ერთი ლიტრა ხორცი მისცა და უთხრა: „მამის ჩემისათვის სწირეო“. მღვდელმა სიმართლის გულითა ჰკითხა: „მამა შენს რა ერქოო?“ უთხრა ყასაბმა: „სათულის ტარი ჰქვიაანო“. ის ხორცი წაიღო მღვდელმა, მოხარშა, შვილებს აჭამა. მეორეს დღეს მღვდელმა სწირა, სათულის ტარი მოიხსენია გულის სიმართლით, მართლა იმის მამის სახელი ეგონა. ის სათულის ტარი განედღდა, ამაღლდა, აყვავდა. მრავალ ფერი ყვავილი დაისხა, რომ კაცის თვალს იმისთანა შვენიერი არა ენახა-რა. ასეთი სული სდიოდა, რომ კაცს იმის უკეთესი არა ენახებოდა-რა. რა ყასაბმა ნახა, განცვიფრდა, მივიდა, მღვდელს მუხლთ მოეხვია, და წირვის სასწაული ნახეს ყოველთა. ყასაბმა ხელახლა აწირვინა მამისათვის და მართლა თავის მამის სახელი უთხრა.

თარგმანი: ნუ მოატყუებო, ძალი ღვთისა არ უგულუბელ იქმნას! არ შესუსტდება ყოველითურთ: ძრიელი და სასწაულის მოქმედია ღმერთი.

151

ორნი კაცნი გაამხანაკდნენ, გლახის ტანისამოსი ჩაიცვეს და ქვეყნებს დაიარებოდნენ. მივიდნენ ერთს ქალაქს, ნახეს, ციხის კარზედ ერთი ადამიანის თავი ეკიდა. იმ კარიდამ არ შევიდნენ, თქვეს: „სხვა კარიდამ შევიდეთო“. მივიდნენ სხვას კარზედ, იქაც ეკიდა ადამიანის თავი. არც იქიდამ შევიდნენ. იმ ქალაქს რამდონიც კარი ჰქონდა, სულ მოიარეს და ყველგან ეკიდა [ადამიანის თავი]. რომ აღარ იქნა,

ერთის კარიდამ შევიდნენ. ნახეს ქალაქის კაცთა, რომ უცხოს ქვეყნიდამ არიან. მივიდნენ, მეფეს მოახსენეს. მეფემ ეს კაცი მისხმევინა, კარგი სადილი გაუკეთა და თავისთან დაისხა. ჭამაში რომ შევიდნენ, იმ ორის კაციდამ ერთი კარზედ გავიდა. მეფემ, მეორე კაცი რომ გვერ[დ]თ უჯდა, იმას უბძანა: „ეგ შენი ამხანაგი რომ ისეთი ავი კაცი არის და მაგისი ავკაცობა რომ მრავლისაგან მესმის, მაგას როგორ გაამხანაგებინარო და მაგაზედ რატომ ხელს არ აიღებო?“ ამ კაცმა უთხრა: „მაგას ნუ ბძანებ, მტრისაგან შემოგსმენიაო, ეს თვით ჯელმწიფის შვილი არის და ყოვლის კეთილის ზნეობით სრულიაო, რომ უკანასკნელს მონათაც არ მიკადრებ-სო“. ის რომ შემოვიდა⁴⁸, ახლა ეს გავიდა, და ახლა იმას⁴⁹ უბძანა: „შენ რომ ჯელმწიფის შვილი ხარ და ყოვლის კეთილის ზნეობით სრული ხარ, მაგისთანას ავკაცს რათ გამეგობრებიხარ, რომ მრავალნი მაგის ავკაცობას ლაპარაკობენო!“ იმახ-მოახსენა: „მაგას ნუ ბძანებ, მტრის სიტყვა მოგხსენებიაო. ეგ ასეთი დიდებულის კაცის შვილია, რომ მაგისის მამისაგან ჩემი ოჯახი დადგინებულია, რომ დღესაც მაგისის მცნებისაგან და ჭკუისაგან ერთს ლუკმას პურსა ვშოულობ, და თუ მაგას საქმეში გამოსცდით, ნახავთ, რა კაცი არისო“. ის კაციც შემოვიდა. ამათ უბძანა: „ციხის კარზედ რომ ადამიანის თავები ჰკიდია, ნახეთო?“ მოახსენეს: „ვნახეთო“. „აბა ის თავები სულ უცხო ხამი კაცის თავები არისო. ვისაც ვკითხე ერთმანერთის ამბავი, ერთმანერთი ამაგესო და იმისთვის ვხოცდი, და თქვენ რომ ერთმანერთი აქეთ, ამი[ს]-თვის არ დაგხოცე[თ]ო“. მრავალი უბოძა და გაისტუმრა. სიხარულით წავიდნენ.

თარგმანი: რომელმაც თავისი ამხანაგი ავით ახსენოს და დასძრახოს, თითონ დაიდრახება და ავით იხსენება⁵⁰, და კაცმა რომ თავისი ამხანაგის კეთილი მოინდომოს და თქოს, ქვეყანაში თითონ შეიქნება კარგი და თითონ მიიღებს სიკეთესა ღვთისაგანაც და კაცისაგანაც და ორსავე სოფელს კეთილი მიეცემა.

ერთი კაცი იყო, დიად მოვალე და მოვალეები-საგან მოსვენება არა ჰქონდა. ერთს დღეს ერთმა მოვალემ უთხრა: „მე ერთს რასმე გასწავლი, რომ შენს მოვალე[ე]ბს მორჩე, თუ ჩემს ვალს მამცემო“.

ამ მოვალემ ღვთის ფიცი მისცა: „ოღონდ ერთი რამ მასწავლე, სხვას მოვალე[ე]ბს მოვრჩე და შენს ვალს კი მოგცემო“. ამან უთხრა: „ვინც შენ ვალი გთხოვ[ვო]სო, შენ უთხარ: „ხამო!“ თუ გიჩივლონ, მოსამართლესაც უთხარ: „ხამო!“ ვინც ვალსა სთხოვდა, ეუბნებოდა: ხამ!" თუ სადმე უჩივლებდნენ, იძახდა: „ხამ!" ყველამა თქვეს: „გიჟია, რასა ვთხოვთო". და ყველამ ხელი აიღეს. ვინც ეს ჭკუა ასწავლა, იმან უთხრა: „მოვალეებს ხომ ყველას მოგარჩინე და მე შემომფიცე, შენს ვალს კი მოგცემო, აბა მომეციო". იმასაც უთხრა: „ხამო!“ წავიდა ეს კაცი, იმ ქალაქის მოსამართლესთან უჩივლა: „ამ კაცს ორმოც და ათი თოფი სამოსელი მივეცი გასათეთრებლათ და არ მამღვესო, სამართალი მომეციო". მოსამართლემ ჰკითხა მოვალეს: „მისაცემი რომა ხარ, რატომ არ ამღვევო?“ მოვალემ უთხრა: „ხამ!“ სამოსლის პატრონმა უთხრა: „თუ გაუთეთრებელია, ხამი მამეციო“. ამისთაწის ოსტატობით და ჭკუით გამოართო თავისი ჰახი.

თარგმანი: უსამართლობით გამორთმეული არ შერჩება კაცსა, სამართალში შერცხვება. რომ უსამართლობით შეირჩინოს, სულით მოვალე დარჩება და კაცთან სირცხვილუულათ შეიქნება.

153

ორნი კაცნი წავიდნენ გზასა, რამდონიმე ხანი დაჰყვეს. ერთი კაცი სიმართლით მოიქცა, მრავალი მოიგო. მეორემ ვერა რა იშოვნა და ისევ ერთათ⁵¹ მოდიან. თავიანთ ქვეყანასა რომ დაახლოვდნენ, უქონელმა კაცმა უთხრა საქონლის პატრონს კაცსა: „ხომ იცი, არა მაქვს-რა, ათასი ვერცხლი მასესხე, ერთი წელიწადი ჩემი ცოლ-შვილი შევინახო, მოვიგებ და წლის თავზედ მოგართმევო, შენის სულის გულისათვის ეს სიკეთე მიყავო". ამან გულის სიმართლით დაუთვალა ათასი ვერცხლი და მისცა. მოვიდნენ სიხარულით თავიანთ სახლებში. ერთმა წელიწადმა გაიარა. ფულის პატრონმა უთხრა: „წელიწადმა ხომ გაიარა, მეჭირება, ჩემი თეთრი მამეციო". ამ კაცმა იცოდა, არც წიგნი ჰქონდა, არც მოწამე ჰყვანდა, იუარა: „შენი თეთრი არა მმართვესო". წავიდნენ მოსამართლესთან. ფულის პატრონი გულის სიმართლით ამბობს: „ეჭირებოდა, და ვასესხეო, ახლა მე მეჭირება და არ მამღვესო". ეს კაცი უარობდა:

„არა მმართველსო“. მოსამართლემ ჰკითხა ფულის პატრონს: „რომ ასესხე, წიგნი არ გამოართვი, ან მოწამე არ დაისწარო?“ ამან მოახსენა: „მარტოკა ორნი ვიყავითო, შემეხვეწა და ვასესხეო, ჩვენი მოწამე ღმერთი არისო“. ჰკითხა მოსამართლემ: „იქ თქვენთან ან ცხენი, ან ძროხა, ან ხე, ან ქვა არ იყო[ო]?“ მოახსენა ფულის პატრონმა: „არა იყო-რა, ერთი დიდი ქვა იყო, იმაზედ დავსხედით, დაუთვალე და მივეცო“. უთხრა მოსამართლემ: „წადი, თუ შეიძლო, ის ქვა აიკიდე, თუ არა, ხარები შეაბი, ისე მოიტანეო. თუ არა, მოსტეხე ის ქვა და ნიშანი მომიტანეო!“ სწრაფათ გაიქცა. მოვალე იქავ დარჩა. ჰკითხა მოსამართლემ: „შეუძლია იმას იმ ქვის მოტანაო?“ მოახსენა: „ათასი უღელი ხარიც რომ შეაბას, იმას ვერ დასძვრენო“. ფულის პატრონი ისევ დააბრუნა და იმ მოვალეს უთხრა: „წადი, თავის ფული მიეცო. შენვე უმოწმე, რომ გმართვეს მაგისი ფულიო!“ გამტყუნდა და შერცხვა და მისცა თავისი თეთრი.

თარგმანი: მოსამართლე იმისთანა უნდა იყოს, რომ სამართალი გამოძიებით [მოახდინოს] და სამართალი ქნას, რომ ღმერთიც ჯელს მოუმართავს, როგორც სოლომონ იტყვის: მეცნიერი უნდა დაადგინონ მოსამართლეთაო.

154

ერთმა მარტომყოფელმა ეშმაკს აღთქმა დაუდო: „ერთს წელიწადს მარხოვ შევინახამ, თუ დიდობას მაწევო“. ეშმაკმან იკისრა, იმის ვედრება აღუსრულოს როცა ერთი წელიწადი მარხო შეინახა, იქაური ეპიზოკოპოზი ავით გახდა. ეს ეშმაკის მოსავი დააყენეს საყდრის მცველად. მეორეს წელიწადს მოკვდა ეს ეპიზოკოპოზი და ეს ეშმაკის მოსავი დააყენეს ეპიზოკოპოზათ. როდეს ეს შეიმოსა, უნდა ეწირა. მივიდა ეშმაკი და ოთხი პატარა წელი მისცა და უთხრა: „შენი სიკეთის მაგიერი ეს იყო, რომ მაგ დიდობას გაწიე. ეს ოთხი პატარა წელი უბეში ჩაიდე, როცა საკურთხეველში დასდგე, ერთის თითით ამ ერთს წელს დაჰკარო!“ როცა ერთს წელს დაჰკარა, ის ოთხი წელი ათათ იქცა, ათასი, ათი ათასი და ასი ათასი საკრავის ხმა გამოვიდა: ზოგნი ზურნას უკვრენ, ზოგნი დაირასა, ზოგნი დჰოლსა, ზოგნი ჩანგსა. შეიქნა დიდი ხმიანობა. მეფე და ერნი განცვიფრდნენ და ვერა ხედევდნენ, ვინ [უ]კრევდა.

ბძანა ჰელმწიფემ: „საყდრის კარი დაიჭირეთო!“ ყვე-
ლანი გაატიტვლეს და ეძებდნენ, მაგრამ ვერავისში
იპოეს. რომ დარჩნენ მეფე და ეპიზოკოპოზი, თვით
მეფეც გატიტვლდა. არცარა იმაში იყო. როცა ეპიზ-
ოკოპოზი გაატიტვლეს, ნახეს, უბეში ოთხი პატარა
წელი ედვა. რომ ნახეს, იმისაგან იყო, ყოველი ყო-
ფილი ათქმევინეს, როგორც ეშმაკისათვის პირობა
მიეცა, მერე მოაბეს ცხენის ძუასა და მინდორი მოარ-
ბენინეს და ლუკმა-ლუკმა დაწყვიტეს, სულითა და
ხორციტ დაიკარგა.

თარგმანი: ვინც ეშმაკს პირობას დაუდებს, ბო-
ლო ასე მოუვათ ჭემმარიტათ.

155

ერთი ცხოველი არის, მუცელს გამოირეცხს
ზაფხულის დღესა და წავა და კლდის ნახვრეტში
დაჯდება. თუ მუცელში ცოტა რამ საჭმელი დარჩა,
მუცელს გაუხვრეტს და მოკვდება.

თარგმანი: თუ კაცს ცოტა ცოდვა დარჩა,
მღვდელს არ აღუარა და არ შეინანა, და საფლავში
თან ჩაჰყვა, დღესა განკითხვისასა ცეცხლში წარგზავ-
ნის ის მცირე ცოდვა ჭემმარიტათ. ამინ.

156

შემოკრბნენ ფრინველნი. ჩიტი თავიანთ მე-
ფეთ დასვეს. ერთს დღეს გაიარა მეფემ, ნახა, ყმარ-
წვილებს აკანათი დაედოთ ჩიტის დასაჭერათ. იმ აკა-
მათის მარცვალი რომ თეთრათა ჩნდა, ამ მეფეს დიად
მოუნდა, ჩამოხდა აკანათზედ, ის მარცვალი უნდა
აელო და აკანათში გაეხა. მივიდნენ, თავის დიდე-
ბულთ ნახეს, აკანათში შებნედილიყო. დიად შეწუხ-
დნენ და მოახსენეს: „ეგ რა არის შენს თავზედაო?“
უთხრა: „სიხარბემ ჭკუა წამართო, მინდოდა ჩუმათ
მეჭამა ხორბალი და ეს მომივიდაო“.

თარგმანი: მრავალთ წმიდათ და წინამძღვართ
დაკარგეს თავიანთ თავი სიხარბით და ვერცხლის მო-
ყვარეობით, იმისთვის ჩაცვივდნენ ეშმაკის მახეში,
შეიქმნენ საწყალობელნი.

157

ერთი კაცი წავიდა, მოსამართლეს მოახსენა:

„ერთს ქილას ერბოს მოგართმევ, ხვალ მე და ჩემი მოდავე რომ მოვიდეთ შენთან საჩივლელათ, მე გამამართლო". მეორეს დღეს სამართალში რომ მივიდნენ, მოსამართლემ ერბოს მიმართმევი კაცი გაამართლა და გასამართლებ[ელ]ი წიგნი მისცა. წავიდა ის კაცი, ქილა ყელამდინ დოთი აავსო და ორიოდ კოვზი ერბო ქოთანს პირზედ დაადო, პირი მოჰკრა და მოსამართლეს მიუტანა და თითონ წამოვიდა. ორსაოდ დღეს უკან მოსამართლემ თავის მზარეულს უთხრა: „გულით მინდა, იმ კაცის მოტანილის ერბოთი ფლავი მომიხარშეო!" ბრინჯი მოხარშა, ერბო მოიტანა, უნდა დაედო, ნახა, პირზედ ცოტა ერბო იდო და ქოთანი დოთი იყო სავსე. მაშინა თქვა მოსამართლემ: „იმ კაცმა ხომ მომატყუა, მეც მაგიერს უზამო“. ერთს დღეს იმ კაცმა მოსამართლის კარზედ გაიარა. მოსამართლემ დაუძახა: „ძმაო, შენ რომ სამართლის წიგნი მოგეცი, იმაში ერთი სიტყვა აკლია, მომიტანე, გავასწორო, რომ შენი მოდავე აღარას შემოგვიდესო“. ამ კაცმა უთხრა: „შენს ქოთანს თუ აკლია ერბო, თორემ ჩემს წიგნს არა აკლია-რაო“. *)

*) ამას ქვემოთ დედანს ერთი ფურცელი აკლია, და შემდეგი არაკის მარტო ნაწყვეტია დარჩენილი. აი ეს ნაწყვეტიც: „... და არც კაცსა. ეს მოიწონეს, მეცხვარის მოყვანა, ათი ცხენოსანი გაგზავნეს მემცხვარის მოსაყვანათ. მივიდნენ. ნახეს, მინდორში ერთი მემცხვარე ცხვარსა სწველს. იმას გამარჯვება უთხრეს, და უთხრეს: „ველმწიფე გიბრძანებსო“. იმან უთხრა: „ჩემს დღეში არც ქა-

შენიშვნები.

იმ სიტყვების მაგიერ, რომელთაც ციფრები უზის, დედანში სწერია:

იმ სიტყვების მაგიერ, რომელთაც ციფრები უზის, დედანში სწერია:

1) რომა. 2) პური. 3) მოსამსახურედ. 4) და. 5) თავილი. 6) წინეთ წერებულა: „მხარის". მერმე ტექსტის ხელით გადაკეთებულია: „გვარის". 7) კაცის. 8) უკანასკნელი ექვსი სიტყვა გამეორებულია დედანში. 9) ეს სიტყვა გამეორებულია დედანში. 10) მწუხარებაში. 11) სასურფეველისათვის (სხვა შემთხვევაშიაც ყოველთვის „სასუფეველის" მაგიერ, სწერია: „სასურფეველი"). 12) ორიოდ, 13) მოვიდნენ. 14) მოეკლაო. 15) აქ მიმატებულია „და“. 16) უკანასკნელი ოთხი სიტყვა გამეორებულია. 17) მიმატებულია სიტყვა: „მისცა“. 18) მწუხარება.

19) შეუძრვა. 20) მიმატებულია: და კაკაბმა. 21) მიმატებულია: რომ. 22) ნილოზ. 23) რაც. 24) გავიწყრები 25) ვეძიებ-დიო. 26) მცა 27) მიმატებულია: და ეჭვში ნუ შეორგულდე-

ლაქში გამივლია და ჯელმწიფე რათ მიბრძანებს, რა უნდაო?" ამათ უთხრეს: „არ ვიცით მიზეზიო“. ამ მემცხვარემ კარგი ბატკანი დაუკლა, სადილი აჭამა, ჯელმწიფის კაცნი გაამხიარულა და კიდევ ჰკითხა თავის დამახების მიზეზი. იმათ უთხრეს: „მეცნიერი კაცნი შეიყარნენ და მოახსენეს: „შენი კოშკი რომ არა დგება, იქცევაო, ერთი უმეცარი კაცი იპოვნე, კედელში დაატანე და აღარ დაიქცევაო“. შენ ამისთვის გვინდიხარ, რომ ციხეში დაგატანოთ!" ამა გაიცინა და თქო: „ვაი თქვენ, დიდათ უმეცარნო, აბა მე გაჩვენებ[თ] ჩემს მეცნიერობასაო!“ მოიყვანა ერთი მაკე ცხვარი და თქო: „ამ ცხვარს ტყუბი ბატკანი ჰყავს, ერთი მამალიაო, ერთს თავი თეთრი აქვს და ერთს შავიო“. დაკლა ის ცხვარი. როგორც მემცხვარემ თქვა, სწორეთ ისე იყო. კიდევ ერთი მაკე ცხვარი მოიყვანა და თქვა: „ამას ერთი ბატკანი ჰყავ, ტანი შავი აქვს და თავი თეთრიო, და თითონ ვერძი არისო“.

ამით თავდება ტექსტი ჩვენი დედნისა. უკანასკნელ ფურცელზე მარტო ოთხი სტრიქონია ტექსტისა, დანარჩენი ნაწილი სავსეა მერმენდელის მინაწერებით, რომელნიც სისრულისათვის მოგვყავს აქ სიტყვების შეუცვლელათ:

ბი. 29) მიმატებულია: სჭამდნენ. 29) მიმატებულია: თუ. 30) ჯელმწიფისაგან. 31) მიმატებულია: რომ. 32) მიმატებულია: და მეორეს ყურში გაუყარა. 33) მიმატებულია: არა. 34) ემთხვივა. 35) მიმატებულია: როგორც ჰბრძანებს: ნეტარ თქვენ რომ იმ ვიწრო გზას გამოიარეთ. 36) ქანწულნი (ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიაც ამ სახით იხმარება ეს სიტყვა). 37) შევლენ. 38) მადლობაა. 39) მიმატებულია: უნდა. 40) მიმატებულია: რომ. 41) სამი რამ. 42) გაჩენილსა და განწესებასა. 43) დაუფლოფა. 44) მეცნიართაგან. 45) შვილი. 46) ამ სიტყვის ზემოთ მერმენდელის ხელით სწერია: ხორბლის. 47) ჯელეჩე. 48) მიმატებულია: ის რომ შემოვიდა. 49) ამას. 50) იხსენებდა. 51) ერთან.

დმერთო, მიეცი მტკიცე ქრისტიან სომხებს და ქართველებს ერთობა, რომ არ იყვნენ ჯაკარაკები ერთმანეთისა, რომ არ მოერიონ ურჯულოებმა. დმერთო, მიეცი ეჩმიაწენის ათორსა სიხარული თავისის ჟოლოვურდით, ეგრეთვე ჩვენ, ქართველებსაც შავიწიე ეჩმიაწენი, ცხეთა და სურფგეურქი.

ჩყვზ წელსა ენკენისთვის ია-სა ზეი, კაცნო, რატომ არ სცდილოფთ შეიყვართ დმერთი, რამეთუ მოახლოვებულ არს სასურფველი ცათა! უნდა გიყვარდეთ დმერთი ჩვენ[ი] მხსნელი იესო ქრისტე,

რომ ჩვენი ჯოჯოხეთიდან დახსნის გულისთვის მიიღო იმდენი ტანჯვა. მამასადამე, ჩვენც გვმართებს, შევიყვართ იესო ქრისტე და მივყვეთ სიმართლესა, კეთილკაცობასა, გლახაკთა გაკითხვასა, რომ ჩვენც დავიმტკიცოთ სასუფეველი ცათა. იესო ქრისტე ბრძანებს: „ვინც მიიღოს სისხლი და ხორცი ჩემი, იმან ჩემში განისვენოს და მე იმაში“. ამინ. დიდება უფალს. ღმერთო, შენ დაიხსენ სომხეთი გაჭირებიდგან და მიეცი ქრისტიანებს ერთობა და სიხარული!

ბოლოსიტყვაობა.

«მელის წიგნი» დაისტამბა ერთათ-ერთ ხელნაწერიდან, რომელიც შექმნილია წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთსაცავისათვის № 2966. ხელნაწერი პატარა ტანისაა, სულ 18×11,5 სანტიმეტრი, დაწერილია ლურჯ ქაღალდზე ადვილად გასარჩევ მორგვალო მხედრულის ხელით და შავის მელნით. ყოველ გვერდზე გარშემო უვლის ოთხკუთხედი. სათვალავი გვერდებისა აღნიშნულია ქვემო აშიაზე მხედრულის ასოებით, ხოლო ზემო აშიაზე სომხურის ასოებით. არაკების სათვალავი აღნიშნულია ქართულის ასოებით აშიებზე. ყოველ წინა გვერდზე უმეტეს შემთხვევაში ნაჩვენებია პირველი ასოები შემდეგი გვერდის პირველი სიტყვისა, ნიშნებათ იხმარება ყოველი არაკის ბოლოს : ~, ესე იგი ორი წერტილი და მრუდე საზი. სხვებ შემხვევაში ნახმარია თითო წერტილი წინადადების დამთავრების შემდეგ და იშვიათათ მძიმე. ყდა ქაღალდისა აქვს ტყავ-გადაკრული. ჩვენს ხელნაწერს აკლია მხოლოდ ერთი ფურცელი ანუ 245 და 246 გვერდები. ამიტომ უკანასკნელი მე-158 არაკი ჩვენის დედნისა ნაწყვეტათ არის შენახული, აგრეთვე აკლია კიდევ ჩვენს ტექსტს სომხურ და არაბულ შედის წიგნთან შედარებით ექვსი არაკი 159-164. ეს ნაკლი ჩვენს ხელნაწერს კი არ ეკუთვნის, არამედ იმ დედანს, რომლიდანაც ხელნაწერია გამოღებული. ეს აზრი მტკიცდება შემდეგის გარემოებით: უკანასკნელ ფურცელზე ხელნაწერისა ანუ მე-249 გვერდზე მოყვანილია მხოლოდ სამი სტრიქონი, დანარჩენი ნაწილი მე-249 გვერდისა და მთელი შემდეგი მე-250 გვერდი ცალიერი ყოფილა. ამ გვერდებზე მოყვანილი ბოლონდელი მინაწერები, რომელთაც ტაქსტთან არავითარი კავშირი არა აქვს, ეკუთვნიან, როგორც ნაჩვენებია (იხ. გვ. 142, შენ.), 1887 წელს. რომ ჩვენის დედნიდან იყოს დაკარგული ბოლო ფურცლები, ცალიერი ადგილი არ იქნებოდა დატოვებული და მერმე კიდევ თითქმის ორი გვერდი. აშკარაა, ბოლო არაკები ჰკლებია იმ

დედანს, საიდანაც გადმოულიათ ხელნაწერი. ხელნაწერს თარიღი არა აქვს, მაგრამ მასალის და წერის ხასიათის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყოველ შემთხვევაში ის არ ეკუთვნის მეთვრამეტე საუკუნის დასასრულის უწინარეს დროს, უფრო საჭეშმარიტოა, რომ ხელნაწერი გადაწერილია მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებში.

მელის წიგნი მოიპოვება როგორც სომხურს, ისე არაბულს ენაზე. უწინ ის აზრი იყო გავრცელებული მეცნიერთა შორის, რომ სომხური მელის წიგნი ნათარგმნია არაბულისაგან, მაგრამ ეხლა პროფესორმა ნ. მარმა მშვენიერათ დაამტკიცა თავის თხზულებაში „Сборники притчъ Вардана СПБ. 1899“, რომ სომხური მელის წიგნი კი არ არის არაბულისაგან ნათარგმნი, არამედ არაბული სომხურისაგან. ჩვენ-მიერ გამოცემული მელის წიგნი, ჩვენის აზრით, ნათარგმნია აგრეთვე სომხურისაგან. ქართული მელის წიგნი უფრო ახლოა სომხურ მელის წიგნთან, ვიდრე არაბულთან. ქართულს თარგმანში არ მოიპოვება ის განსხვავებული არაკები, რომელიც არის არაბულს ტექსტში, მაგალითათ, ბრმა და წმიდანი, ავაზაკი და მეუდაზნოე, ალექსანდრე დიდი, არისტოტელი და სულელი. სამაგიეროთ ქართულში არის ის არაკები, რომელიც მოიპოვება სომხურ ტექსტში და არ არის არაბულში (6, 24, 30). რიგი არაკებისა ეთანხმება იმ რიგს, რომელიც არსებობს სომხურს მელის წიგნში. გარდა ამისა უფრო მეტ საბუთათ ის მიგვაჩნია, რომ ქართულში (ზოგიერთი სიტყვები სომხურის ფორმით არის ნახმარი, მაგალითათ, ნილოს ნილოსის მაგიერ (იხ შენ. 22), კურია რკუს მაგიერ (გვ. 18), ბუთის ქვა (გვ. 66. სიტყვა ბუთი გადმოუთარგმნელათ დაუტოვებია ავტორს; ეხლანდელი ანის მახლობელი სომხები თურმე დასრეტილ ქვას ეძახიან ბუთის ქვას. იხ. ხსენებული შრომა მარრისა გვ. 25), ნისაფი სვინიდიის მაგიერ (ეს სიტყვა არაბულიდან ყოფილა შემოტანილი სომხურში) და სხვა. ყველა ამის მიხედვით უეჭველათ უნდა ჩაითვალოს, რომ ქართული მელის წიგნი სომხურიდან არის ნათარგმნი. ხოლო საჭიროთ მიგვაჩნია აქ შევნიშნოთ, რომ ზოგი რამ განსხვავება სომხურს ცნობილს დედნებთან ემჩნევა ქართულს ტექსტს. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ რამოდენიმე განსხვავებას. 1 არაკი ბევრით უფრო შემოკლებულია ქართულს თარგმანში, ვიდრე სომხურში. ამ არაკის რედაქცია ქართულში უფრო ახლოა ეზოპის იმავე არაკთან, ვიდრე სომხურთან (იხ. მარრის შრომა გვ. 499). მე-7 არაკში კოსტანტინე მეფის

მაგიერ იხსენიება კოსტანტინეპოლის მეფე. მე-8 არაკში არ არის მოხსენებული, რომ ტვირთს მარლი შეადგენდა. მე-14 არაკში ადგილის სახელი გალატი არ იხსენიება. მე-39 არაკის სათაური არის მელა და მორიელი და არა მელა და კიბო, როგორც სომხურშია. მე-50 არაკში კატა ხელმწიფის მესაწოლეთ იხსენიება და არა მესაწოლეთ. მე-77 არაკში ლაკლაკზე სრულებით არ არის ლაპარაკი, არამედ მარტო გვრიტზე. მე-79 არაკში ლაკლაკის მაგიერ იხსენიება გვრიტი. მე-108 არაკში ვირის კუდის მაგიერ მოხსენებულია ვირის თავი. მე-156 არაკში ფრინველთ მეფეთ ჩიტია მოხსენებული და არა ტოროლა, როგორც სომხურში. ყველაზე მეტ განსხვავებათ ქართულის ტექსტისა უნდა ჩაითვალოს მე-111 არაკი. აქ სომხურს და არაბულს მელის წიგნებში მოთხრობილია ღორების და მუტრუკების არაკი. ხოლო ქართულში სულელი მგელის არაკი. უკეთ რომ ვთქვათ, აქ შეერთებულია ოთხი არაკი: მგელი და დეკულები, მგელი და თხა, მგელი და ვირი, მგელი და მონადირე. თუმცა სხვა ვარდანულს კრებულში არის არაკი, რომელიც წააგავს ამ არაკს (იხ. მარის წიგნი გვ. 542 და აგრეთვე 529), მაგრამ მელის წიგნში კი არაკი არ არის და ხსენებულ ვარდანულს კრებულშიაც დიდათ განსხვავებულია. ამას გარდა ზნეობრივ მოძღვრებაში არაკების ბოლოს ხშირათ ვპოულობთ გარჩევას. ყველა ნათქვამს თუ დაუმატებთ იმას, რომ შიგა და შიგ არაკებში ხშირია განსხვავება სიტყვებში თუ ფრაზებში და ზოგჯერ ქართული ტექსტი თითქო არაბულს ეთანხმება, უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ასეთი ხასიათის მელის წიგნის გამოცემა არ არსებობს სომხურს ენაზე, ქართულის მთარგმნელს ხელში ჰქონია ხელნაწერი სომხური შედის წიგნი ცოტა განსხვავებულის რედაქციისა. შესაძლებელია ვიფიქროთ, ის არაკები, რომელიც ბოლოს აკლია ჩვენს დედანს, არ იყო იმ დედანში, საიდანაც ქართული მელის წიგნია ნათარგმნი. ხოლო არაბულის ტექსტისათვის ამგვარი მოვლენა, ესე იგი განსხვავება დედნისა, უკვე შემჩნეულია.

ქართულს ხელნაწერს მელის წიგნისას საკმაო ნაკლი აქვს. ხშირია გამეორებული სიტყვები და ფრაზები. ხშირათ შეგხვდებით აგრეთვე გამოშვებული სიტყვები, ზოგჯერ შესმენილიც რითაც აზრი გაუგებარი რჩება. მართლწერა სიტყვისა და საზოგადოდ ენა ზოგჯერ ჯეროვანი არ არის. გაუგებრობა ტექსტისა ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც სჩანს მარის შრომასთან შედარებით, იმითაც შეგვიძლია ავხსნათ, რომ მთარგმნელს ვერ გაუგია

ზოგიერთი ადგილები ტექსტისა და აზრი ბუნდოვანათ გამოუთქვამს, ან სულ გვერდი აუქცევია ზოგიერთი ადგილებიზა. ქართული მელის წიგნი ძველ თარგმანს არ უნდა შეადგენდეს, უფრო საჭეშმარიტოა, რომ ის არის ნათარგმნი სომხურიდან მეთვრამეტე საუკუნეში.

მელის წიგნი შეადგენს ერთს გავრცელებულს გვარს ვარდანულის იგავ-არაკებისა. დასაწყისი, ზრდა და განვითარება სომხეთში ამგვარი კრებულებისა, როგორც სჩანს მარრის შრომიდან, დაახლოებით ყოფილა ასე: მეთორმეტე საუკუნის ბოლოს და მეცამეტეს დასაწყისში ცხოვრობდა ცნობილი მქადაგებელი სომხებისა ვარდან აიგეკელი, პირველათ მოძღვარი და შემდეგ მეუდაბნოე. ეს ვარდანი ცოცხალი და ადვილათ გასაგებ ენით ქადაგებდა. თავის ქადაგებაში ვარდანი მაგალითებათ ხმარობდა არაკებს, სოლო არაკებს თვით კი არა თხზვიდა, არამედ იღებდა წიგნებიდან, განსაკუთრებით ეზოპის კრებულიდან და მხეცთა სახის მეტყველისაგან (φησιολογ). ვარდანმა ეს არაკები გადააკეთა თავის მიზნის გვართ და დაურთო მათ სულის სასარგებლო სწავლანი და ზნეობრივი მოძღვრებანი. თავი მიზანი ეს სულის სარგებლობა და ზნეობრივი მოძღვრება იყო ვარდანისათვის, ხოლო არაკი იყო საშუალება სასულიერო სწავლა-მოძღვრების გასატარებლათ. ამგვარი იგავ-არაკებით მოძღვრება მოსწონდა ხალხს და მალე დაიწყეს მათი ერთათ შეკრება. თვით ვარდანსაც უნდა ეკუთვნოდეს ერთი-ორი ასეთი კრებული, როგორც საგონებელია. ხოლო სხვები უფრო გულმოდგინეთ ჰკრებდენ ერთათ იგავ-არაკებს ვარდანის კრებულის მიხედვით და ამ კრებულის მსგავსათ. ამგვარი კრებულები თანდათან მრავლდებოდენ და იზრდებოდენ, რადგანაც ბევრი უსახელო მიმბამავი გამოუჩნა ვარდანს. აქედგან წარმოსდგა ვარდანული კრებულები იგავ-არაკებისა. თავდაპირველი პატარ-პატარა კრებულები იზარდენ, ხშირათ ორ კრებულს აერთებდენ ერთათ, საიდგანაც გაჩნა რთული კრებულები. ზოგჯერ ვრცელი კრებულებიდან მოკლე კრებულებს ადგენდენ სკოლაში სახმარათ და ზოგჯერაც მოკლე კრებულებს ავრცობდენ სხვადა-სხვა ვარდანულის არაკებით. თვით ეზოპის იგავ-არაკებთა კრებული და მხეცთა სახის მეტყველიც, რომელნიც გაუხდენ დედა-ბოძათ ვარდანის არაკებს, აღარ შენახულან წმიდათ და შეურყეველათ სომხურს ენაში, ვინაიდგან მათშიაც შეჭქონდათ ვარდანული არაკები. ეს ზრდა არ შეწყვეტილა მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე საუკუნემდის. სხვათა შორის ვარდანულს კრებულებში შევიდა მეთოთხმეტე საუკუნიდან მხითარ გომის არაკებიც. გარდა არა-

კებისა ხსენებულს კრებულებში დაიწყეს შეტანა სხვა-და-სხვა სულთა მარგებელის და სასიამოვნო მოთხრობებისა, ხალხური არაკებისა, ზღაპრებისა და თხრობათა. ამ სახით წარმოსდგა სხვა-და-სხვა შინაარსის და ხასიათის კრებულები. ერთს გავრცელებულს გვარს ამგვარის ვარდანულის კრებულებისას, როგორც მოვიხსენიეთ, შეადგენს მელის წიგნი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში ოთხჯერ გამოიცა ევროპაში (1668-69 წელს ამსტერდამში, 1676 წ. მარსელში, 1683 წ. მარსელშივე და 1698 წ. ლივორნოში). ამ დროიდან ვარდანულის კრებულების ზრდა შეჩერდა. ვრცელი გამოკვლევა ვარდანის კრებულებისა ეკუთვნის, როგორც მოვიხსენიეთ, ნ. მარს, რომლის დისერტაციაში „Сборникъ притчъ Вардана“, შეკრებილია და განხილული ყოველგვარი ცნობები ამ კრებულების და მათში მოქცეული არაკების შესახებ*). უწინდელ შრომათა შორის უფრო ცნობილი იყო სენ მარტენის შრომა 1825 წელს პარიჟში გამოსული *Choix de Fables de Vartan en arménien et en francais*. ქართული თარგმანი დღემდის ცნობილი არ იყო და ეხლა პირველათ იბეჭდება. გამოცემა მეზობელთ ხალხების არაკების თარგმანებისა და შეკრება ჩვენი მწიგნობრივი და ხალხური არაკებისა, რომელსაც ამ ბოლო დროს ჩვენდა სასიამოვნოთ ყურადღებას აქცევენ ჩვენში, მოგვცემს მასალას იმ კითხვის გადასაწყვეტათ, თუ რა ეკუთვნის ქართველს ერს ამ არაკებში, რა გვაქვს ნასესხები და რა არის საერთო სხვებთან. ხოლო სანამდის ეს მასალა არ გამოიცემა, მანამდის სჯა ამ კითხვის შესახებ ნაადრევი იქნება.

ე. თაყაიშვილი.

*) ნ. მარსის შრომაში შეტანილია მოკლე ცნობები ქართული თარგმანის შესახებ ჩემის კერძო წერილიდან (იხ. გვ 574-575), ხოლო დაწვრილებითი განხილვა ქართული თარგმანისა, სამწუხაროთ, ავტორმა ველარ მოასწრო, რადგან დისერტაცია თითქმის დამთავრებული ჰქონდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

იგავ-არაკების სათაურების ჩვენებით.

| | |
|--|-----|
| | 83. |
| 1. ძალი და ტყავი | 3 |
| 2. ძალი და ჩრდილი | – |
| 3. ხელმწიფე და მსახური | 4 |
| 4. მეფე და | 5 |
| 5. მეფე და რწყილი | – |
| 6. მეფე და ღორი | 6 |
| 7. კონსტანტინოპოლის ხელმწიფე და მეუდაბნოე. | – |
| 8. აღმართს ამაველი კაცი საპალნით | 7 |
| 9. იერუსალემს მიმავალი დედაკაცი და მღვდელი | 9 |
| 10. მეუდაბნოე და განკითხვა წყაროსთან | – |
| 11. ჯვარის სასწაული | 10 |
| 12. სად არის გული კაცისა? | 11 |
| 13. არა სრული აღსარება | – |
| 14. ორი ღვთისნიერი კაცი | 12 |
| 15. ბრძენი მეფე და სამი ხერხიანი ძმა | 13 |
| 16. ალექსანდრე მაკედონელი ელჩათ | 15 |
| 17. ალექსანდრე მაკედონელის დამარხვა | 16 |
| 18. ალექსანდრე და მეუდაბნოე-მარტომყოფნი | 17 |
| 19. ალექსანდრე და მადლიანი ქვეყანა | – |
| 19 ₂ . ალექსანდრე და რკუ | 18 |
| 20. ალექსანდრე და შიმშილი | – |
| 21. ქურდი-მამა ღვიძლი შვილის დასჯის დროს | 19 |
| 22. ქურდი საფლავის მთხრელი და დამარხული ქალი | – |
| 23. ხუთი საქმე არავინ იცის | 20 |
| 24. მეფე და ხაზინადარი | 21 |
| 24 ₂ . ხოჯა და ყადი | – |
| 25. ბეზირგანი და კამბეჩი | 22 |
| 26. მეერუსალიმეს სამართალი | – |
| 27. ათა კაცი და დედაკაცი | 23 |
| 28. სვეტზე დადებული საჩუქარი | 24 |
| 29. ხელმწიფის ვენახი | 25 |
| 30. სამი ჩვენება ხელმწიფისა | – |
| 31. მეფე, მისი დისწული და ვეზირი | 27 |
| 32. კეთილი ხელმწიფის შვილი და ეკლესია | 30 |
| 33. ყვავი და მელა | 32 |
| 34. არწივი, კაკაბი და ნეხვის ჭია | – |
| 35. მონადირე და კაკაბი | 33 |
| 36. მშიერი მელა და ყინული | 34 |
| 37. მრავალ-გვარ ოსტატი მელა | – |
| 38. დედა და ქურდი შვილი | 35 |
| 39. მელა და მორიელი | – |
| 40. მელა ლომის მოსამსახურე და მგელი და მელა | 36 |
| 41. ხელმწიფეთ ნამყოფი მაიმუნი და რკუ | 37 |

| | |
|---|----|
| 42. მხეცი ხერხის მსგავსი რქებითა | 39 |
| 43. ცეცხლის მჭამელი მხეცი. | – |
| 44. ფრინველი, რომლის კვერცხი წამალია | 40 |
| 45. მხეცი კეთილ-სულნელოვანის პირით | – |
| 46. მეძავი მარტომყოფელი და ძალლი | 41 |
| 47. მოქცეული მარტომყოფელი და ეშმაკი | 42 |
| 48. მეუდაბნოე სამ წელიწადს სიძვის ცოდვაში მყოფი | – |
| 49. კატა და თაგვები | 43 |
| 50. კატა ხელმწიფის მესაწოლე | 44 |
| 51. მონადირე და რკუ | 45 |
| 52. სამი აქლემი და სამი მელა | – |
| 53. ყმაწვილი და წიწილები | 46 |
| 54. გამგონი რძალი | 47 |
| 55. გლახის ლიცვა | – |
| 56. სარძლოს ბაასი სასიძოსთან | 48 |
| 57. მელა და მომაკტავი აქლემი | 49 |
| 58. ქურდი მღვდელი და ქვრივი დედაკაცი | – |
| 59. კაცის მკვლელი | 50 |
| 60. დეკეულები და ხარები | 51 |
| 61. ღორი და მელა | – |
| 62. ორბი | 52 |
| 63. ორბი და ისარი | 53 |
| 64. ცივებიანი და ათეშაკიანი კაცი | – |
| 65. მეთევზე მგელი და მელა. | 54 |
| 66. მელა და მგელი ბატონის ოქმით. | – |
| 67. მელა და მგელი ოქმით | 55 |
| 68. მელა და მგელი მახეზედ | 56 |
| 69. ხელმწიფე, გველი და ხელმწიფის შვილი | 57 |
| 70. უმეცარი კაცი და საზამთრო | 58 |
| 71. გველი, კაცი და მელა | 59 |
| 72. დედის ნაცვალი და გერი | 60 |
| 73. ლომი და კაცი | – |
| 74. ავათმყოფი ლომი, მელა და დათვი | 61 |
| 75. აქლემი, მგელი და მელა | 62 |
| 76. მაიმუნი და მეთევზე | 64 |
| 77. გვრიტი | 64 |
| 78. ყვავი და მისი ბარტყები | 65 |
| 79. გვრიტი, ყორანი და ოფოფი | – |
| 80. მელა და ქვა | 66 |
| 81. მელა წყალში ჩავარდნილი | – |
| 82. მელა და ყინული | 67 |
| 83. მელა და რკინის ჩასაცმელი ჯაჭვი | – |
| 84. ვირი კვიცითურთ და ხვადი ვირი | 68 |
| 85. ვირი და ჩონჩორიკი | 69 |

| | |
|---|-----|
| 86. ვირი ხელმწიფის ქორწილში დაპატიჟებული | – |
| 87. ვირს შვილის შვილი დაეზადა | 70 |
| 88. განკითხვა წყაროსთან | 71 |
| 89. ვაჭარი, კაცის მკვლეელი და ყასაბი | 71 |
| 90. მთვარე და მზე | 72 |
| 91. ზამთარი და გაზაფხული | 73 |
| 92. ღორი და ნეხვის ჭია | – |
| 93. ჯინჭველ-ლომი | 74 |
| 94. მიწის მთხრელი კაცი და ლაკლაკი | 75 |
| 96. ენა-მოჭრილი ხარი | 76 |
| 97. გლახა და არწივი | 77 |
| 98. ინდოური ქათამი ფრინველთ მეფეთ | – |
| 99. დიდებული კაცი და უსმინარი ძმისწული | 78 |
| 100. ამპარტავანი ქალწული | 79 |
| 101. ორი კაცი და გოგრა | 80 |
| 101. მეფე და გლახების ფულის დამრიგებელი | – |
| 102. ლომი, მგელი და მელა | 81 |
| 103. მგელი და ვირი | 82 |
| 104. მელა და კაკაბი | 83 |
| 105. მელა და ჩიტი | 84 |
| 106. აისორის მღვდელი და სომეხი | 85 |
| 107. ავთიმყოფი ლომი და უგულო და უყურო ვირი | 86 |
| 108. აქიმი და გამხმარი ვირის თავი | 88 |
| 109. სამი გამხმარი ადამიანის თავი | – |
| 110. ლომი ტყუილათ ავთიმყოფი | 90 |
| 111. სულელი მგელი | 91 |
| 112. გულთმისანი ქათამი | 93 |
| 113. ვეცხლის მოყვარე დიდებული | – |
| 114. ინდოური ხე | 94 |
| 115. ხუთი კეთილი და ხუთი უკეთური ვაჭარი | 95 |
| 116. ქალაქი მრავალ-შესავალი გზებით | 97 |
| 117. შეიარაღებული თავგებები. | 98 |
| 118. გველი და ნახვრეტი | 99 |
| 119. გველი და კეთილსულნელიანი ყვავილი | 100 |
| 120. ქურდი და საზამთრო | 101 |
| 121. ხე, ორი თავგი, გუბე და ვეშაპი | – |
| 122. ანჩხლი ცოლი და ეშმაკი | 102 |
| 123. ქარავანი, კეთილ-მოღვაწე კაცი და ჯურღმული | 104 |
| 124. საკურთხათ გამზადებული დეკანოზის შვილი | 106 |
| 125. მეცნიერი კაცი და მისი სამი მცნება | 108 |
| 126. მლოცავი ყმაწვილი და კუდიანი | 111 |
| 127. მელა და არწივი | 113 |
| 128. ნიგოზი და საზამთრო | 114 |
| 129. ცოდვილის შენანება და სიკვდილი | – |

| | |
|---|-----|
| 130. ეკლესია და წისქვილი | 115 |
| 131. ხარი და ცხენი | 116 |
| 132. საპალნე საწამლავისა და მახვილისა | 117 |
| 133. ჯოჯო | 117 |
| 134. კარგი და უვნები ზღვის ცხოველი | 118 |
| 135. ვირი | – |
| 136. ანჩხლი ცოლი და ზღვის ხელმწიფე | 119 |
| 137. მოყვარე | 121 |
| 138. ბროწეულის ხე და ზეთის ხილის ხე | 122 |
| 139. თევზი | 123 |
| 140. ჩანგლით დაჭერილი თევზი | – |
| 141. ნაანდერძევი საუნჯე | – |
| 142. კაცი და მგელი | 124 |
| 143. მგელი და ცხვრები | 125 |
| 144. ვირის პატრონი და მგელი | – |
| 145. ქვრივი დედაკაცი რძეს წყალს ურევს | 126 |
| 146. ბაღდადელი დურგალი და ხელმწიფე | 127 |
| 147. თხა და მგელი | 129 |
| 148. სამი პირის-წყალი | – |
| 149. კაცი, რომელსაც ასი კოდი პური მოსდიოდა | 130 |
| 150. მღვდელი და ყასაბი | 131 |
| 151. ორი ამხანაგი და ქალაქი ადამიანის თავებით კარებზე | 132 |
| 152. მოვალე კაცი | 134 |
| 153. ფულის მსესხებელი და მსაჯული | 135 |
| 154. მარტომყოფელის აღთქმა ეშმაკისადმი | 137 |
| 155. ცხოველი, რომელიც ზაფხულში მუცელს გამოირეცხს | 138 |
| 156. ჩიტი ფრინველთ მეფეთ. | 139 |
| 157. მექთამე მსაჯული და ერთი ქილა ერბო | 139 |
| 158. უმეცარი კაცი (ნაწყვეტი) | 140 |